“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ ვიორგი ლეონიძე

ლიტერატურული მესხეთი

№8 (298)
აგვისტო
2023 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეხუთე წელი "LITERATURULI MESKHETI"

ჩვენი ფოლი ფათ

ციური მესხიშვილი

(კავკასისძეების ციხეს)

ტ ა ო-კლარჯეთო, შავშეთო!
სიზმარში შემძრეს ზარებმა!..
ვინ იცის, მსგავსი ზმანება,
რამდენჯერ დამეზმანება?!..

სიზმარში, გაღმა მხარეზე,
ცაზე ვარსკვლავი ელავდა,
ჩამოეკიდათ მთვარეზე
პაპის ნაქონი ხელადა...

ვიღაცას, ჭრელი ოდები
კოხტად რომ გამოერანდა,
მტერს, სასიმინდეთ ექცია,
ჩვენ რომ ვხმარობდით
ვერანდად!..

აღარ ტიროდა ტაოში,
მზის ჩამოქნილი სანთელი,
სანთლითაც კი ვერ მოვძებნე,
პ ა რ ხ ა ლ ი ს ახლოს ქართველი...

შემოხვეოდა იოლად
უხსენებელი, ვერაგი,
გადაეყლაპა ი ო ნ ა –
ღვთისმშობლის ჯაჭვის
პერანგით...



გემის ჩაძირვას უცქერდა
გონდაკარგული პლანეტა,
ღმერთმაც კი თავის უფლებას,
მგონი, აქ გადაამეტა!..

ჭალის საყდართან ვაგროვე,
ცრემლები მუხის კოკებით,
ბ ა ნ ა ს თ ა ნ მუჭებით ვკრიფე
ყაყაჩო სისხლის კოკრებით...

კიდევ, მესიზმრა ყორნები,
საყდრის კედლებს რომ
კენკავდნენ,
ტბა ვერ გავცურე ბორნებით, –
შორია ფანასკერტამდე!..

გლოვაა ი უ ს უ ფ ე ლ შ ი, –
შვილი ეყრება, დედასა!..

საყდარი წვება წუმპეში
ციხე – დასტირის ცხედარსა!..

ჯვარზე გაუკრავთ არწივი,
შავი აცვია ქედანსა,

ჩოხას ამწყდარი ყაწიმი
დასტირის თავის მხედარსა!..

საცაა ჩამოეშლება
„კ ა ვ კ ა ს ი ს" ციხეს ქონგური,
ვ ა ი ! რამდენი მტერი მყავს!..
ვ ა ი ! რამდენი ორგული!..

მარტოსულ ციხეს (აღწერით),
ჩემი სამშობლოს ბედი აქვს,
არვინ ჰყავს გულის დამწველი,
შეჰყურებს მთვარეს ბნედიანს!..

ვერ შევაშველე მხარი და,
ვერც ფარი, ვერცა აბჯარი,
ჰოდა, მსურს, გულში ჩავირტყა,
ფანასკერტელთა ხანჯალი!..

ალვები თავებს იხრჩობენ,
ვეღარ მიდიან ო თ ხ თ ა ვ ში,
საფლავებიდან (იმ შორეთს)
ისმის ტირილი ოთხ ხმაში!..

ცოტაც და, ჭოროხის წყალი,
ყელში ციხესაც წასწვდება,

გაცოცხლებულა პეპერა, –
მისი ქვითინი ცას სწვდება!..

მე კი ვერაფერს ვერ ვშველი,
წყალმა წაიღო საძვალე,
ტბაში დაეხრჩო მზეს შველი,
როგორ ვუშველო, მასწავლეთ!..

მინდა, რომ გადავარჩინო,
ციხიდან წყალში ვეშვები...
ღმერთი დამიდგა საჩინოდ,
ცრემლები მასვა პეშვებით...

ფრთამალებს ბუდე მოშლიათ,
ვერ გაფრენილან პეპლებიც,
იხრჩობა ლეკვი – გოშია,



და შველას ითხოვს ვედრებით...

მთვარემ შეღება ცა ბაცად!
მზეც გულსაკლავად
დაგვყურებს,
ჰგონიათ, წყალმა წარგვტაცა
თამარ დედოფლის საყურე...

უმწეოს ვერ შეგეხიდე,
მტერი დღემდე მყავს აშარი,
ციხევ! – ცაში რომ ეკიდე,
ვერ დაგახურე ჯავშანი...

წყალმა წაიღო ყოველი,
თვით თამარ მეფის თავშალიც,
გთხოვთ, მუჭით გამომიგზავნოთ,
იმ ციხის ჩამონაშალი!..

ჭალის საყდარში მზე დამრჩა,
გაქრა ა ხ ა ლ თ ა, ... ხ ა მ ზ ე თ ი,
რით გავუმშრალებ სველ ფარჩას,
რომელ მთვარით და რა მზეთი?!..

სანამ ცოცხალ ვარ, მე, ციდა,
არ მოგასვენებთ ყვედრებით:
უფალს მოვიხმობ ზეციდან,
მტერთან მებრძოლი
მხედრებით!..

ქართველთა „ტ ი ტ ა ნ ი კ ი ა,“
კლდის გემს საყდარი ამშვენებს,
თუ მაინც ჩაიძირება,
მე გავუგზავნი მაშველებს!..

მაშველმაც თუ არ უშველა
და წყალს გაჰყვება ოცნებაც,
დამხერხეთ ფიცარ-ფიცარ და,
ციხეს შეუდგით ბ ო ძ ე ბ ა დ!!!..

ანზორ სიფრაშვილი

ცნობილი მწერალი ანზორ სიფრაშვილი შეუდგა ვრცელი ისტორიული რომანის წერას გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ნაწარმოებში ავტორი აღგვიწერს XII-XIII საუკუნეების საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებს, გვიხატავს როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის, ისე მეფეების – გიორგი III-ისა და თამარის, ასევე ამ პერიოდის დიდი სახელმწიფო მოღვაწეების სახეებს, წარმოგვიდგენს საქართველოს „ოქროს ხანის“ პოლიტიკური, სამხედრო, კულტურული და ეკონომიური ცხოვრების ფართო ტილოს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ანზორ სიფრაშვილი არის ისტორიული რომანის „ვახტანგ გორგასალის“ შვიდტომეულის ავტორი“, რომლის ცალკეული ნაწყვეტები დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ხოლო გასულ წელს გამოვაქვეყნეთ მისი ვრცელი მოთხრობა სათაურით „მე, რუსთველი“,რომელიც შეიქმნა როგორც ერთგვარი წინა საფეხური იმ რომანისა, რომლის წერაც ახლა დაიწყო ავტორმა და რომელსაც აქვს იგივე სათაური.

„მე, რუსთველი...“

(ნაწყვეტი ისტორიული რომანიდან)

თავი პირველი
კოჟორი. შეთქმულება

ტფილისიდან ადრიან დილით ცხენით წასული კაცი მზის გადახრამდე განიერ, ღრმა ხევს მიაღწევს, ხოლო თუ ბილიკით მის ფსკერზე ჩავა და მეორე მხარეს ამოვა, პირდაპირ ივანე ორბელის სასახლეს მიადგება, კეთილად ნაშენს, მტკიცეს, და ბორცვთა ზედა ზვიადად ამაღლებულს. მფლობელიც დიდად სახელოვანი, მრავალთაგან აღმატებული და გამორჩეულად ცნობილია მთელს ქვეყანაში, იმიერ თუ ამიერ საქართველოში. მხნე მეომარი, შეუდრეკელი, სამეფოთა და მხარეთა დამპყრობი, ამირსპასალარი, ყოვლთა მეფეთა უერთგულესი...

ყოვლთა მეფეთა უერთგულესი? ვითომ აგრეა?

ივანემ, ორბელთა გვარიდან, დემეტრე მეფის სამსახურში ფრიად გამოიჩინა თავი, უშიშარი მეომრის სახელი დაიგდო, თავგამეტებულად რომ ეკვეთებოდა ხოლმე ყოველთა მტერთა მეფისათა. ძმასთან, სუმბატთან ერთად, ქორივით დააცხრებოდა მოქიშპეს და არაერთგზის ცხენიანი კაცი შუაზე ჩაუსხეპია. დემეტრეც დიდად აფასებდა მის მეომრობას, წყალობას არ აკლებდა და მრავალსა რასმე სძღვნიდა; სადაც სჭიროდა მისი თავი და ხმალი, იქ იშველიებდა და პატივს უმრავლებდა, სწორედ იმგვარად, ოდეს მაშინ, ანისში რომ უმძიმესი ვითარება შეიქმნა. დემეტრემ, ანისის შედადიან მფლობელებისადმი არაერთგზის მიმნდობმა, სწორედ მაშინ ირწმუნა, რომ ყოველი, ვინაც ფიცითა მტკიცითა მიაგებდა ერთგულებასა და ხელზე მორჩილების ბეჭედს იკეთებდა, სინამდვილეში გულში მისი არამცირე ღალატი ედო. სწორედ ამგვარნი გამოდგნენ ჯერ ისინი, ვინაც მეფემ ანისის მფლობელად შერაცხა: შედადი, შემდეგ ძმა მისი, ფადლონი, მერმე კი სალდუნი, რომელსაც მეფემ ანისის ამირობა უბოძა. ამ სალდუნსაც ღალატი ედო თურმე გულში და დემეტრემაც სიცოცხლე წარუღო, თვით ქალაქი კი თავად დაიჭირა და მერმე ივანე ორბელს უბოძა, რომელიც უკვე ამირსპასალარობდა ქართულ ლაშქარს. და შეიქნა იგი ორბელი ამირსპასალარად, მანდატურთუხუცესად და ანისის მფლობელად. და აღზევდა ივანე უზომოითა აღზევებითა!

გარნა ორბელმა დიახაც უწყოდა, რომ მისი მმართველობა და ქალაქის ფლობა იმ ჟამად კლდესავით მყარი არ იყო, რამეთუ ირგვლივ სხვადასხვა საგანმგებლოთა მმართველნი ფრიად მტრულად შემოსაკერეროდნენ ანისის ქართველთა ხელში ყოფნას: იქით ხლათის მმართველი სუქმანი, აქეთ დიარბექრის მმართველი კოტბ ად-დინ ილღაზი, კიდევ არზრუმის მთავარი ალ-მალიქ სალდუხი და სხვანიცა არაერთნი, რომელნიც შეითქვნენ ანისის კვლავ დასაბრუნებლად, წამომართეს დიდძალი მხედრობა, შეუტიეს, ჰქმნეს ომი ფიცხელი, მაგრამ ამაოსა ზედა ირჯებოდნენ და მიიღეს ის, რაც ღმერთს განესაზღვრა მათთვის: ქართველებმა მეფეთ-მეფის, დიდი გიორგის წინამძღოლობით არა თუ დაამარცხეს ყოვლნი იგინი, არამედ ჯერ არზრუმზე ილაშქრეს, მერმე დვინზე და ერთიც და მეორეც ხელთ იგდეს.

თუმცა, ანისს კვლავაც ეწერა შედადიანთ დაბრუნებოდა, რამეთუ გიორგი მეფემ ხელსაყრელად სცნო საქმე ესე და შაჰანშა შედადს უბოძა ქალაქი, ვითარცა ყმასა, ათი წელი ადროვა და მერმე ისევ წარუღო, გადასცა რა სწორედ ამ ივანე ორბელს, ახლა რომ სასახლის აივანზე მოჩუქურთმებულ და ორხოვაგადადაფარებულ საკარცხულისთვის მიუნებებია სხეული თვისი და ქმუნვით იხსენებს თხუთმეტი წლის წინანდელ ამბებს, ზოგს საამოს და ძვირფასს, ზოგსაც არასასიამოვნოდ გასახსენებელს, რადგან სწორედ მაშინ იყო, გიორგი მეფესთან რომ დაასმინეს მოშულარმა დიდებულებმა: ივანე ორბელი თურქებს შეპირდა ანისის გადაცემას, ყმად დადგომაც კი აღუთქვა, იმ პირობით, რომ კვლავაც ქალაქის მმართველად შეიქნებოდაო. რამდენი ავმოსურნე და ბოროტგანმზრახველნი ამძიმებენ ზურგსა დედამიწისასა! მას კი ამით დააკლდა რამე? არაფერი, სრულიადაც არაფერი!

გიორგი მეფე! ძლიერი, ღირსეული, მტრის მიმართ მკაცრი, თუმცა არც მოყვასის მიმართ ლმობიერი. მისთვის ტახტია მთავარი, ყოველთა აღმატებული, მიზანიც, საშუალებაც, იარაღიც, სიმამაცეც, ანგარიშიც, ამოვნების წყაროც, ქვეყნის სამსახურიც, ტახტი, რომელიც მას არ ერგებოდა, მაგრამ ირგო და შეირგო კიდეც! ყოველი ღონე იხმარა მის მისათვისებლად, მისასაკუთრებლად, მისატაცებლად, თუმცა შემდეგ, დიახაც, მყარად დაიკავა იგი, იპყრა, ვითარც იპყრა გვირგვინი, ხმალი, სარტყელი და ყოვლნი იგინი ერთპიროვნულად დაიჩემა. ვთქვათ ეგეცა, რომ ის ხმალიც კარგად მოიქნია, გვირგვინიც დიდად გააბრწყინა, ქვეყანასაც არგო და მტერიც დაზაფრა.

და ამ ყოველივეს კეთილად ქმნაში მეფეს იგი ედგა გვერდში, იგი, ივანე ორბელი, ვინაც მეფეზე არანაკლებ იღვაწა და სისხლი თვისი დაღვარა გინდ ანისში, გინდ დვინსა და გინდ განძაში. დიახ, განძაში, ოდეს მეფემ ლაშქრად მოუწოდა დიდებულთ, დაუსახა რა მოთარეშებად ქვეყნის სამხრეთით მდებარე მიწები, რომელთაგან უმრავლესთ ოდითვე ქართული ფლობდა, ზოგზე თვალი ეჭირა, სხვანი მართალია შორს იყო ქართლის საზღვრებიდან, მაგრამ სიშორე რას მიქვია, როცა გული იქით მიიწევს და ხმლის მიწვდენაც შეგიძლია!

ხოლო დიდებულნი უკვე იმდენად გალაღდნენ და მონინააღმდეგეთა ძლევით ისერიგად გაამაყდნენ, რომ ომი და ლაშქრობა მათთვის უბრალო ხელობა შეიქნა. ვითარც მონადირე დღე და ღამ ნადირს სდევს, კვალში უდგას, უსაფრდება, მწევარ-მეძებართ მიუსევს, მოიმწყვდევს და მერმე ისრის ერთი სროლით ან შუბისა თუ მახვილის ერთი ძგერებით იმ ნადირს სიცოცხლეს გამოასალმებს, ცხენის ზურგზე შემოიგდებს და სიამაყით წარუდგენს მოკეთეებს, ისე ქართველი დიდებულნიც, სარდალნი, მათნი მნნი და თავნი ლაშქრისანი ვეღარ სძლებდნენ ლაშქრობის გარეშე, ხელები ექავებოდათ ვიდრე მოქიშპეთა ზედა ხმალს აღმართავდნენ, საომარ ყიჟინას დასცემდნენ, ციხეებს ალყას დაადებდნენ, მონინააღმდეგის სისხლს ღვარებად დააქცევდნენ, მათ ქალაქებს გაძარცვავდნენ, აიკლებდნენ, მოსტყვევნავდნენ, დატყვევებულ ქალებსა და კაცებს წინ გამოირეკავდნენ, ყმაწვილ ვაჟებსა და ქალებს გინდ იარაღსაჭურველში და გინდ კარგ ცხენებში გაცვლიდნენ, ბოლოს კი შემოიქცეოდნენ და სამშობლოში სიმღერითა და სილაღით დაბრუნდებოდნენ.

ამიტომ იყო, რომ ოდეს გიორგი მეფემ მოსწყვიდნა წინააღდგომა აგარიანთა, მაჰმადიანთა და სხვათა, და ქვეყანაში მშვიდობა ჩამოვარდა, ლაშქართა თავთა სიმრავლემ, რომელთაც ვერ ითმინეს სიხარული და მოსვენება, რამეთუ საზრუნავი და საგამრჯელო აღარა ჰქონდათ, გიორგი მეფეს ერთხმად შესთხოვეს კვლავ ლაშქრობა წამოეწყო რომელსამე მხარეს: აღმოსავლეთით ანდა სამხრეთით, ანდა ერთდროულად აქეთაც და იქითაც და აგრე მოახსენეს: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“.

მართალია, მათ შორის თავად იგი, ორბელი ივანე, არ ერია, მაგრამ იგიც უთანაგრძნობდა მათ, რასაც ისიც ამძაფრებდა, რომ ოდეს ტახტზე გიორგის ძმა, დავითი იჯდა (ღვთის ნებით მეტად

მცირე ჟამს კი მოუწია ტახტზე ჯდომა), რომელმან მამასა თვისსა, დემეტრეს, დავითი აღმაშენებლის ძეს, მეფობა მოსტაცა, იმა დავითმა ივანე ორბელს ამირსპასალარობა წარუღო და მის ნაცვლად თირქაშ აბულეთის ძეს უბოძა, ამასთან ივანე შერისხა და მრავალრიცხოვანი მონასპა შეუსია, გააძარცვინა და დაარბევინა სწორედ ეს, კოჟრის სასახლე და სხვანიცა (თუმცა მერმე, მალევე შემოერიგა, როცა დასჭირდა, მაგრამ ქონება და სიმდიდრე აღარ უბოძებია).

ამიტომ ივანე, რა თქმა უნდა, უარს არ დადგებოდა, თუ გიორგი მეფე მეზობელ მიწათა სარბევად გაგზავნიდა მას, ივანე ორბელს, რომელსაც ამ ლაშქრობის წარმატებით დასრულებაში ეჭვიც არ ეპარებოდა და ისიც კარგად უწყოდა, რომ თუ მდიდარ მეზობელ ქვეყნებს მოარბევდა, ამით მისი სალარო კვლავ შეივსებოდა, იქნებ ადრინდელზეც უფრო მეტადაც კი.

ეს თუ იყო მიზეზი იმისა, რომ რამდენიმე დიდებულთან ერთად ივანეც ეახლა მეფეს და მოახსენა:

– დიდო მეფეო, შენი მოწყალე თვალით ხედავ, რომ მთელი ცხოვრება ომებსა და ბრძოლებში გამიტარებია. ის რამდენიმე ათეული წელი, რაც კი ამ ქვეყანაზე დავყავი, იქნებ ყოველი დღე არა, მაგრამ უმეტესი მტრის დევნასა და მონინააღმდეგის ხოცვა-ჟლეტაში გამიტარებია. შენც განგადიდებდი და შენს სამეფოსაც, მე კი სახელისათვის ჩემისა ვიღწვოდი მუდამ. აგერ, რა ხანია, ჩვენს ქვეყანაში მშვიდობამ დაისადგურა, გარნა ჩვენ, შენი ერთგულნი, რას ვაქნევთ მშვიდობასა – მით არც ქვეყანა გამდიდრდება და არცა ვინმე გმირად შეირაცხება. მეფეო, არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა. ვაჟკაცი განა ის არ არის, ვინაც ხმლითა თვისითა დასჯაბნის მოქიშპეს და ლახვარს გულში ჩასცემს? ეგეცაა, მეფეო, ჩვენ რომ ამ მშვიდობას გადავეგოთ, მტერნი არ მოისვენებენ, ჩვენზედ წამოვლნენ და უომრობას მიჩვეულ ქვეყანას თავზე დაგვამხობენ. გაგვიშვი ლაშქრად, მეფეო! გვიბრძანე და მოვარბევთ ახლოსაცა და შორეულთაცა ქვეყნებს, უფროორე იმათ, ვინც ჩვენს თანამომძეთ – ქრისტეს მიერ ძმანი მყავს მხედველობაში – გულქვად ეპყრობა, რწმენას უგინებს და ძარცვას არ აკლებს. ნარგვგზავნე ლაშქრად, მეფეო, ამასა შემოგვედრით ყოველნი ერთგულნი შენნი!

გიორგი მეფეს ფრიად ეამა ამირსპასალარის ეს აჯა, რადგანაც თავადაც ენება დალაშქვრა სხვათა და სხვათა, სალაროს გამდიდრება და წარმოღება ოქროსა და ვერცხლისა, რასაც შემდეგ კვლავ ქვეყანას მოახმარდა, ამიტომ კითხვის თვალით გადახედა იქ მყოფ დიდებულებს, თუმცა იმ კითხვის თვალში უკვე თანხმობა იკითხებოდა. როდესაც მათგანაც იგივე მოისმინა, მეფემ კმაყოფილებით განაცხადა:

– კეთილი, დიდებულნო ქვეყნისანნო, ჩემო ერთგულნო! მიმიღია სათხოვარი თქვენი და ამიტომ მიბრძანებია: შენ, ამირსპასალარო, ივანევ ორბელო, გამიგზავნიხარ დასალაშქრავად განძა ქალაქისა და მოსარბევად მტკვარს აქეთა მიწებისა, ამისთვის იახლებ სომხითარ მეომართა და დალაშქრავ, იმგვარად, რომ ქართული მახვილის სიბასრე არასოდეს დაავიწყდეთ; ტაოელნი, კლარჯნი და შავშნი მოარბევენ ბანასა და ოლთისსა; მესხნი და თორელნი გაემართებიან კარისა და აშორნისკენ; ლიხთ-იმერნი და მისთა მეზობელთა ებრძანოთ დალაშქრონ განძას ქვემოთ მტკვრის პირი, ხოლო ჰერთა და კახთა – დაჰყვნენ ალაზანს მდინარეს ვიდრე შარვანამდის. ღვთით, იმედი მაქვს ყოველივე კეთილად დასრულდება, რისთვისაც ვთხოვ კათალიკოსს აღასრულოს წირვაისავედრებელი. ჰეი, შემოჰკარით საომარ დაფდაფებს და ჩაბერეთ ბუკებს! დაე, ერმან ჩვენმან ისმინოს თუ ვითარ მძლავრნი არიან კვლავ მოლაშქრენნი ჩვენნი, რომელნი ისწრაფიან გმირობისა და თავდადებისათვის მამულისა ჩვენისა, რისი მსგავსიც არვის უხილავს ჯერეთ!

ივანე ორბელის ლაშქარმა უცებ მოიყარა თავი. სომხითარნი მოწოდებისთანავე მოადგნენ ტფილისის სანახებს და დიდუბეში მოიყარეს თავი, სადაც მათ ამირსპასალარი ელოდებოდათ და მერმე სწრაფად დაიძრნენ სამხრეთისკენ, ასევე სწრაფად გადალახეს ფონით მტკვარი და რკი ყველა ცხენზე იყო ამხედრებული, ისე მიქროდნენ, თითქოს დოღში არიან და მხოლოდ ერთმანეთის გასასწრებად ილტვიანნ.

განძა შორს არ იყო, ივანე ორბელმაც გზა კარგად იცოდა, ხოლო წინმსწრებნი მსტოვარნი მალი-მალ ატყობინებდნენ არსაიდან არავითარი დაბრკოლება არ გველობებაო. ამიტომაც, როდესაც მესამე დილას ქალაქის კედლები გამოჩნდა, არც არავინ იყო დაღლილი და ბრძოლის ჟინიც არავის განელებოდა.

როგორც ჩანს, არც განძის ხელისუფალნი ისხდნენ გულხელდაკრეფილნი და არც ისინი ელოდნენ მშვიდად მტერს. ქალაქის კარი, რომელიც უეჭველია დემეტრე მეფის აქ ყოფნის შემდეგ ხელმეორედ დაემზადებინათ, რამეთუ დემეტრემ ის კარი ჩამოხსნა და გელათს შესწირა – მაგრად იყო ჩაკეტილი, მეციხოვნენი კი გალავანზე ფარულად გადმომდგარიყვნენ და მოახლოებულ ლაშქარს გულდასმით ზვერავდნენ. ივანე ორბელს სურდა კიდევ ერთხელ დაეთვალიერებინა ციხე-ქალაქი და შეტევის ადგილი განესაზღვრა, გარნა დაკბილული ციხე მტკიცედ ნაგები ჩანდა და დაახლოებით სამასი წლის წინ აღმართული კედლებიც, რომელთაგან ზოგი მიწისძვრის ჟამს კი დაინგრა, მაგრამ კვლავაც ამოეშენებინათ – შეუვალად გამოიყურებოდნენ, რასაც დაუკვირვებელი თვალიც შენიშნავდა, ხოლო შორიდან ამ კედლების უკან ის გორებიც მოჩანდა, რომელთაგან ერთ-ერთში ქალაქის არაბმა ამირამ, მუჰამად იბნ ხალიდ იბნ იაზიდ იბნ მაზიად შაიბანიდმა თავის დროზე ის განძი იპოვა, რომელიც სიზმარში იხილა და რომელიც გორაკის გათხრისას მართლაც აღმოჩნდა.

ივანე კიდევ კარგა ხანს გაჰყურებდა მაღალ ბურჯებსა და ქონგურებს, რომლებზეც შიგადაშიგ კოცონთა კვამლი ამოდიოდა – როგორც ჩანს, ციხის დამცველებს ქვებთან და ლოდებთან ერთად ფისით სავსე ქვაბებისთვისაც შეენთოთ ცეცხლი და როდესაც დაატყობდნენ თავდამსხმელები კედლებს შემოწყობიანო, მაშინვე დიდი ხის ჩამჩებით მოალყეებს თავზე გამდნარ ფისს გადმოასხამდნენ, ქვებს დაუშენდნენ და ლოდებსაც დაატეხდნენ. ეს ყველაფერი უეჭველად ასე იქნებოდა, მაგრამ ივანე ორბელი თავისი ლაშქრით აქ იმიტომ კი არ მოსულიყო, რომ, თუნდაც, ამგვარი საერთოდ, აქ აგური ფრიად ხმარებაში იყო და ქალაქის სახლები, აღარაფერს ვამბობთ კრამიტის სახურავებზე, ერთნაირად წითლად გამოიყურებოდა. მტკიცე დულაბით უზარმაზარ კედლებად შეკრულ აგურებს ლოდსატყორცნი მანქანები მცირეთ თუ მიაყენებდნენ ზიანს, გარნა ივანე ორბელს ეს მანქანები საერთოდ არ გააჩნდა, თუმცა რომ ჰქონოდა, იგი ჯერ სწრაფ პირდაპირ იერიშს ბრძანებდა, მერმე, თუ ერთი დარტყმით ვერ აიღებდა, ქალაქს მძიმე ალყას დაადებდა და წყლის სადინარსაც გადაუკეტავდა, მაგრამ ეგეც იცოდა, რომ მდინარე განძაჩაის კალაპოტს ვერ შეუცვლიდა და ისევ შუბსა და ხმალს უნდა დანდობოდა.

ამიტომ ლაშქარს დასვენება უბრძანა, თან სარდლები სათათბიროდ კარავში მიიწვია და ვიდრე ისინი შეიკრიბებოდნენ, მცირე ხანს თავს დასვენების უფლება მისცა. ერთ ხანს თვალის მოტყუებასაც ცდილობდა, მაგრამ ფიქრებმა დასძალა და რაკი წინ მომავალი მძაფრი ბრძოლა ელოდა, ხოლო იქ, ქართლში, მართლაც რომ თავასატკიებელი საქმე ჰქონდა გადასაწყვეტი, ამიტომ სალაშქრო სავარძელში გვერდულად მიჯდა, თავი საზურგეზე მისდო და უახლოესი მომავლისა თუ უკვე ჩავლილი ამბების გამოწვლილივით განხილვასა და შეფასებას შეუდგა.

იმაში, რომ თითქოს მრისხანე კედლების მქონე განჯის აღებას დღესვე თუ არა, ხვალ მაინც შეძლებდა, ეჭვი ერთი წამითაც არ ეპარებოდა. მოლაშქრენი უკვე არაერთგზის ომგამოვლილნი იყვნენ, გინდ ანისში, გინდ დვინსა და გინდაც სხვაგან, და ამდენად, ბრძოლაში პირველად ჩაბმის შიში უკვე დაძლეული და გადატანილი ჰქონდათ. ის კი არა, წინა ბრძოლებში გამარჯვებებით იმდენად იყვნენ გალაღებულნი, რომ ერთი სული ჰქონდათ, სანამ გინდ ალყას დაადებნენ ქალაქს, გინდ პირდაპირ იერიშზე გადავიდოდნენ და ისრებს, ხმლებსა და შუბებს მონინააღმდეგეთა სისხლით შეღებავდნენ.

ივანემ კარგად უწყოდა, რომ რაც არ უნდა გაჭიანურებულიყო ეს ალყა, ციხე ბოლოს მაინც დაეცემოდა, რადგან მეცხოვნეთ მშველელი არავინ გამოუჩნდათ, გიორგი მეფის მძლავრ ჯართან შეტაკებას ყველა ერიდებოდა.

დიახ, აგერ სარდლებთან ჩაატარებს თათბირს, თვითეულს შეტევის გეზსა და ადგილს დაუსახავს, გამარჯვების დროს დაუთქვამს და ვალდებულჰყოფს მისი ბრძანება დაუცადებლივ შეასრულოს. ასე ყოფილა ოდითგანვე – ლაშქრის უფროსი, რომელიც გამარჯვებაში დარწმუნებული იყო, ამ რწმენას სხვასაც ჩაუნერგავდა და როგორც მიმინოს მიუშვებენ ხოლმე გარეულ მტრედზე, ქედანზე ანდა ხოხობზე, თავის მოლაშქრეებსაც ისე მიუტევდა მონინააღმდეგეს. ქალაქი განძა კეთილად ნაშენია, მტკიცე ციხე აკრავს, გარნა ქართველთა ლაშქარს ამაზე უფრო მტკიცე ციხეები შეულეწია, გინდ დიდი დავითის დროს, აღმაშენებლად ნოდებულისა, გინდ მისი ძის, დემეტრესი და გინდ თვით გიორგის მეფობის ჟამს. განა სწორედ ეს ციხე არ იყო, დემეტრემ, სწორედ დღევანდელი მეფის, გიორგის მამამ, ალაყაფის კარი რომ ჩამოხსნა და

→

გელათის მონასტერს შესწირა? მოიცა, რა წარწერა შერჩა იმ კარს, არაბულად წარწერილი?

ჰო, აი ამგვარი რამ სწერია: „სახელითა ალაჰისათა, მოწყალისა და მწყალობელისა, კარიბჭე ესე აგებული უფლისა და მეთაურისა ჩვენისა ბრწყინვალისა შაფურ იბნ ალ ფადლისთვის, ალაჰმა აკურთხოს და გაუმარჯვოს მეოხებითა აბი ალ-ფარაგ მუჰამად იბნ აბდალასი, ალაჰის წყალობა ნუ მოკლებოდეს მას.“

ივანეს არაერთხელ ნაუკითხავს ეს არაბული ზედწერილი და ისიც კი ახსოვდა, თუ ვინ გამოჭედა ეს რკინის კარი: იბრაჰიმ იბნ უთმან იბნ მალაქუნმა.

ჰოდა, ნათქვამია, აუღებელი ციხე არ არსებობსო და, მართლაც, ციხეს ან ხმლით იღებენ, ან ოქროთი, მაგრამ იღებენ კი. ეს იმდენად არ აწუხებს ივანეს, რამდენადაც სულ სხვა რამ, ის, რაც წლების წინ მოხდა და ახლა თავის შედეგს ითხოვს. ივანეც დღემდე მდუმარედ ელოდა წლების გასვლას, ხოლო ახლა უკვე დადგა ჟამი, როცა ყოველივე სააშკარაოზე უნდა გამოვიდეს და ეს საქმე მხოლოდ მასზე, ივანე ორბელზეა დამოკიდებული: მან თუ მოინდომა, ყოველივე ისე წარიმართება, როგორც იგი ჩაიფიქრებს, წინ ვერც ღვთის სამართალი აღუდგება და ვერც კაცისა. თუმცა, იქნებ ჯერაც ადრე იყოს საქმის დამში მოყვანის მცდელობა, რადგან დემნა ჯერ თხუთმეტი წლისაა, გიორგი მეფეც სადაცაა უძეოდ გადაეგება – ასული კი ჰყავს, მაგრამ სად თქმულა ქალის გამეფება! ოდეს ყოფილა ტახტზე დიაცი ასულიყოს! აკი გიორგისაც ფიცი აქვს დადებული – ოდეს დემნა სრულწლოვანი შეიქნება, სამეფოს მას გადავულოცავო! სიკვდილის პირას მყოფ თავისი უფროსი ძმის, დავითის და მთელი ერისთავების, ვეზირებისა და თვით კათალიკოსის წინაშე განა მან არ წარმოთქვა ფიცი იგი? განა მან არ დაჯერა ყოვლნი იქ მყოფნი, დავითის სასთუმალთან მდგარნი, როცა საქვეყნოდ განაცხადა: „უკეთუმცა ასაკეულ იქმნეს ძმისწული ჩემი, არა დაკლებულ ვყო იგი, არამედ ანდერძისაებრ ძმისა ჩემისა დავითისი, დავსვა საყდარსა მეფობისასაო?“

და ახლა, შემდეგ მისსა, რაც განძას ივანე ხელთ იგდებს, უკვე მოწურვილ იქნება ჟამი, რათა გიორგიმ სასახლეში მიიყვანოს ძმისწული თვისი და დაადგას მეფობისა გვირგვინი თავსა ზედა, ხოლო იგი, ორბელი ივანე, შეიქმნება უპირველესი კაცი იმა ახლი მეფისა კარზე, რამეთუ დავით მეფემ სიკვდილის წინ სწორედ მას, ივანე ორბელს ჩაბარა თავისი ჯერეთ უასაკო ძის, დემნას, ბედი.

ჯერ კიდევ მაშინ იტეხდა თავს დავით მეფის სასთუმალთან მემკვიდრე დემნას მამამძუძედ შესახელებული ივანე ორბელი: მაშინ, როცა დავითმა მას წარუღო ამირსპასალარობა და მის ნაცვლად საპყრობილედან გათავისუფლებული ქირქიში დანიშნა, რატომ სწორედ ქირქიშს არ ჩაბარა ძე თვისი? და მერმე მიხვდა ივანე თუ რატომ მოიქცა ასე მეფე დავითი: „უეჭველია, ფიქრობდა იგი, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა ჩემი ძმის, გიორგის ხელში აღმოჩნდება, მამაჩემიც, დემეტრეც, ალბათ კვლავ დაუბრუნდება მეფობას, ანდა, სულ მცირე, ისედაც მარჩეველი უმცროსისა ძისა, მას გაამეფებს, ხოლო ჩემს მიერ აღზევებულ ქირქიშს კვლავ დაამცრობს და ივანეს კი კეთილად მიუზღავსო. ამიტომაც დემნას ხელი სწორედ ივანე ორბელს ჩაუდო ხელში და აკი არც შემცდარა.

და განაზრახული იგი ახალი მეფე, დემნა, ამასთან, ხომ ქმარია ასულისა მისისა? ტყუილად კი არ შერთო ივანემ მას ასული თვისი, მომავალ დედოფლად დასახული!

გარნა, ჯერ განძაა ასაღები და აგერ, თათბირისთვის კიდეც მობრძანდნენ მთავარსარდლები.

კარავში ორი დევგმირი შემოვიდა – ქარმან იალდიგის ძე და ლომთავა თექთურაის ძე, ორნივ დინჯნი, გარნა ბრძოლის ჟამს ფიცხელნი და ზოგჯერ სიმწრით თავისა თვისთა დამკარგავნი. ერთს, ქარმან იალდიგის ძეს, სრული ბეგთარი ეცვა, მუზარადზე ნისკარტმოღუნული არნივი გამოესახა და ტუჩების კვნეტით მოდიოდა, თითქოს მარცხისმაგვარი რამ საუგო შეიტყოო. სამაგიეროდ, ლომთავა თექთურაის ძე ლაღად მომავალი გახლდა, პირისახე უცინოდა და მის შემხედვარე, ვერავინ იფიქრებდა, ამ კაცს იღბალი გამარჯვების გარდა კიდევ სხვა რასმეს უბედავსო.

ორთავემან სპასალარს ერთობლივი სალამი სცეს და მარჯვენა მხარეს, იქ, სადაც ლაშქრის უპირველესი ალამნი იყო მიყუდებული, ხის მოგრძო სკამზე ჩამოსხდნენ.

– კარგად გამაგრებული ჩანს, – სალამოს მცირედ შესქელებულ ბინდში გამომზირალი ციხისკენ გადაზნიქა წარბი თექთურაის ძემ.

– გვინახავს მაგნაირები, – ტუჩის კუთხეში ჩაილაპარა ქარმანმა, – კაცი ფიქრობ, გაჭირდება ძლევაო და მერმე სულ ერთი იერიშია საჭირო, რომ მეციხოვნენი ისე მოგელაქუცონ, როგორც ძაღლი – პატრონს.

– მეც ვფიქრობ, დიდი მსხვერპლის გაღება არ დაგვჭირდება, – დაეთანხმა ივანე ორბელი, – ჯერ ვიზრახვი მოციქული გავუგზავნოთ და დანებება შევთავაზოთ.

– მოგეხსენება, დიდო ორბელო, ციხეს ერთი კარი აქვს, გარნა კაცი მრავალ საძრომს მოუნახავს, – თქვა ქარმანმა ისე, რომ ციხისთვის თვალი არ მოუცილებია, – მდინარეც შეიძლება გამოვიყენოთ, თორემ კედლის სანგრევნი, ვფიქრობ, ზიანს ვერას უზამენ.

კარავში კიდევ ერთმა სარდალმა შემოდგა ფეხი და ვიდრე სალამს იტყოდა და მუხლს ჩახრიდა, იქ მყოფნი სათითაოდ შეათვალიერა.

ეს თავყაი იყო, რომელიც მთელი გზა ლაშქრის ზურგში მოდიოდა და ახლა, როცა დაიბანაკეს, ისიც დანარჩენ ჯარს შემოუერთდა.

– ვგონებ განძა-ციხის აღებაზე თათბირობდით, დიდო ივანე?

– დიახ, აგრე გახლდა. ვიდრე შეტევაზე გადავიდოდეთ, საშუალებას ვეძებთ ვითარ უმჯობეს არს ციხის აღება.

– ვიდრე აქ მოვიდოდი, კარგად შევათვალიერე გალავანიცა და ბურჯებიც, – დაიწყო თავყაი-სარდალმა, – დიდად მტკიცედ ნაშენი ჩანს. მდინარეც მცირეა, მას ვერ დავუყვებით, მესერით იქნება გადაღობილი. იქნებ ალყის დადება სჯობდეს...

– დროს დავკარგავთ დიდად, – უარყო სპასალარმა.

– სამაგიეროდ უსისხლოდ ავიღებთ. წყაროები გადავუკეთოთ, მდინარესაც კალაპოტი შევუცვალოთ.

– თავყა, არაა ეგ იოლი საქმე. პატარაა მდინარეო, მაგრამ სად გინდა მისი გადაგდება? ან წყაროები სად ვეძებოთ, საიდანაც ქალაქში წყალი შედის? აი გვირაბი რომ გაგვეთხარა...

– დრო უნდა მაგასაც, თუმცა... ივანე ორბელი დაფიქრდა, რადგან ეს აზრი უფრო მისაღები ეჩვენა, – ქარმან იალდაგის ძის აზრი ჭკუასთან ახლოს მგონია, რას იტყვით?

– არაა ცუდი ნაფიქრი, – დაეთანხმნენ სარდლები.

მაშინ ივანე წამოდგა და იქ მყოფთ შესთავაზა:

– წავიდეთ, ვიხილოთ ისნი ადგილნი, სადაც უკეთესი იქნება გვირაბის დაწყება. თუ შეუჩერებლივ დავადგებით საქმეს, ოთხ-ხუთ დღეში კიდეც შევაღწევთ ქალაქში. მაშინ კი ერთობლივად შევუტიოთ...

– შევუტიოთ, ოღონდ სხვა მხრიდან, რათა მცველთა ყურადღება იქით მივმართოთ, – ჩაიცინა თავყაიმ და ქარმანსა და ლომთავას გადახედა, – ჰოდა, ციხე შიგნიდანაც გატყდება და გარედანაც.

ის იყო, ივანე ორბელმა კარვიდან ორიოდე ნაბიჯი გადადგა და სარდლებიც მას მიჰყვნენ, რომ კიდევ ერთი ლაშქრის უფროსი, ზართიბ მენდადის ძე მოეახლათ, რომელსაც მუზარადი კეფაზე გადაეწია და ჩქარი სიარულისაგან გაოფლილ შუბლს ჭრელი ხელსახოცით იწმენდდა.

– დიდო სარდალო, ივანე ორბელო, როდემდე უნდა ვიდგეთ ციხის მისადგომებთან, როგორც მთვრალი მამლები? – მოახლოებისთანავე შესძახა ზართიბმა და შედგა, – ეგ მამაძაღლი ციხისმცველნი ჩვენს მეომრებს დასცინიან, მასხრად იგდებენ და უწმაწურ რასმე უჩვენებენ. და თავადაც არათავაზიანი მოძრაობით აჩვენა, როგორ ამასხარავებდნენ ციხეგალავანზე გადმომდგარი განძელები მოშორებით მდგარ ქართველებს, – ვინ მოითმენს ამას?

ივანე თავშეკავებით შეხვდა ახალმოსული სარდლის აღშფოთებას:

– ჩვენც სწორედ მაგისთვის მოვდიოდით ქალაქისკენ.

– მაგისთვის? რისთვის! – მეციხოვნეთათვის ხელის ჩამოსართმევად?

– არა, იერიშის ადგილის მოსაძებნად, – განუმარტა თავყაიმ, – მოუთმენელ ირემს, ხომ იცი, მომთმენმა კამეჩმა აჯობა.

– რა ადგილის მოძებნა გვჭირდება, შენმა სიცოცხლემ, მთელი ციხე ხელისგულზე გვიდევს.

ივანე ორბელი ასაკით ზართიბ მენდადის ძეზე შედარებით უფროსი იყო, სახელოზე რომ არაფერი ვთქვათ, ამიტომ მუდამ დარიგების კილოთი ელაპარაკებოდა. ახლაც ამგვარად უთხრა:

– ლაშქრის უფროსმა, ზართიბ, ახლოც უნდა დაინახოს და შორსაც. ის, ვინც ახლოს ვერ ხედავს, ვერც შორს დინახავს რასმე...

ზართიბი გუნებაში არ დაეთანხმა ივანეს, მაგრამ გაჩუმება არჩია, ივანე კი განაგრძობდა:

– გონიერი სარდალი ის არის, ვინც მცირე სისხლით დიდ გამარჯვებას აღწევს. დიდი მხედართმთავარნი ცდილობდნენ ნაკლები სიცოცხლე გაეწირათ და მტერი ისე დაემარცხებინათ. წამობრძანდი, ერთად ვნახოთ ის ადგილი, საიდანაც იერიშში უნდა და ვყოთ.

ზართიბს ეგონა ციხის კედლების დასათვალიერებლად მივდივართო და ივანესა და სარდლებს თავდახრილი გაჰყვა, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ორბელი ქალაქის კი არა, მისი საპირისპირო ადგილებს ათვალიერებდა, მენდადის ძემ კითხვის თვალით შეხედა დანარჩენ სარდლებს, რაზეც მათგან პასუხად მხარზე ხელის დადება და ეშმაკურად თვალის ჩაკვრა მიიღო. ზართიბი მიხვდა, ლაშქრის უფროსს სხვა რამ გეგმა ჰქონდა განზრახული და მოინდომა თავად მიხვედრილიყო რასმე, გარნა ვერა იაზრა რა და იძულებული შეიქნა იქამდე ელოდნა, ვიდრე ივანე ორბელი თავად არ ინებებდა რაიმეს თქმას.

სარდლები ციხისკენ გაემართნენ, მაგრამ ისე, რომ თავიანთ ბანაკს დიდად არ მოცილებულიყვნენ და არც გალავნის კედლებთან ისრის მანძილზე ახლოს არ მისულიყვნენ. იმის გამო, რომ თითქმის ყოველმხრივ ქართველების ლაშქარი იყო შემომდგარი, ეს არც გასჭირვებიათ.

როცა ერთ რაზმს ჩაუარეს, რომლის მებრძოლნიც იქვე მიწაზე იყვნენ ჩამუხლული, ზოგიც ნამონოლილიყო და ხელები თავქვეშ ამოედო, ივანე ორბელმა ერთ შუახნის, შავგვრემან კაცს მოჰკრა თვალი, რომელიც დანახვისთანავე იცნო, მაგრამ სახელი კი ვერ გაიხსენა. ორბელი წამით შეყოვნდა, იმ შავგვრემანმა კი, როგორ დაინახა, მყის ზეწამოიჭრა და სალამი მისცა.

– შენ... შენ რაღაც მეცნობი, – უთხრა ივანემ, – აბა გამახსენე თავი, სად მინახიხარ? მგონი ანისში იბრძოდი, ლაშქარში?

– ღმერთი შეგეწიოს, დიდო სარდალო, სწორედ რომ ანისიდან გახსოვარ, – კიდევ ერთხელ მოუხარა ქედი მეომარმა, – იქ ვიბრძოდი შენს ლაშქარში. მაგრამ მე მგონია უფრო იქიდან შემოვრჩი შენს ხსოვნას, ტფილისში რომ განმირისხდი ერთხელ – ამ უბანში მთლად მაშმადის რწმენის ხალხი ცხოვრობს და ღორი აქ რად დაკალიო!

ივანემ მყის გაიხსენა ეს ამბავი და სახელიც მოაგონდა მისი – ამაია.

– აჰ, შენ იყავი, დიდი დავით მეფის ბრძანება რომ დაარღვიე და ღორი წამოაქციე? მახსოვს, როგორ არ მახსოვს... მერმე, რა სასჯელი დაგადეს? ამაიაა შენი სახელი, ხომ არ მეშლება?

– ნამდვილად რომ ის ვარ, დიდო სარდალო, ამაია ვარ. მიჩივლეს მაშინ მაჰმადის მიმდევრებმა და კარგა ხანს სატუსაღოსი მაყურყუტეს. არადა, ეს თათრები ვითომ რას ამპარტავნებენ, რას უწუნებენ იმ მშვენიერ სამწვადე ცხოველსა? აი ახლა რომ მოგვცა...

ივანემ ხელით ანიშნა, გამომყევიო, გზა განაგრძო და თან იმ ამბებს იგონებდა, რასაც ქრისტიანთა და მუსულმანთა არევ-დარევა მოჰყვა. დიდმა დავით მეფემ ბევრი რამ დაუთმო მათ, ის კი არა, მოჭრილ ფულზეც კი ალაჰისა და მისი მოციქულის – მუჰამედის – სახელები ამოატვიფრინა, აბანოც კი საკუთარი გამოუყო – ისმაილის აბანო, ხოლო მათი სალოცავი ადგილი – მიზგითი – გააშვენიერა და თავადაც ესწრებოდა ხოლმე ლოცვებს, თან ფულსაც სწირავდა. ჰო, კიდევ ის, რომ გადასახადებს დავით მეფე ზოგჯერ ქართველებს უფრო მეტს ახდევინებდა, ვიდრე მუსლიმებს, მაგრამ ამგვარ სიკეთეებს ტფილისელი და ქვეყნის გარეთ მცხოვრები მუსლიმებიც დღენიადაგ დაუმორჩილებლობით, ბრძოლითა და თავდასხმებით პასუხობდნენ.

ნელ-ნელა საღამო დგებოდა და გალავნის კედლებიც ბუნდოვანებას იკრებდა, თუმცა იმდენად კი შეიშლებოდა ციხის გარკვევით დანახვა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ადამიანს მათი სიმტკიცე შეეფასებინა. მაგრამ ამირსპასალარს ახლა სხვა რამის გაგება სწადდა: მართლაც რომ გვირაბი გაეთხარა და კედლების შიგნით შეეღწია, იქ, ქალაქში როგორი ადგილმდებარეობა იყო – გორაკები, მოსწორებული მოედნები თუ მცირე ხევები, რომლებსაც ის გვირაბი მიადგებოდა, და სწორედ იქ ამოეყო თავი, სადაც საჭირო იქნებოდა. თავად ივანე დღემდე აქ არც ნაბრძოლი იყო და არც ნამყოფი, რომ ქალაქის მთა-გორიანობა სცოდნოდა. მაშასადამე, საჭირო იყო ვინმე აქაურის მოძებნა, ხოლო თუ ის აქაური ნებით არ აღუწერდათ ციხის შიგნითა ალაგებს, იარაღის ძალით აალაპარაკებდნენ.

თვით ციხე-ქალაქის მოშორებით ჩალით გადახურული ათი-თხუთმეტი ქოხი მოჩანდა, მათს მახლობლად კი ცხვრის ფარა და ნახირი სძოვდა, ვირებიც კოტრიალობდნენ ავარდნილ მტვერში და ზოგჯერ ხმიანად ყროყინებდნენ. ჩალით გადახურულ ალიზის ქოხების სიახლოვეს ადამიანი არავინ ჩანდა, მაგრამ ივანე დარწმუნებული იყო თიხით შელესილ მოწნულ კედლებში ვიღაც აუცილებლად დახვდებოდა.

რამდენიმე მოლაშქრემ მისი ბრძანებით ყველა ქოხი რომ გაჩხრიკა, მოზრდილს ვერავის წააწყდნენ, ვერც კაცს და ვერც დედაკაცს, ბალღებიც კი სადღაც გაკრეფილიყვნენ. ალბათ, მშობლებმა ციხეში შეხიზნეს. მხოლოდ ორი ბიჭი შერჩათ ხელში, რომლებიც თავისი ქოხის წინ ქვების გროვაზე ისხდნენ და, ეტყობოდათ, არსად წასვლას არ აპირებდნენ, იქნებ არც კი ეშინოდათ. ერთი რვა-ათი წლის ჩანდა, მეორე – თორმეტი-ცამეტის იქნებოდა.

ივანემ გადაწყვიტა მაინც ცდილიყო და ამ ბიჭებისთვის გამოეკითხა ქალაქის ფოლორცებისა თუ ხევ-ხუვების ამბები, ამიტომ ახლოს მოაყვანინა და ერთს, უფრო პატარას, ტკბილად გამოელაპარაკა, მეორეს კი მოშორებით დააცდევინა, ოღონდ თვალის დასანახავში, რათა ეგრძნობინებინა, რომ ცუდს არაფერს უპირებდა არც ერთს და არც მეორეს.

– მისმინე, ბიჭო, – უთხრა დაყვავებით, – გონიერი ყმაწვილი ჩანხარ და თუ კარგად მოიქცევი, მამაშენს დიდად გახარებ.

ბიჭი შეშინებული კი ჩანდა, თუმცა არც იმდენად, რომ კანკალი დაეწყო. ივანეს ნათქვამზე თმააბურძგნილი თავი ასწია და მთლად ჯავშან-ბოლოტიკში ჩამჯდარ ცხვირკეხიან ივანეს უნდოდ შემოხედა.

– აქაური ხარ? – ჰკითხა ივანემ.

ბიჭმა თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია და ცხვირზე ხელის ზურგი მოისვა.

– ქალაქში ნამყოფი იქნები, – განაგრძო ივანემ.

ბიჭმა ისევ დაუქნია თავი.

– შეგიძლია თქვა, რომ ეგ ქალაქი მთლად მოსწორებულია, თუ მაღალ-დაბალი ადგილებიც ბევრია?

ბიჭმა მხრები აიჩეჩა, რადგან ვერ მიხვდა რას ეკითხებოდნენ. მაშინ ამირსპასალარმა გადაწყვიტა უფრო მოეხალვათებინა საუბარი და ჯიბიდან დინარი ამოიღო:

– აბა, ჭკვიანი ბიჭი ხარ და გქონდეს.

მაგრამ ყმაწვილმა ფულს მხოლოდ დახედა და არ განძრეულა.

– რაკი არც ოქროს აღება გნებავს, აბა ჯერ მამაშენის სახელი მითხარი, მერე შენი, ხომ იცი, რა სახელიც გქვია, იმგვარი კაცი ხარ! – გაეხუმრა ივანე და მხარზე ხელი მოუთათუნა.

ივანე არ იყო ბოროტი და ავი კაცი, ზოგჯერ ძალზე კეთილიც ხდებოდა, თუ ამის საშუალებას გარემოება აძლევდა, თუმცა მკაცრმა და სასტიკმა ცხოვრებამ ის სითბოსა და გულითადობას ისე დააშორა, როგორც მთა და ბარი.

ახლაც, თავადაც არ იცოდა, რატომ მოეწონა ეს ბიჭი, რომელიც ოქროს არ დახარბდა და ჭკვიანი თვალებით შემოსქეროდა.

– აბა, რას იტყვი? მამაშენის სახელი არ იცი?

– როგორ არ ვიცი, აღა. მამაჩემს იუსუფი ჰქვია, მე კი ნაჰიმს მეძახიან, მაგრამ მინდა სხვა სახელი მერქვას. შენ არა თქვი, როგორი სახელიც გქვია, ისეთი კაცი ხარო?

ბიჭის ნათქვამზე ივანეს გულიანად გაეცინა და ამჯობინა კიდევ უფრო დაეყვავებინა მისთვის:

– ჰა, რაო? სხვა სახელი გინდა გერქვას? კეთილი, მაშ მითხარი, როგორ გინდა რომ გეძახოდნენ?

– აღა, მამაჩემისგან გამიგონია, ქვეყანაზე სულ ომია და ბრძოლაო, თუ გინდა გამარჯვებული იყო, კარგი მეომარი უნდა იყოო, აი იმგვარი, გულში რომ შიში არასოდეს შეეპარებაო. ჰოდა, მეც მინდა კარგი მებრძოლი დავდგე და, თანაც, ყველგან გამარჯვებული გამოვიდე. მინდა ნეზამი მერქვას, აღა.

ივანემ გაოცებისაგან ლამის იყო პირი დააღო, რადგან ათი წლის ღლაპისაგან აგრე დანყობილ საუბარს ნამდვილად არ ელოდა. არ ელოდა, რადგან, ერთი შეხედვით, ეს ბიჭი, ნაჰიმი, ვინმე უბირივით გამოიყურებოდა. და, უცებ: ბრძოლასა და გამარჯვებაზე არ დაინყო ლაპარაკი?

– ისე გატყობ, მედრესეშიც უნდა სწავლობდე.

– მე არა, აღა, ჩემი ძმა დადის მედრესეში. მამაჩემს უჭირს, წელებზე ფეხს იდგამს, რომ მოლას, ვინც მას ასწავლის, როგორმე ფული გადაუხადოს. საჩემო აღარაფერი რჩება.

ივანე ერთ ხანს გაჩერდა და ბოლოს ჰკითხა:

– მაშ, რა გინდა გერქვას, ნაჰიმ? მეომარი?!

– დიახ, აღა. „ნეზამ“ სწორედ მაგას ნიშნავს.

– მაგრამ როგორ გინდა კარგი მეომარი დადგე? ხმალ-ხანჯალი, ფარი და ჯაჭვის პერანგი თუ გაქვს? ან ცხენი თუ გყავს?

– აბა საიდან მექნება, აღა, წელან გითხარი, მამაჩემი ერთი ღარიბ-ღატაკი კაცია, ძლივს ახერხებს მე და ჩემი დაძმები მშივრები არ დავრჩეთ ხოლმე. მეც ვეხმარები, მაგრამ მაინც არ გვყოფნის, – თქვა ბიჭმა და მერე დასძინა: – მაგრამ მოლასთვის გადასახდელს მაინც ვაგროვებთ.

რაღა უნდა ეთქვა ივანე ორბელს? მიხვდა, ეს ურიგო ბიჭი არ არისო და ამჯობინა, თავი დაენებებინა, ხოლო რადგან მისი დაწყობილი სიტყვა-პასუხი მოეწონა, გადაწყვიტა რაღაც ეჩუქებინა მისთვის.

– მისმინე, ნეზამ, თუ ნაჰიმ, რაკი ორივე სახელი გქვია, მეც ასე დაგიძახებ, გინდა კარგი ბედაურიც იშოვო, ხმალიცა და ჯაჭვის პერანგიც? თუ გინდა, მაშინ ერთ საქმეში უნდა დაგვეხმარო.

– მითხარი, აღა, და თუ ჩემს ხალხს არაფერს ავნებს, მზად ვარ ყველაფერზე პასუხი გაგცე.

– მაგრამ, ჯერ შენს ძმასაც დაველაპარაკოთ, ნაჰიმ, ვატყობ, მოუთმენლად იყურება აქეთ. ჰეი, აბა ერთი იმ ბიჭს დაუძახეთ! – ამირსპასალარმა მესაჭურჭლეს მეორე ყმაწვილზე ანიშნა და მალე ისიც მის წინაშე ქედმოხრილი წარსდგა.

– შენი ძმის სახელი შევიტყეთ, მამაშენისაც, – ივანემ ანიშნა, – უფრო ახლოს მოდიო, – ახლა შენი სახელიც მითხარი.

– მე, დიდო აღა, ილიასი მქვია, აგრე დამარქვა მამაჩემმა.

– ილიას, ვხედავ, ორივე ძმა ჭკვიანები ხართ, მაგრამ, რატომღაც, შენს ძმას თავისი სახელი არ მოსწონს, მითხრა, მირჩევნია ნეზამი მერქვასო. შენც ხომ არა გაქვს გულში სხვა სახელი დაირქვა?

– დიდო აღა, შენ, გარდა იმისა, რომ, ვხედავ, გურჯების ლაშქარში დიდი კაცი ხარ, თვალიც ქორისა გაქვს და ძალ-ღონე ხარისა, იმასაც ვხედავ, რომ გულთამხილავიც ყოფილხარ. საიდან იცი, რომ მართლაც მინდა უკეთესი სახელი მერქვას?

– ეგ ძნელი გამოსაცნობი არ არის, – გაეცინა ორბელს, რომელიც მართლაც გახალისდა ამ ყმაწვილებთან საუბარში და დაღლილობის ტვირთი ისე მოსცილდა მხრებიდან, თითქოს მძიმე რამ შეჭურვილობა მოეხადოს, – რადგან შენს ძმას ეგ აზრი აქვს, შენც შეიძლება იგივეს ფიქრობდე. რაჰიმს უნდა „ნეზამი“ დაუძახონ, შენ რაღას იტყვი?

– დიდო აღა, ვისურვებდი მეც ნეზამი მერქვას.

– რაკი ასეა, გამოდის, რომ შენც კარგი მეომარი გინდა რომ დადგე? „ნაზემი“ ხომ მეომარს ნიშნავს, მებრძოლს.

– მომიტევე, დიდო აღა, მაგრამ „ნაზემი“ სხვა რამესაც ჰქვია და სწორედ მაგიტომ მინდა რომ დავირქვა ეგ სახელი.

– სხვა რამესაც ნიშნავს? აბა მითხარი, ილიას, რას ნიშნავს, რა გაქვს გუნებაში?

– აღა, თუ არ განმირისხდები, ჩემი მოძღვრის სიტყვებს გეტყვი, მან კი ისინი ყურანში წაიკითხა. აი რა წერია ყურანში: „ქვეყნიერება – ესაა დიდად მოწესრიგებული რამ, და ეს წესრიგი სხვას არავის შეუქმნია, თუ არა ალაჰს“. ჰოდა, რადგან „ნეზამი“ ქვეყნიერების წესრიგიანობასა და კარგად მოწყობას ნიშნავს, მეც მინდა სულ მოწესრიგებულად ვიცხოვრო, სადაც ყველას თავისი ადგილი ექნება და მე შემეძლება ეს წესრიგიანობა აღვწერო.

ივანე ორბელი გაოცებას იყო, ეგონა უბირ ყმაწვილებთან ჰქონდა საქმე, როგორიც ამ ხნის ბალღების უმეტესობაა, აქ კი რას წააწყდა? დაწყობილი სიტყვა-პასუხი, ჭკვიანი აზრები, ის კი არა, ყურანიდანაც კი უთხრეს რამდენიმე აია.

– საიდან ეგ აზრები, ილიას? ნუთუ ის შენი მოლა ასეთი ბრძენი კაცია? თუ ყურანს თავადაც კითხულობ?

გაგრძელება გვ.4 ▶

დალი მაზმიშვილი

დაკარგული ყაყაჩო

მინდვრად გნახე საოცარი
ახლოს იყავ, განა შორს,
შეგრჩენოდა ცრემლის ცვარი
დაკარგულო ყაყაჩო!
წითელ კაბას მზეზე ჰფენდი,
ლამის დარდმა დამახრჩო,
შენს მინაზე სხვას უმღერდი
დაკარგულო ყაყაჩო!
არ მშორდება საფიქრალი,
შენს სიყვარულს სხვა რა სჯობს,
გიცდის შენი მიწა-წყალი
დაკარგულო ყაყაჩო!
მოაწყდება ბილიკს თვალი,
ახლოსა ხარ, განა შორს,
მტკივა ჩემი საფიცარი,
წართმეულო ყაყაჩო!

საროს მეგალითები

შეეჭირხლა ამინდს სოფლის
მთები, ტბები, გზაშარა,
გულს პატარა სხივიც ჰყოფნის,
ოცნებამ ფრთა გაშალა.
ვდგავარ სამასნლოვან ქვებთან,
არ გეგონოთ მითები,
ხატებაა ღვთიურ ფერთა
საროს მეგალითები.
თითქოს დიდი ნინაპრები
გმირთა ამბებს ჰყვებიან,
ვარსკვლავების კელაპტრები
დილამდე არ ქრებიან.
ცა ფიფქების თმას ივარცხნის
უთეთრესი თითებით,
სიმდიდრეა ამ მიწა-წყლის
საროს მეგალითები.

რა კარგია...

რა კარგია საქანელა,
ფიქრს აგიშლის ფერად-ფერადს,
ნატვრის ყაისნაღით ფერავ
მოგონების ცისარტყელას.
ბავშვობისკენ გაშლი აფრებს,
აფრინდები, თუ გსურს ფრენა,
ნამი მარგალიტებს გაბნევს,
სერს მოირბენ ფეხშიშველა.
დაუკოცნი აკაციებს
ვარდისფერ და ფრთათეთრ პერანგს,
წვიმად მოაქვს თან ზეციერს
ლამაზ წელთა აღმაფრენა.
ვით ტოროლა, ხმაწკრიალა,
ცას მიაწვდენ შენს სიმღერას,
ფრთები რომ არ დაეღალა,
ქარმაც რომ ვერ შეაჩერა.
სიყვარულით გახსენდება
 თვალგიშერა ბიჭის მზერა,
ზეციდანაც არ გცილდება,
ისევ გიკრეფს ყვავილს ფერადს.
ხელებს მოხვევ ყანას მკერდზე,
ყაყაჩო რომ წითლად ფერავს,
შეფიცულხარ შენს ედემზე
ხსნაც არის და ბედისწერაც.
მოგანატრებს ფრონისპირებს
სიყვარულის ხატპეპელა,
წასვლას არსად დააპირებ
სხვა განძია შენი კერა.
გაფრენილა ო, რა წლები,
მზე რომ ნატვრის ძაფით კერავს,
სად წასულან მეგობრები,
ასე მალე, ერთად ყველა.
აქეთ ზეცა, იქით მთები,
ჭაღარასაც გუობ ძნელად,
აქაც, იქაც მეყვარებით,
რა კარგია საქანელა.

საფარა

გაწვიმდა... გზას ვეღარ ავივლით,
ლურჯი ცა შხაპუნამ დაფარა,
შორს დარჩა ოცნების ყვავილი,
საფარა, საფარა, საფარა!...
ო, როგორ მინდოდა მეც შენთან,
თან გამოგაყოლე გულს ჯავრი,
ფიქალს ვერ გიკოცნი თეთრ ქედანს,
აქედან დაგსახე პირჯვარი!
გულს მოენატრები საფარა,
ერთხელაც ამოვალ გპირდები,
სადაც წვიმს, მზეცაა თაკარა,
სად ფრენენ სამოთხის ჩიტები!

კუმურდოს უფლის ჩიტები

ჩვენ ვართ ჩიტები, უფლის ჩიტები,
ტაძრის ღია თაღს ფრთით ვეჭიდებით,
ნურც გაოცდებით, ნურც გაკვირდებით,
აქედან არსად არ გავფრინდებით!
კუმურდოს გუმბათს ვეჭიკჭიკებით.
სიხარულისგან ცაში ვიჭრებით,
გვხურავს ვარსკვლავთა მარგალიტები,
უძველეს კედლებს ლოცვად ვჭირდებით,
 ბევრზე ბევრი ვართ უფლის ჩიტები,
სიყვარულსა და ჭიკჭიკს გპირდებით,
მაცხოვრის ლოცვის მადლით ვმდიდრდებით,

გვიყვარს მლოცველი თავდავიწყებით,
ტაძრის განუყრელ სულად ვითვლებით,
თავსაც გავწირავთ, არც დავფიქრდებით,
რადგან ერთმანეთს ვეიმედებით,
ღვთით კურთხეული, ჩვენ ვართ ჩიტები!

მიყვარს ქარი

მიყვარს ქარი, ხან ფრთაქნარი,
ხან ფრთაწვიმა,ფრთამყივარი,
მოქნეული, უჩინარი,
მეამბოხე, მეომარი!
ღრუბლის მთებს რომ დააქანებს,
ცის მოსასხამს აფრიალებს,
ხან მწუხარებს, ხან ხარხარებს,
თუ დასჭირდა, სულსაც დალევს!
დაკარგული სამშობლოდან
გულში დარდი უგროვდება,
უფლის ლოცვა ფრთით მოჰქონდა,
დღეს იქ არვინ ეგულება!
სიმარტოვის მოაქვთ ქარებს
სათქმელი და სავალალო,
საფიქრალს კი იქ რა დალევს,
სიყვარული აღარ ხარობს!
ჩამოშლილა ზეცის კალთა,
ვარსკვლავებით ამონნული,
ვინ განირა დასაკარგად,
სახატე და საღვთო ნული!
ცრემლები ვინ ამოუშრო
დედას ღვთისას ქართლის გულში,
ან ვინ უნდა მოუშუშოს
ჭრილობები გარეთ თუ შინ!
დაატარებს ამგვარ განცდებს,
მიყვარს ქარი, მიყვარს ქარი,
გზას მიჰყვება მხოლოდ ნამცნევს,
ვერც მთა იჭერს, ვერც საზღვარი!
ცას სწევს მთათა ანასხლეტით,
სული უდღეს, დარდით კვდება,
მოზარეა ერთადერთი,
წართმეულს ვერ ურიგდება!

ბებიები და პაპები

ბებიები და პაპები,
ხსოვნაში ისე კარგები ...
ბავშვობის ტკბილი ზღაპრები,
კალთებნაკეცი კაბები,
თმა - ნვერ ვერცხლნაარაკები,
ჩვენეულ გაზაფხულების
წკრიალა ზანზალაკები,
ჩვენ – მათი მადლის კაკბები.
ბებიები და პაპები,
ხსოვნაში ისე კარგები...
ბროლგადაყრილი ღიმილით,
სიტყვის ჩუქურთმის ნაზავით,
მათი გავლილი გზაწვრილი,
ჩვენი ცხოვრების საგზალი.
ვაზის ნაკურთხი ზედაშით
პირთამდე სავსე ხელადა,
მათგან ნალოცი ჭერ-ფუძე,
მათგან ნამცნევი კერა და...
ბებიები და პაპები,
ჰოი, ისეთი კარგები.
და ამშვენებენ მიწისპირს
ბალახის მწვანე კვართებით,
სულს ჩათასმული სიმებით
ჩვენც მათკენ მივემართებით.
მონატრების ქნარს ავყვები
და ბავშვობაში ვბრუნდები,
ღამით გულმკერდზე აცვივათ
ვარსკვლავთა იაგუნდები.
რა სიხარულის დამტევნი,
ან როგორ თესეს ამდენი?!
ბებიები დაპაპები,
ხსოვნაში ისე კარგები.

ზარზმის

შენ წინ ყველამ უნდა მუხლი მოიყაროს,
უფლის სადიდებელს თაყვანი გცენ,
სამკვიდრო ერის დაფნით დაიფაროს,
რომელმაც აღგმართა შენ!
ტაძრულო სიმაღლევ, ზეციისკენ საფრენო,
მშფოთვარე, მგზნებარე სულთა,
თვალებო, მკლავებო, ღიმილო, ღიმილო...
ქვებში ჩანთებულო სუნთქვავ!
კედლებზე მიმოდიან სახეთა ჩრდილები,
ვერასდროს ვერ გთმობენ შენ,
შენ წინ ყველამ უნდა მუხლი მოიყაროს,
უფლის სადიდებელს თაყვანი გცენ!

ხადიკის[1] სასნაული

თრიალეთიდან ცის ნანთებ სანთელს
ქრისტესმიერი მოაქვს ვედრება,
ღამე ვარსკვლავთა სასანთლეს ანთებს,
რა შეედრება!
ტბაში ეშვება ტაძრის გუმბათი,
თითქოს არც მდგარა არასდროს წინათ,
ფერად სათიბში მზის ათინათით
ხადიკი ბრწყინავს.
ზაფხულში მალავს ტაძარი თაღებს,
მიწიდან ისმის ლოცვა-ვედრება,
ზამთარში ცათა ცხრავე კარს აღებს,
ტბის მკერდზე ჩნდება!
გორა-სამარხებს მზე ალმაცერი,
მოწიწებით და კრძალვით ეხება,
ეს სასნაული, ო, როდინდელი,
ხადიკში ხდება.
გადარჩენილ და შეძრცვილ ფიქალებს
მარადიული მოჰყვება სევდა
და ცის ნათელში,
დარდს რომ მიქარვებს,
ღვთისმშობელს ვხედავ.

[1] *ხადიკი–სოფელი თრიალეთის კალთაზე. აქ მე-8 საუკუნის ქრისტიანული ტაძარია, რომელიც ზაფხულში ტბაში იძირება გუმბათიანად, ხოლო ზამთარში ამოიმართება ტბის ზედაპირზე.*

ქეთევან დედოფალს

წვიმს, წვიმის თმები კი მინდვრებზე იშლება,
წვიმისფერ ამინდში მეც დარდებს ვბარდები,
შორეულ მიწაზე ცრემლი კი არ შრება,
რა ტკივილს ატარებს შირაზის ვარდები.
გვირგვინის ხელყოფა ეწადა შაჰ-აბასს,
წუთია, წამია სიცოცხლე რჩეული,
ის დღე კი, ამ დღემდე, არც ერთ დღეს არა ჰგავს,
დარჩა სამსხვერპლოზე ბრწყინვა ძოწეულის.
ეწადა, ვერ შესწვდა საღვთოს და საეროს,
იძლია აბას და ოცნება დანაცრდა,
სიცოცხლე რწმენას და სამშობლოს წაეღო,
ესმოდა სამყაროს, არამცდა, არამცდა...
ღვთისმშობლის კალთაზე ესვენა სიწმინდე,
ისე, ვით იესოს ნატანჯი სხეული,
ჰოი, დედოფალო! ისევ სწევ ცის კიდეს,
ისევ გვასულდგმულებს მადლი შენეული!

მიყვარს იასამანი

მიყვარს იასამანი
მწვანეკაბა რტოებით,
მტევან-მტევან აწვდილი
მდგარი განმარტოებით.
თითქოს ცერზე შემდგარან
მეზობლის გოგოები,
ისე ყელყელაობენ მისი კენწეროები.
მიყვარს იასამანი
ცვარციმციმა თვალებით,
თეთრი საყელოებით,
ღვთიური მოკრძალებით.
მიყვარს იასამანი,
თქეშ წვიმაში ნაბანი,
მისეული სურნელი,
ახდენილი ზღაპარი.
საჩუქრებად გაშლილი,
სიყვარულის მსურველი,
მიყვარს იასამანი,
მის შემოსვლას სულ ველი.
ყრმობის ბილიკებიდან
მასთან ერთად მოვდივარ,
მიყვარს იასამანი,
ჰოი, ჰოი, როდიდან...
რაღაც სხვანაირია
მელნისფერი სინაზე,
რაღაც დაუვიწყარი,
სხვას ვერ გავცვლი იმაზე.
იქაც, იქაც გამყვება
ცრემლად ფრთა უთვალავი,
ნატვრის მძივად ასხმული
მიყვარს იასამანი.

ოცნების ფრთებით

სხივთა ბადეებს მდინარეში მზე როცა ჩაშლის,
ნიავის ხმაზე ყვავილების ისმის გალობა,
ისევ იზიდავს ადამის ძეს სამოთხის ვაშლი,
ვერ იმყოფინა, მაცხოვარმა რაც უწყალობა.
ფაფარაყრილი ოცნებებით მიფრინავს ცაში,
ზოგს თუ ახდენა ებედება, გულს აძლევს შვებას,
ზოგი მზის ქალღმერთს ჩაეწვნება ოქროსფერ
თმაში,
ზოგი კი კრძალვით, სათნოებით, ცრემლივით
შრება.
ცა კი სულ ბრწყინავს სილამაზით სასრულის
კართან,
მიუღწეველი ოცნებების საცთურთან ახლოს...
რადგან იქ ჩემი, შენი, სხვათა და სხვათა,
აუხდენელი, გაფრენილი ოცნებაც სახლობს.
ასე დღითიდღე ემატება სიმაღლე ტატნობს,
ღიღილოებით მოიჩითავს საკინძეს ღელე,
ალბათ მიტომაც აქ ჰოფნას და სიცოცხლეს
ვნატრობთ,
იმ აუხდენელ ოცნებით რომ ვიბრწყინოთ მერე.

„მე, რიყლოვან...“

დასაწყისი გვ. 2-3 ▶

– როგორ არა, აღა, არაბული კარგად მესმის, ხოლო რასაც ვერ ვიგებ, მოძღვარს ვეკითხები ხოლმე.

ივანე დაფიქრდა. მან მშვენივრად უწყოდა კარგი სჯა-ბაასისა და გონივრული აზრების ფასი.

– მაშ შენთვის საჩუქარი ალალია, – უთხრა კმაყოფილმა ილიასს, მარცხენა შუათითიდან ლალისთვლიანი ბეჭედი წაიძრო და გაუწოდა: – აჰა, გქონდეს ივანე ორბელისგან სახსოვრად. ვატყობ, გონიერი კაცი დადგები და, იქნებ, სახელოვანიც. ჰოდა, ტფილისში რომ მოხვდები, აუცილებლად მეწვიე.

– მადლობა, აღა, ალაჰი მოგაგებს სამაგიეროს, – ღირსებით უთხრა ილიასმა და ბეჭედი ჩამოართვა, – ნებას მიბოძებ წავიდე?

– ილიას, დღეიდან ჩემი ლაშქრის მდივანთან იქნები და მიეხმარები, ახლა კი შეგიძლია დამტოვო, მაგრამ ჯერ ჩემს ლაშქარში დარჩები. არსად გაიპარო, თორემ ყველგან მოგაგნებთ და შუბზე აგაგებთ, იცოდე! – დაემუქრა ივანე, თუმცა ხვდებოდა, რომ ეს მუქარა ზედმეტი იყო და როცა მესაჭურვლემ ილიასი წაიყვანა, ახლა ნაჰიმს მიუბრუნდა:

– ნაჰიმ, ალბათ ქალაქში ხშირად ხარ, ხოლმე, არა?

– აღა, მე ქალაქში ვარ გაზრდილი, მთელი დღე იქ ვარ, მამაჩემს ვეხმარები ხალიჩების ქსოვაში.

– მაშ შენ წერა-კითხვაც გეცოდინება? თუ ასეა, მცოდნე ბიჭი გამოდიხარ.

– ეჰ, დიდო აღა, მე მაგის ბედი ვინ მომცა! – დიდი კაციკვით ამოიოხრა ნაჰიმმა,– არაბულად წერა არც ისე ადვილია, თანაც, მე ხმლის მოქნევა და ისრის სროლა მირჩევია.

– ის შენი ძმის მოძღვარი, მოლაო, რომ თქვი, ნაჰიმ, ქალაქში დიდი ხევის პირას ცხოვრობს, არა? – გამომცდელად შეეკითხა ორბელი.

– ქალაქში ხევი არსადაა, აღა. გალავნის შესასვლელთან ცხოვრობს, ალაყაფთან. მეჩეთიც იქვეა.

– აა, მივხვდი: გორა რომაა, დაქანებული, იმის ძირას უდგას ხომ სახლი? ვიცი, ვიცი. ერთხელ ვარ ქალაქში ნამყოფი.

– აღა, თუ ნამყოფი ხარ ქალაქში, მაშინ გეცოდინება, რომ იქ არც გორა არ არის, ხელის გულივით მოსწორებულია ყველაფერი.

ორბელმა იმედგაცრუებით ჩაილაპარაკა:

– ეჰ, დამვიწყებია ყველაფერი! – და მესაჭურვლეს მიუბრუნდა: – ამისთანა კარგ ბიჭს, მეომარი მინდა გავხდეო, მართლაც ეკუთვნის კარგი ბედაური. წაიყვანე და რომელსაც ხელი დაადოს, მოახტეს და გააჭენოს.

მაგრამ ნაჰიმს სულ ახლახან შეპირებული კარგად ახსოვდა:

– დიდო აღა, აკი ხმალსაც გაჩუქებ და ჯაჭვის პერანგსაცო?

– ჯერ ვნახოთ, როგორი მხედარი ხარ და მერე არც მაგაზე გეტყვი უარს. არსად დაიკარგო, შენს ძმასთან ახლოს იტრიალე, მალე დამჭირდები.

ნაჰიმმა, რომელსაც სურდა მეომარი გამხდარიყო და სახელადაც „ნეზამი“ ანუ „მებრძოლი“ რქმეოდა, თავი დაუკრა ორბელს და მესაჭურვლეს ცხენების ბაკისკენ გაჰყვა, სადაც მშვენიერი შავრა ცხენს დაადგა თვალი, და რაკი ივანეს ბრძანებით მესაჭურვლესაც უარი არ უთქვამს, იქვე მოევლო, ერთი დაჰკივლა, ქუსლები შემოჰკრა და გააჭენა.

ივანე ორბელი კმაყოფილი დარჩა, რადგან, რაც სურდა, რომ შეეტყო, ამ ბიჭის მეშვეობით ყველაფერი გაიგო. ახლა შესაძლებელია გვირაბის გაჭრა დაიწყოს და დაიწყებს კიდეც...

(გაგრძელება იქნება)

ფატიკური ზღაპრები

ფაფუკა ცხენიჩემი

ოდესღაც ცხოვრობდა ერთი მეწისქვილე, რომელსაც ჰყავდა სამი ვაჟი. მეწისქვილე მოხუცდა და გრძნობდა, დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა. მან მოიხმო უფროსი შვილი და უთხრა:

– მე მალე მოვკვდები, რა გირჩევნია, შენ რომ მემკვიდრეობით დაგიტოვო – სიმდიდრე თუ მამის ანდერძი?

– რა თქმა უნდა, სიმდიდრე!– მიუგო უფროსმა შვილმა, – მარტო ანდერძი კუჭს ვერ გაგიძღებს.

– კარგი. შენ მემკვიდრეობით გაძლევ წისქვილს, ჩემი ფულის ნახევარს და იცხოვრე, როგორც გინდა, – უთხრა მამამ.

შემდეგ მოიხმო შუათანა შვილი და უთხრა:

– მე მალე მოვკვდები, რა გირჩევნია, შენ რომ მემკვიდრეობით დაგიტოვო, სიმდიდრე თუ მამის ანდერძი?

– სიმდიდრე დამიტოვე, მამაჩემო, მარტო ანდერძით ვერ იცხოვრებს ადამიანი ამ ქვეყანაზე.

– კარგი. როდესაც მე მოვკვდები, შენ მიიღებ ჩემს სახლს, ჩემი ფულის ნახევარს და იცხოვრე, როგორც გინდა, – მიუგო მამამ.

ორივე შვილი კმაყოფილი დარჩა და მხოლოდ იმას ფიქრობდნენ, მალე მომკვდარიყო მათი მამა.

მამამ მესამე შვილიც მოიხმო და უთხრა:

– მე მალე მოვკვდები, შვილო, რა გირჩევნია, შენ რომ მემკვიდრეობით დაგიტოვო, სიმდიდრე თუ მამის ანდერძი?

– თქვენ რომ მოკვდეთ, მამაჩემო, მე როგორ შემიძლია ვიცხოვრო შენი ანდერძის გარეშე? – მოწყენილად მიუგო უმცროსმა შვილმა, – მე სიმდიდრე არ მინდა, დამიტოვე მხოლოდ შენი მამური ანდერძი და ის მომეხმარება ცხოვრებაში.

– შენ კარგი შვილი ხარ! – უთხრა მამამ, – მაშ ისმინე, ჩემი მამური ანდერძი: როდესაც მოვკვდები, სამ ღამეს იარე ჩემს საფლავზე, იქ გაიგებ, რაც უნდა გააკეთო შემდეგში.

შვილი ატირდა მამის სიბრალულით და წავიდა თვალცრემლიანი.

იმავე ღამეს გარდაიცვალა მამა. იტირეს შვილებმა, დაასაფლავეს მოხუცი და სასწრაფოდ შეუდგნენ მემკვიდრეობის გაყოფას. უმცროს ძმას არაფერი არგეს. ამიერიდან ღამის გასათევიც კი არ ჰქონდა.

უფროსი ძმა ეუბნება უმცროს ძმას:

– ჯერჯერობით, თუ გინდა, ჩემთან იცხოვრე.

საშუალომაც იგივე უთხრა:

უმცროსმა ძმამ მადლობა გადაუხადა უფროს ძმებს და უპასუხა:

– მე არ მსურს ვიცხოვრო თქვენთან, მუქთაჭამელად, თუ გინდათ, მე თქვენი ჯოგის მწყემსი ვიქნები.

და, მართლაც, გახდა თავისი უფროსი ძმების ჯოგის მწყემსი.

მამის სიკვდილის შემდეგ, პირველსავე ღამეს, განთიადის წინ, როცა ჯერ კიდევ ბნელოდა, უმცროსი შვილი წავიდა მამის საფლავზე. კეთილად მოიგონა თავისი მამა და, იმისი გარდაცვალებით დამწუხრებული, მწარედ ატირდა. უცებ შემოესმა ცხენის ჭიხვინი. მობრუნდა და რას ხედავს, იმის წინ გიშერივით შავი, ლამაზი ცხენი დგას, გრძელი ფაფარითა და ფაფუკი კუდით დამშვენებული. ცხენს ადგია ოქროს უნაგირი, რომელიც შემკულია ვერცხლის მოსართავებით და დიდი ფრთები აქვს.

– შემაჯექი და გაგაფრენ, საითაც გინდა! – უთხრა ცხენმა.

– ჩემი გაფრენა არ შეიძლება, მე მწყემსი ვარ და ჯოგს ვუდგივარ.

– მაშინ, ამოაძრე ჩემი ფაფარიდან ძუის გროვა, შეინახე და გაუფრთხილდი. თუ როდესმე შენთვის საჭირო ვიქნები, აიღე თითო ცალი, დაწვი და მეც იმ წამს შენთან მოვფრინდები.

ბიჭმა ცხენის ფაფარიდან ამოგლიჯა რამდენიმე ცალი ძუა, შეახვია თავის სარტყელში და... ცხენიც გაუჩინარდა.

მეორე ღამეს, განთიადის წინ, ისევ წავიდა უმცროსი შვილი მამის საფლავზე. კეთილად მოიგონა თავისი მამა და იმისი გარდაცვალებით დამწუხრებული, მწარედ ატირდა. მალე ისევ შემოესმა ცხენის ჭიხვინი. მობრუნდა და ხედავს, იმის წინ ფაფუკ ფაფრიანი და გრძელკუდიანი ლურჯა ცხენი დგას, ოქროს უნაგირით, ვერცხლის მოსართავებითა და ფრთებით.

– შემაჯექი ზურგზე და გავფრინდეთ, სადაც გსურს, – უთხრა ცხენმა.

– ჩემი გაფრენა არ შეიძლება. მე ვალდებული ვარ, ვმწყემსო ჩემი ძმების ჯოგი, – უთხრა ვაჟმა.

– მაშ, ამოგლიჯე ჩემი ფაფარიდამ ძუის გროვა, შეინახე და გაუფრთხილდი. როდესაც დაგჭირდები, ამოიღე ერთი ცალი, დაწვი და მეც იმ წამს შენთან მოვფრონდები.

ვაჟმა ამოგლიჯა ძუის გროვა ლურჯა ცხენის ფაფარიდან და ცხენიც მაშინვე გაუჩინარდა.

მესამე ღამეს, განთიადის წინ, ისევ მივიდა უმცროსი შვილი მამის საფლავზე. დაიწყო მამის მოგონება და იმისი სიკვდილით დამწუხრებული მწარედ ატირდა. უცებ ისევ მოესმა ცხენის ჭიხვინი. ასწია თავი და ხედავს, იმის წინ დგას მშვენიერი თეთრი ცხენი გრძელი ფაფუკი ფაფარითა და გრძელი კუდით, ზურგზე ადგას უნაგირი და ვერცხლის მოსართვები, გვერდებზე კი ფრთები აქვს.

– შემაჯექი და გავფრინდეთ, სადაც გსურს, – უთხრა ცხენმა.

– არსად წასვლა არ შემიძლია. მე ვმწყემსავ ჩემი ძმების ჯოგს, – მიუგო ვაჟმა.

– მაშინ ამოგლიჯე ჩემი ფაფარიდან ძუის გროვა და გაუფრთხილდი. როდესაც დაგჭირდე, დაწვი ჩემი ერთი ძუა და მაშინვე მოვფრინდები შენთან.

ვაჟმა ამოგლიჯა თეთრ ცხენს ფაფარიდან ძუის გროვა და ცხენიც გაჰქრა ჭიხვინით.

დიდხანს ცხოვრობდა თუ ცოტა ხანს უმცროსი ძმა უფროს ძმებთან მწყემსად, ყოველდღიურად, ადრიანად მიდიოდა იგი მინდორში ჯოგის სამწყემსურად და საღამოს მოჰყავდა სახლში. იგი ცხოვრობდა საქონლის ფარეხში, საჭმელსაც არ ჭამდა ძმებთან, მაგრამ თავის ბედს მაინც არ უჩიოდა.

ერთ საღამოს, როდესაც ჯოგით სახლში ბრუნდებოდა, დაინახა – ქალაქის ქუჩებში დარბის მაცნე და ყვირის:

– ფადიშაჰს სურს შეიტყოს, იმის ქვეყანაში ვინაა ყველაზე საუკეთესო მხედარი! იმას, ვინც სასახლის ორმოცსაფეხურიან კიბეს აირბენს ცხენის ჯირითით, ფადიშახი დანიშნავს თავისი ჯარების სარდლად და ცოლად მისცემს თავის სამეფოში ყველაზე ლამაზ ქალიშვილს.

ქვეყნის ყველა მხრიდან მოგროვდნენ ფადიშახის ეზოში საუკეთესო მხედრები. ყველას სურდა გამოეჩინა თავისი ოსტატობა, გამხდარიყო ჯარების სარდალი და ცოლად მზეთუნახავი შეერთო.

შეჯიბრების დღეს, სასახლის წინ, მოედანზე, მოგროვდა ქალაქის მთელი მოსახლეობა. იქ მოსულიყო ვაჟის ორივე ძმაც.

უმცროსმა ძმამ აუჩქარებლად შერეკა ბოსელში საქონელი, დაიბანა და წავიდა მამის საფლავზე. იქ მან მოიგონა თავისი მამა, მწუხარებით იტირა, გახსნა თავისი სარტყელი, ამოიღო გიშრისფერი ცხენის შავი ძუა და დაწვა. ამ წამსვე იმის წინ გაჩნდა გიშრისფერი ცხენი, რომლის უნაგირზე ეწყო მდიდრული ტანსაცმელი.

– ჩქარა მოემზადე! – უთხრა ცხენმა.

ცოტა ხანში, ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი, გიშრისფერ ცხენზე ამხედრებული ვაჟი გამოჩნდა ქალაქის ქუჩებში. ქუჩები სავსე იყო ხალხით. სახლების ბრტყელ სახურავებზე მუსიკოსები უკრავდნენ ზურნას და ესალმებოდნენ შეჯიბრებაზე მიმავალ მხედრებს.

ფადიშახის სასახლის წინ მდებარე მოედანი ელვარებდა ძვირფასი მოსართავებით შეკაზმული საუცხოო ცხენებით, სადღესასწაულოდ მორთული მხედართა ხალათებით, მაგრამ ხალხისთვის ყველაზე შესამჩნევი მაინც მწყემსი ვაჟის გამოჩენა იყო. ყველას თვალი გაურბოდა გიშრისფერ მერანზე ამხედრებული მხედრისკენ.

ბევრს უკვე მოესწრო თავიანთი ხელოვნების ჩვენება, მაგრამ ჯერ კიდევ არავის მიეღწია მაღალი კიბის შუამდეც კი.

აი, მობრუნდა შუა კიბეზე მიუღწეველი უკანასკნელი მხედარი და ისიც ხალხის მასას შეერია. რიგი დადგა გიშრისფერ მერანზე ამხედრებულ ვაჟზე. ყველა მას ადევნებდა თვალს. იმისი ცხენი მსუბუქად მიიწევდა კიბის საფეხურებზე, მაგრამ, როცა მიაღწია მის თავს, ცხენი უეცრად შეჩერდა, რადგან მეტი ვეღარ შეძლო და პირქვე დაეშვა.

შეჯიბრების პირველი დღე უშედეგოდ დამთავრდა. უბედობით გახელებული მხედრები დაიშალნენ ხვალინდელი დღის მოლოდინით. ხალხიც სახლებში დაბრუნდა. უმცროსი ვაჟი მიჯირითდა მამის საფლავზე. ჩამოხტა ცხენიდან, გადაიცვა თავისი ძველი ტანსაცმელი და გაიქცა სახლისკენ, რათა ძმებისთვის მიესწრო მისვლა.

ძმები გამხიარულებულები დაბრუნდნენ სახლში. ერთი მეორეს სიტყვას აწყვეტინებდნენ და ისე უამბობდნენ უმცროს ძმას საუკეთესო გიშრისფერ ცხენზე ამხედრებული უცნობი მხედრის შესახებ, რომელმაც შესძლო კიბის საფეხურების ყველაზე მაღლა ასვლა.

მეორე დღეს, უფროსი ძმები, შუადღით, ისევ წავიდნენ სასახლის მოედანზე. უმცროსმა ძმამ კი მიიყვანა ჯოგი სახლში, დაიბანა და გაიქცა მამის საფლავზე. მოიგონა მამა და მისი მწუხარებით ატირდა. შემდეგ გახსნა სარტყელი, ამოიღო ლურჯა ცხენის ოქროსფერი ძუა და დაწვა. ვაჟის წინ, იმწუთშივე გაჩნდა ლამაზი ლურჯა ცხენი ოქროს უნაგირით და ვერცხლის მოსართავებით.

უნაგირზე იდო გუშინდელზე უფრო ლამაზი და მდიდრული ტანსაცმელი.

– ჩქარა მოემზადე! – უთხრა ცხენმა.

ქურანა ცხენზე ამხედრებული ვაჟი მიჰქროდა სასახლის მოედნისკენ.

ქუჩა ისევ სავსე იყო ხალხით. ისევ უკრავდა მუსიკა. მალე იცნეს ლამაზი მხედარი და ხმამაღლა მიესალმნენ. მათ გუშინდელზე უფრო უკვირდათ მხედრისა და იმისი ქურანა ცხენის ძვირფასი მორთულობის სილამაზე.

ამ დღესაც ბევრი ცხენოსანი ცდილობდა ასულიყო კიბეზე, მაგრამ ვერავინ შეძლო კიბის შუამდე აჯირითება. ქურანა ცხენზე მჯდომი მხედარი ყველაზე გვიან მივიდა და ამიტომ ვალდებული იყო ბოლოს შესდგომოდა კიბეზე ასვლას. სწრაფად და მსუბუქად შეჯირითდა იმისი ცხენი კიბის საფეხურებზე. აი უკვე მიაღწია შუა კიბეს და კვლავ წინ მიიწევს. ხალხში მხიარული შეძახილები, მაგრამ ოცდამეათე საფეხურზე ქურანა ცხენი შედგა. ზემოთ ასვლა ვეღარ შეძლო და უკან დაეშვა.

ასე უხეიროდ დამთავრდა შეჯიბრება. იმ დღესაც ისევ ერთმანეთს აწყვეტინებდნენ სიტყვებს უფროსი ძმები ერთმანეთს და ასე უამბობდნენ უმცროს ძმას შეჯიბრების შესახებ და განსაკუთრებით აღრთოვანებულები იყვნენ უცნობი მხედრით, რომლის ცხენიც იმ დღეს უფრო ლამაზი და გამბედავი იყო ვიდრე წინა დღეს.

მესამე დღესაც ადრიანად მოიყვანა ჯოგი სახლში უმცროსმა ძმამ. დაიბანა და ისევ გასწია მამის საფლავზე. უფროსი ძმები კი დიდი ხნის წასულები იყვნენ. მან მოიგონა მამა, დარდისაგან ატირდა კიდეც. შემდეგ ამოიღო თეთრი ცხენის ძუა და დაწვა. სულ მალე მის წინ თოვლივით თეთრი ცხენი გაჩნდა, რომელსაც გრძელი ფაფუკი ფაფარი და სწორი თეთრი კუდი ჰქონდა. მის ზურგზე იდგა ოქროს უნაგირი და ვერცხლის მოსართავები. უნაგირზე – ტანსაცმელი, უფრო ძვირფასად შემკული, ვიდრე თვით ფადიშახისა.

უმცროსი ვაჟი გამოეწყო, მოახტა ცხენს და საჯირითოდ გაქუსლა ქალაქის ცენტრისკენ.

ქუჩები ხალხით უფრო მეტად იყო გადავსებული. კიდევ უფრო ხმამაღლა უკრავდა მუსიკა, ხალხი ხმაურობდა და ღელავდა.

ეს დღე ფადიშახმა შეჯიბრების უკანასკნელ დღედ გამოაცხადა.

თეთრ რაშზე მჯდომი მხედარი დღეს უფრო დიდებულად ჩანდა, ვიდრე წინა დღეებში. თეთრ ცხენს დავარცხნილი ყელი ღამაზად მოეღერებინა და თამაშით მოდიოდა. ხალხი ეგებებოდა მხედარს მხიარული შეძახილებით.

მხედრები მწკრივად დაეწყვნენ მოედანზე და რიგრიგობით მიდიოდნენ სასახლისკენ, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა დღესაც ვერ შესძლო შუა კიბემდე მიღწევა.

უკანასკნელი გაექანა უმცროსი ძმა. მსუბუქად და სწრაფად მიიწევს მისი ცხენი საფეხურებზე. აი მიაღწია შუა კიბეს და ისევ მარდად მიიწევს წინ. დარჩა სულ რამდენიმე საფეხური. ყოველი მხრიდან ისმის მოწონების შეძახილები. მხედარმა მათრახი მოუქნია ცხენს. ცხენი ფრინველივით აფრინდა. ერთ წუთში გადაახტა უკანასკნელ საფეხურს და, როგორც სვეტი, ისე გაჩერდა მაღლა, კიბის თავზე.

ირგვლივ ყველანი ახმაურდნენ. მუსიკოსებმა ხმამაღლა დაუკრეს ზურნები. კიბის მოედანზე გამობრძანდა ფადიშახი და ხალხს გამოუცხადა, რომ გამარჯვებულს ნიშნავს თავისი ჯარების სარდლად და ცოლად აძლევს თავის სამეფოში ყველაზე მზეთუნახავ ქალს.

მაგრამ გამარჯვებულის კვალიც აღარსად ჩანდა. იგი ქარიშხალივით დაეშვა დაბლა კიბიდან და სწრაფად გაქუსლა თავისი მამის საფლავზე. იქ ისევ მწყემსურად ჩაიცვა, ცხენი გაუშვა და სახლში დაბრუნდა. უფროსი ძმები რიგრიგობით უამბობდნენ უმცროს ძმას იმ ბედნიერების შესახებ, რომელმაც ცხენით შეძლო ორმოცსაფეხურიან კიბეზე ასვლა და ძალიან უკვირდათ იმისი მიმალვა.

მეორე დღეს, დილაადრიან, მწყემსმა ძმამ საქონელი გარეკა საძოვარზე, თვითონ კი გაიქცა მამის საფლავზე, ისევ კეთილად მოიგონა მოხუცი მამა, ბევრი იტირა, შემდეგ ამოიღო თეთრი ცხენის ფაფარის ძუა და დაწვა. მაშინვე მოფრინდა თეთრი რაში. ოქროს უნაგირზე ეწყო ახლა უფრო ლამაზი ტანსაცმელი, ვიდრე პირველ სამ დღეს.

ვაჟმა ჩაიცვა თუ არა, მაშინვე მოახტა ცხენს და წაჯირითდა ქალაქში. ამ დღეს გამოეცახდებინათ ფადიშახის მებრძოლთა დათვალიერება. ასობით მებრძოლი მოსულიყო სასახლის მოედანზე. და აი, გამოჩნდა გუშინდელი გამარჯვებულიც. იმისი ცხენი ლაღად მიფრინავდა ჰაერში.

იმ ქუჩას რომ მიუახლოვდა, სადაც იმისი ძმები იდგნენ, უმცროსმა ძმამ მათ წინ წამით შეაჩერა ცხენი, გაუღიმა და ხელი დაუქნია. ძმებმა იცნეს და მაშინვე შეჰყვირეს:

– ეს შენ, ჩვენი ძმა არა ხარ?!

– დიახ, მე ვარ! არ დაგავიწყდეთ, საღამოს თქვენი ჯოგის სახლში მიყვანა! – ჩამოსძახა უმცროსმა ძმამ და სწრაფლ გააქროლა ცხენი თავისი ჯარისკენ.

თარგმნა პლატონ ზუმბაძემ
1955 წელი

მესხეთის დედასამშობლოში

ვახტანგ გურული

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

ყარსის აღება

რუსეთის ჯარის სამივე ბრიგადას მდინარე არპაჩაი ერთდროულად არ გადაულახავს. 1828 წლის 14 ივნისს არპაჩაი გადაიარა ერთმა ბრიგადამ, მომდევნო დღეებში – დანარჩენმა ჯარებმა. გიუმრიდან ყარსამდე 65 ვერსი იყო. 19 ივნისს ბრიგადას პირველი შეჯახებები მოუხდა ოსმალთა პიკეტებთან. რუსეთის ჯარებმა ყარსთან მოიყარეს თავი. ოსმალთა ჯარის ნაწილი ყარსის ციტადელში იყო გამაგრებული, ნაწილს კი ქალაქის გარშემო ეკავა სტრატეგიული პოზიციები. 23 ივნისს რუსების არტილერიამ დაბომბა ყარსის გარშემო განლაგებული მოწინააღმდეგის პოზიციები. ოსმალები მედგრად იცავდნენ თავს, განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები მიმდინარეობდა ყარსის ციტადელის გარეთ, სომხურ უბანში. რუსების არტილერიამ თითქმის მთლიანად დაანგრია ქალაქ ყარსის გარშემო არსებული სიმაგრეები. დაიწყო მზადება ყარსზე შეტევისათვის. ციტადელის დაბომბვას გარნიზონმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლით უპასუხა, მაგრამ მალე ყარსის ფაშა ემინმა ციხის გალავანზე თეთრი დროშა გადმოკიდა. რუსებმა ემინ ფაშას შემდეგი პირობები წაუყენეს: 1. ყარსის ფაშა თავს

რუსების სამხედრო ტყვედ აღიარებდა; 2. ყარსის ციტადელის გარნიზონი იარაღს ჩააბარებდა, რის შემდეგაც ოსმალებს შეუფერხებლად უნდა დაეტოვებინათ ციხე-სიმაგრე, რუსებს გარნიზონის ოფიცრები და ჯარისკაცები ტყვედ არ უნდა აეყვანათ; 3. ყარსის მიდამოებში განლაგებული ოსმალეთის ჯარის ბედი რუსეთის სარდლობის შეხედულებისამებრ უნდა გადაწყვეტილიყო. ემინ ფაშა დროის მოგებას ითხოვდა, რისთვისაც ორი დღე ითხოვა. ამ დროისათვის მუჰამედ ფაშა 20.000 მებრძოლით ყარსიდან ერთი დღის სავალზე იმყოფებოდა. კაზაკთა პიკეტებმა მუჰამედ ფაშას მზვერავი რაზმები ყარსიდან 5-6 ვერსის მოშორებით შენიშნეს. პასკევიჩმა გადაწყვიტა სწრაფად ემოქმედა და ემინ ფაშას პასუხს აღარ დალოდებოდა. ყარსის ციტადელისა და ქალაქის დაბომბვა მთელი ღამე გრძელდებოდა, პრაქტიკულად, ქალაქი უკვე გადამწვარი იყო. 1828 წლის 23 ივნისს, დილით ყარსის გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა. რუსებს ნადავლის სახით დარჩათ 151 ზარბაზანი, ტყვედ აიყვანეს 1.350 მებრძოლი. ბრძოლაში დაიღუპა 1, დაიჭრა 13 რუსი ოფიცერი, დაიჭრა 248 ჯარისკაცი. 24 ივნისს პასკევიჩი თავის შტაბთან ერთად ყარსში შევიდა და 25 ივნისს იქ რუსებმა იმპერატორ ნიკოლაი I-ის დაბადების დღე აღნიშნეს.

ყარსის გარნიზონი 1828 წლის 23 ივნისს დილის 10 საათზე დანებდა. მალე გაირკვა, რომ მუჰამედ ფაშა 20.000 მებრძოლით ყარსიდან 1 საათის სავალზე იმყოფებოდა. მის შესახვედრად პასკევიჩმა გენერალ ნიკოლაი მურავიოვის ბრიგადა გაგზავნა. მუჰამედ ფაშამ გაითვალისწინა, რომ არზრუმი სრულიად დაუცველი იყო, უკან დაიხია, გაიარა არტაანი (არდაგანი) და არზრუმის დაცვისათვის მოემზადა. ოსმალო ფაშამ არ იცოდა, რომ პასკევიჩი არზრუმზე შეტევას არც აპირებდა. რუსეთის ჯარში შავმა ჭირმა იჩინა თავი. ერთ დღეში ბევრი რუსი ჯარისკაცი დაიღუპა, 203 ოფიცერი და ჯარისკაცი 8-9 დღე კარანტინში იმყოფებოდა. შავი ჭირის ჩაცხრა თუ არა, კავკასიის მთავარსარდალმა ახალციხეზე სალაშქროდ იწყო მზადება.

ახალქალაქის აღება

ყარსიდან ახალციხემდე ორი გზა მიდიოდა: პირველი არტაანის, ხოლო მეორე ახალქალაქის გავლით. ივან პასკევიჩმა მეორე გზა არჩია, რადგან იგი რუსეთის საზღვართან უფრო ახლოს გადიოდა. მის დაქვემდებარებაში მყოფი 15 ბატალიონიდან ყარსის საფაშოს დასაცავად პასკევიჩმა 6 ბატალიონი დატოვა, სულ ახალციხეზე სალაშქროდ ის 9 ბატალიონით, დონის კაზაკთა 6 პოლკითა და 46 ზარბაზნით გაემართა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ამ ძალებით ახალციხის აღება ძალზე გაჭირდებოდა, მით უფრო, რომ ჯერ ახალქალაქის დაკავება იყო აუცილებელი. ყარსის საფაშოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარების (ყირიმის ქვეითთა, ეგერთა 39-ე, ეგერთა მე-40 პოლკები, დონის კაზაკთა, მე-20 საარტილერიო ბრიგადები, 12 ქვემეხი) მეთაურად კავკასიის მთავარსარდალმა გენერალ-მაიორი ალექსანდრ ბერხმანი დატოვა, ხოლო თავად ძირითადი ძალებით 1828 წლის 17 ივლისს ახალციხისაკენ დაიძრა. 19 ივლისს რუსები უკვე ჩილდირის ტბას მიადგნენ, ხოლო 22 ივლისს ახალქალაქს მიაღწიეს. დაღამდა თუ არა, რუსმა არტილერისტებმა გენერალ-მაიორ ნიკოლაი კოროლკოვის ხელმძღვანელობით ახალქალაქის გარშემო საალყო ზარბაზნების განლაგება დაიწყეს. ზარბაზნების განლაგება წარმატებით დასრულდა 23 ივლისის დილისათვის და რუსებმა ახალქალაქის ციტადელის ძლიერი დაბომბვა დაიწყეს. 18 საალყო ზარბაზანი გამუდმებით უშენდა ყუმბარებს ციტადელს. დაბომბვის შედეგად ახალქალაქის ციხე სერიოზულად დაზიანდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგ ახალქალაქიდან ოსმალთა გარნიზონი გაიყვანეს და იგი ლაზებით ჩაანაცვლეს. საარტილერიო დაბომბვის დროს ლაზების ნაწილმა ბრძოლა მიატოვა და გაიქცა. გაიქცა ციხის კომენდანტი ფარჰად ბეიც. გაქცეულებიდან ცოცხალი თითქმის არავინ არ გადარჩენილა, 24 ივლისს რუსმა კავალერისტებმა ისინი დახოცეს. ახალქალაქში 23 ივლისს რუსებმა ტყვედ აიყვანეს ახალქალაქის ბეი, 16 ოფიცერი და 300 რიგითი მებრძოლი, ხელთ იგდეს 14 ზარბაზანი. ახალქალაქის ციტადელის დაუფლებიდან დიდი დრო არ იყო გასული, როდესაც რუსებმა შეიტყვეს, რომ არტაანიდან ახალქალაქისაკენ ოსმალეთის კავალერია მიემართებოდა, რათა ციხეში მყოფ ლაზებს დახმარებოდა. ოსმალთა კავალერიასთან შესახვედრად ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი გაემართა. ოსმალეთის კავალერიის მეთაურმა შეიტყო თუ არა, რომ ახალქალაქი უკვე რუსების მიერ იყო დაკავებული, მაშინვე უკან გაბრუნდა. რუსი გენერლებისა და ოფიცრების ნაწილი ახალქალაქის ციხის საფუძვლიანად დანგრევას უჭერდა მხარს. პასკევიჩი მიიჩნევდა, რომ ახალქალაქი მნიშვნელოვანი სტრატეგიული სიმაგრე იყო, რის გამოც მის დანგრევაზე უარი თქვა და იქ რუსეთის ჯარის გარნიზონი ჩააყენა.

ხერთვისის აღება

ახალქალაქის დაკავების შემდეგ ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა ხერთვისი. ხერთვისში თავს იყრიდა არტაანიდან, ახალქალაქიდან და ახალციხიდან მომავალი გზები. ხერთვისის ციხის დასაკავებლად ივან პასკევიჩმა გამოყო გრენადერთა 1 ბრიგადა, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის 1 დივიზიონი და 200 თათარი ცხენოსანი. ჯარის მეთაურობა გენერალ-მაიორ ფონ დერ ოსტენ-საკენს დაევალა. 26 ივლისს ხერთვისისაკენ პოლკოვნიკ რაევსკის მეთაურობით კავალერია დაიძრა და მალე ციხეს მიუახლოვდა. ციხის გარნიზონს რუსებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ხერთვისის ციხის დაკავების შემდეგ რაევსკიმ ნადავლის სახით ხელთ იგდო 13 ზარბაზანი. მან ციხეში მცირერიცხოვანი გარნიზონი დატოვა.

ახალციხის აღება

ხერთვისის აღების დროისათვის რუსეთის ჯარის მთავარი ძალები ჯერ კიდევ ახალქალაქთან იდგა, საითკენაც გადასროლილ იქნა ახალი ძალები: მანგლისიდან – ერევნის ქვეითი პოლკის 1 ბატალიონი; ბაშკიჩეტიდან – ეგრეთა 41-ე პოლკის 1 ბატალიონი და 21-ე საარტილერიო ბრიგადის 2 ზარბაზანი; გიუმრიდან – კოზლოვსკის პოლკის 2 ასეული; წალკიდან – ხერსონის გრენადერთა პოლკის 2 ასეული. უფრო ადრე ახალქალაქში გადაიყვანეს 250 დონელი კაზაკი და 200 თათარი ცხენოსანი ბორჩალოდან. მტკვრის ხეობით ახალქალაქისაკენ მიემართებოდა ხერსონის გრენადერთა პოლკის 6 ასეული.

ახალქალაქიდან ახალციხისაკენ ორი გზა მიდიოდა: პირველი, რომლის სიგრძე 160 ვერსს უდრიდა, არტაანზე გადიოდა და ვარგისი იყო როგორც ქვეითი ჯარის გადასაყვანად, ისე აღალის მოძრაობისათვის. მეორე გზა, რომლის სიგრძე 60 ვერსი იყო, ციხისჯვარზე გადიოდა. ამ გზაზე აღალის მოძრაობა ძალზე გაჭირდებოდა. ივან პასკევიჩმა მაინც მეორე, უმოკლესი, გზა არჩია, რადგან შიშობდა, რომ შემოვლითი გზა ჯარს დააგვიანებდა, რაც ოსმალებს ახალციხის გარნიზონის გასაძლიერებლად დროს მისცემდა. დაიძრა თუ არა ჯარი, რუსებმა საგანგაშო ცნობა მიიღეს: მუჰამედ ფაშა ყარსის ციხიდან რუსების გარნიზონის, განდევნა გადაიფიქრა, ყარსს გვერდი აუარა და არტაანისაკენ აიღო გეზი. თვითმხილველები ამტკიცებდნენ, რომ ოსმალო ფაშას 30.000 მებრძოლი ჰყავდა, ხოლო შეიარაღებაზე 15 ზარბაზანი გააჩნდა. შექმნილ ვითარებაში პასკევიჩის წინაშე კვლავ დადგა ახალციხისაკენ მიმავალი გზის არჩევის საკითხი. თავდაპირველად კავკასიის მთავარსარდალი ფიქრობდა ახალციხეზე არტაანის გავლით (ე.ი შემოვლითი გრძელი გზით) დაძრულიყო და, პირველ რიგში, მუჰამედ ფაშას ჯარი გაენადგურებინა. ამავე დროს, პასკევიჩს ეჭვი ეპარებოდა იმ ცნობების სიზუსტეში, რომლებიც მუჰამედ ფაშას ჯარის რაოდენობისა და მოძრაობის მარშრუტის შესახებ მიიღო. იგი არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, რომ ხმები ფაშას არტაანის მიმართულებით გალაშქრების შესახებ თავად ოსმალების მიერ იყო დარხეული, რათა პასკევიჩი აეძულებინათ ახალციხისაკენ შემოვლითი, 160-ვერსიანი, გზით დაძრულიყო, რაც ახალციხესთან რუსეთის ჯარის სწრაფად მისვლას გამორიცხავდა. ბოლოს კავკასიის მთავარსარდალმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: კავალერისტთა რაზმი არტაანის მიმართულებით გაგზავნა, რათა მუჰამედ ფაშას განზრახვის შესახებ ზუსტი ინფორმაცია მიეღო, თავად პასკევიჩი კი ციხისჯვრის გავლით (ე.ი მოკლე, 60-ვერსიანი გზით) ახალციხისაკენ დაიძრა. მთებზე გამავალი გზა ძალზე ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა. ურთულესი გზა ჯარმა სამ დღეში გაიარა და 1828 წლის 3 აგვისტოს ახალციხეს მიუახლოვდა. პასკევიჩმა ჯარი მტკვრის ნაპირზე შეაჩერა და უკან ჩამორჩენილ ნაწილებს დაელოდა. 4 აგვისტოს მტკვრის მარცხენა ნაპირზე არსებულ რუსების ბანაკში ჯარების თავმოყრა დასრულდა. რუსები ახალციხიდან 6,5 ვერსის მოშორებით იყვნენ დაბანაკებულნი. 4 აგვისტოს პასკევიჩთან გამოცხადდა მუჰამედ ფაშას ჯარების შესახებ ცნობების შესაგროვებლად გაგზავნილი კავალერისთა რაზმის მეთაური კაპიტანი ბეგლიარევი და მთავარსარდალს მოახსენა: მუჰამედ ფაშამ არტაანი გამოიარა და დღესვე, ე. ი. 4 აგვისტოსვე, ახალციხეს მოადგებაო. მალე ახალციხის ციტადელიდან რუსების ბანაკის მიმართულებით ზარბაზნებიდან ცეცხლი გახსნეს. პასკევიჩი მიხვდა, რომ ოსმალებმა მუჰამედ ფაშას მოახლოების ამბავი შეიტყვეს. 4 აგვისტოს მონაცემებით პასკევიჩის დაქვემდებარებაში 8.000 ოფიცერი და ჯარისკაცი იყო. ჯარი, რა თქმა უნდა, მცირე იყო, მაგრამ ოფიცერთა და ჯარისკაცთა უმრავლესობას ჯერ კიდევ ალექსეი ერმოლოვის მთავარსარდლობის დროს დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა მიღებული, ისინი სულ ცოტა ხნის წინ ყარსთან გამართული ბრძოლების მონაწილენიც იყვნენ. მალე 8.000 რუსი 40.000 ოსმალოს დაუპირისპირდებოდა.

1828 წლის 4 აგვისტოს, შუადღისას, ახალციხის ციტადელიდან საარტილერიო დაბომბვა შეწყდა, სამაგიეროდ, გარნიზონმა თოფებიდან ძლიერი ცეცხლი გაუხსნა რუსების საინტენდანტო ნაწილებს, რომლებიც ციხის გალავანსა და რუსების ბანაკს შორის ცხენებისათვის თივას ამზადებდნენ. პასკევიჩმა ეგერთა 39-ე პოლკის 1 ბატალიონი პოდპოლკოვნიკ მიკლაშევსკის მეთაურობით მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა და სასწრაფოდ რედუტის აგება უბრძანა. რედუტის აგება გონივრული გადაწყვეტილება გამოდგა. 5 აგვისტოს პასკევიჩმა ჯარის დანარჩენი ნაწილიც მარჯვენა ნაპირზე გადაიყვანა. ჯარების მდინარეზე გადასვლას იცავდა ეგერთა 42-ე პოლკი 12 ზარბაზნით. ოსმალებმა როგორც ეგერთა 42-ე, ისე მდინარეზე გადასვლისათვის მომზადებულ დანარჩენ პოლკებს ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. მტკვარზე გადასვლა შეფერხდებოდა, რომ პოდპოლკოვნიკ მიკლაშევსკის რედუტიდან საპასუხო ცეცხლი არ გაეხსნა. რუსებმა მტკვარი გადალახეს, წინ წაიწიეს და შუა დღისას მდინარე ფოცხოვის ნაპირზე, ახალციხის გალავნის სამხრეთი კედლის სიახლოვეს შეჩერდნენ.

ივან პასკევიჩმა ახალციხეზე შეტევის გეგმა შეადგინა. მან ყურადღება მიაქცია ერთ-ერთ გორაკს, რომელიც ზედ დაჰყურებდა ახალციხის ციტადელს. კავკასიის მთავარსარდალმა გადაწყვიტა ეს გორაკი გამოეყენებინა ახალციხეზე შტურმისათვის. 5 აგვისტოს რუსები შეტევაზე გადავიდნენ და ეს სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაღლე უბრძოლველად დაიკავეს. 5 აგვისტოს ჯარები ახალციხეზე შეტევისათვის უკვე მზად იყვნენ. 4-5 აგვისტოს გამართული შეჯახებებისას აშკარა გახდა, რომ ოსმალებს რუსებზე გაცილებით ძლიერი კავალერია ჰყავდათ, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ოსმალთა ქვეითი ჯარიც რამდენიმეჯერ აღემატებოდა რუსებისას. პასკევიჩმა მალე შევსება (13,5 ბატალიონი) მიიღო. ოსმალთა სარდლობამ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა: 5 აგვისტოდან 3 დღის განმავლობაში ოსმალები სრულ ინერტულობას იჩენდნენ, რამაც რუსებს საშუალება მისცა საფუძვლიანად მომზადებულიყვნენ იერიშისათვის. 8 აგვისტოს პასკევიჩმა ცნობა მიიღო: ოსმალთა ჯარი, 10.000 გამუსლიმებული ლაზი მებრძოლი, ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად მოემართებოდა. პასკევიჩი მიხვდა, თუ წინა დღეებში რატომ არ აქტიურობდა ახალციხის გარნიზონი: ოსმალები ლაზების გამოჩენას ელოდნენ. კავკასიის მთავრსარდალმა სასწრაფოდ შეკრიბა სამხედრო საბჭო. მდგომარეობა საგანგაშო იყო: ოსმალები ლაზების ჯარის გარეშეც ბევრად აღემატებოდნენ რუსებს. შექმნილ ვითარებაში ოფიცერების ნაწილი პასკევიჩს ურჩევდა მტკვრის ხეობით სასწრაფოდ დაეხიათ უკან თბილისისაკენ და ახალციხეზე ლაშქრობა ჯარის შევსების შემდეგ დაეწყოთ. სამხედრო საბჭომ უკან დახევას მხარი არ დაუჭირა. გადაწყდა მოულოდნელად მთელი ძალებით შეეტიათ ოსმალებისათვის. 8 აგვისტოს საღამოს პასკევიჩმა შესაბამისი ბრძანებები გასცა: გენერალ-მაიორი ნიკოლაი მურავიოვი გრენადერთა ბრიგადით რუსების ბანაკში უნდა დარჩენილიყო. ჯარის ძირითადი ნაწილითა (8 ბატალიონით) და 25 ზარბაზნით ივან პასკევიჩს შეტევა უნდა დაეწყო. რუსეთის დაზვერვის ცნობით, ოსმალთა ჯარი ოთხ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი ციხის ჩრდილოეთით იდგა, მეორე – დასავლეთით, ხოლო მესამე და მეოთხე – ახალციხიდან არტაანისაკენ მიმავალი გზის დასაწყისში. პასკევიჩმა გადაწყვიტა, რომ პირველად ციხის ჩრდილოეთით განლაგებული ოსმალთა ბანაკისათვის შეეტიათ. შეტევისათვის გამზადებული ჯარი ასე განლაგდა: მარცხენა ფლანგზე იდგა ერევნის ქვეითი პოლკის 1 ბატალიონი და ეგერთა 41-ე პოლკის 1 ბატალიონი 6 ზარბაზნით; ცენტრში – ხერსონის გრენადერთა პოლკის 6 ასეული 4 ზარბაზნით; მარჯვენა ფლანგზე – შირვანის ქვეითი პოლკი, კოზლოვსკის ქვეითთა პოლკის 2 ასეული, ქვეითთა 1 ასეული 2 ზარბაზნით. რეზერვში იდგა მთელი კავალერია და ეგერთა 42-ე პოლკი. რეზერვის განლაგებაში იმყოფებოდა კავკასიის მთავარსარდალიც. დონის კაზაკთა 2 პოლკს გენერალ-მაიორ მურავიოვსა და შეტევაზე გადასულ ჯარს შორის კავშირის უზრუნველყოფა ევალებოდა.

1828 წლის 9 აგვისტოს დილის 6 საათზე ოსმალეთა ქვეითი ჯარი შეტევაზე გადმოვიდა, იმავდროულად, ოსმალთა კავალერიამ გენერალ-მაიორ ნიკოლაი მურავიოვის ბანაკს შეუტია, მაგრამ დონის კაზაკთა ორმა პოლკმა ოსმალთა კავალერია უკუაქცია. ყველა მიმართულებით ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. რუსებმა პირველ იერიშს მეორეც მიაყოლეს, მაგრამ მალევე უკუიქცნენ. ოსმალებმა 30 წუთი შეისვენეს და მეორე იერიში დაიწყეს. დღის 2 საათზე ორივე მხარემ ბრძოლა დროებით შეწყვიტა. განახლდა თუ არა ბრძოლა, შეტევაზე 42-ე პოლკი გადავიდა გენერალ-მაიორ ნიკოლაი კოროლკოვის მეთაურობით. ოსმალებმა ძლიერი ცეცხლით რუსების შეტევა შეაჩერეს. ჯარისკაცების გამხნევების მიზნით გენერალ-მაიორი კოროლკოვი წინ გაიჭრა. ოსმალებმა გენერალი სასიკვდილოდ დაჭრეს, რამაც რუსთა რიგებში არეულობა შეიტანა. მდგომარეობა შირვანის ქვეითთა პოლკის გამოჩენამ იხსნა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ახალციხის გარშემო განლაგებულმა ოსმალთა დამხმარე კორპუსმა უკან დაიხია. პასკევიჩმა საყოველთაო შეტევის დაწყება ბრძანა. რუსებმა ერთმანეთის მიყოლებით გაანადგურეს ოსმალთა ოთხივე ბანაკი. უკან დახეული ოსმალთა ქვეითი ჯარისა და კავალერიის განადგურებაში თავი გამოიჩინეს ნიჟეგოროდის დრაგუნთა და დონის კაზაკთა პოლკებმა, რომელთაც ტყვედ ჩაიგდეს 500 ოსმალო, ზარბაზნები და აღალი. რუსების კავალერიამ ოსმალების დევნა ახალციხიდან 20 ვერსის მანძილზე გააგრძელა და ახალციხეში მხოლოდ 10 აგვისტოს დაბრუნდა. ახალციხესთან განლაგებული ოსმალთა ჯარის ოთხი ბანაკის განადგურებისათვის ბრძოლაში რუსებმა 1 გენერალი, 32 ოფიცერი და 495 ჯარისკაცი დაკარგეს.

ახალციხის გარშემო განლაგებული ოსმალთა ჯარები განადგურდა, მაგრამ ბრძოლას განაგრძობდა ახალციხის ციტადელში განლაგებული ოსმალთა გარნიზონი. ივან პასკევიჩმა ციტადელზე შეტევის დროდ 15 აგვისტოს ნაშუადღევის 4 საათი დანიშნა. რუსებმა შეტევა ზარბაზნებიდან ციტადელის ძლიერი დაბომბვის შემდეგ დაიწყეს. ოსმალები ორგანიზებულად იცავდნენ თავს. ნაშუადღევის 6 საათისათვის ციტადელის შტურმში პასკევიჩმა ხერსონის გრენადერთა და ეგერთა 42-ე პოლკები ჩააბა. 50 ზარბაზანი განუწყვეტლივ ბომბავდა ქალაქ ახალციხესა და ციტადელს. 15 აგვისტოს საღამოს 7 საათისათვის აშკარა გახდა, რომ ოსმალთა გარნიზონი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, თუმცა ციტადელის ჩაბარებას ოსმალები არ აპირებდნენ. 15 აგვისტოს ქალაქში გაჩენილი ხანძარი ღამით კიდევ უფრო გაძლიერდა, 16 აგვისტოს დილით მთელი ქალაქი იწვოდა. 16 აგვისტოს დილით მუჰამედ ფაშამ ხუთდღიანი დროებითი დაზავება ითხოვა. პასკევიჩმა ფაშას დანებებისათვის 5 საათი მისცა. კავკასიის მთავარსარდალი მუჰამედ ფაშას დაემუქრა: თუ ოსმალები ქალაქს 5 საათის განმავლობაში არ ჩააბა-

დაბრუნება

რებდნენ, დაუყონებლივ განახლდებოდა ზარბაზნებიდან ქალაქის დაბომბვა. დანებების შემთხვევაში ახალციხის გარნიზონის შეიარაღება და მთელი ქონება, მათ შორის საბრძოლო დროშები, უკლებლივ უნდა ჩაებარებინათ რუსებისათვის. მუჰამედ ფაშამ ხანმოკლე ფიქრის შემდეგ კაპიტულაცია გამოაცხადა და თავისი გადაწყვეტილება ოფიციალურად აცნობა კავკასიის მთავარსარდალს. 1828 წლის 16 აგვისტოს, დილის 8 საათზე, ქართველ გრენადერთა პოლკი ახალციხეში შევიდა და ციტადელზე რუსეთის იმპერიის დროშა აღმართა. პასკევიჩი ახალციხეში მხოლოდ ციტადელზე დროშის აღმართვის შემდეგ შევიდა.

უშუალოდ ქალაქ ახალციხისა და ციტადელისათვის ბრძოლაში ოსმალებმა დიდი დანაკარგი განიცადეს. ახალციხის გარნიზონიდან (4.000 მებრძოლი) ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 50 ოსმალო, ცოცხალი გადარჩა ასევე ციტადელში მყოფი 100 იანიჩარი. ახალციხეში მყოფი 1.800 გამუსლიმებული ქართველიდან (ლაზიდან) ბრძოლაში დაიღუპა 1.300, ქალაქის დაბომბვისა და რუსეთის ქვეითი ჯარის შტურმის დროს დაიღუპა ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 3.000 კაცი, მათ შორის რამდენიმე ასეული ქალი). რუსების დანაკარგი შედარებით ნაკლები იყო: დაიჭრა და დაიღუპა 62 ოფიცერი და 600 ჯარისკაცი. რუსებს ნადავლის სახით დარჩათ ოსმალთა 52 დროშა და 67 ზარბაზანი.

ახალციხის დაკავების შემდეგ ქალაქის მთავარი მეჩეთი მართლმადიდებლურ ეკლესიად გადაკეთდა და იგი ღვთისმშობლის მიძინების სახელზე ეკურთხა.

1828 წლის 17 აგვისტოს ივან პასკევიჩმა ახალციხის საფაშოს გაუქმება და რუსული მმართველობის შემოღება გამოაცხადა. ყოფილი საფაშოს ტერიტორიაზე ახალციხის ოლქი შეიქმნა, ოლქის უფროსად გენერალ-მაიორი ვასილი ბებუთოვი დაინიშნა.

აწყურის აღება

1828 წლის 17 აგვისტოს ივან პასკევიჩმა გენერალ-ლეიტენანტ ივან ვადბოლსკის მეთაურობით აწყურის დასაკავებლად დაძრა ჯარი. გენერლის დაქვემდებარებაში იყო ქვეითთა 1 ბატალიონი, კაზაკთა 2 პოლკი და 6 ზარბაზანი. აწყურში ოსმალებს არცთუ ისე ძლიერი გარნიზონი ჰყავდათ. ციხეში გამაგრებული იყო 500 გამუსლიმებული ქართველი (ლაზი) და 1.000 გამუსლიმებული ადგილობრივი მცხოვრები (მესხი). ივან ვადბოლსკიმ დაასკვნა, რომ ქვეითი ჯარით აწყურის ციხეზე შეტევა რუსებს დიდ მსხვერპლად დაუჯდებოდათ. გენერალი მზად იყო, რომ აწყურის ციხის ალყა დაეწყო, თუმცა აფიქრებდა ერთი რამ: აწყურის ციხეში არსებული საბრძოლო მასალისა და სურსათის დიდი მარაგი გარნიზონს საშუალებას მისცემდა ციხე დიდხანს და წარმატებით დაეცვა. ბოლოს ვადბოლსკიმ აწყურის ციხეში ახალციხიდან ჩამოყვანილი გამუსლიმებული მესხების წარმომადგენლები შეგზავნა. მესხებმა ლაზები დაარწმუნეს, რომ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. ლაზებმა ციხე დატოვეს, ბრძოლაზე უარი თქვეს ადგილობრივმა მესხებმაც. რუსეთის ჯარმა აწყურის ციხე უბრძოლველად დაიკავა.

არტაანის დაკავება

აწყურის დაკავების შემდეგ რუსეთის ჯარმა არტაანი (არდაგანი) დაიკავა. არტაანის დაკავების პატივი ქალაქ ყარსის რუსულ გარნიზონს ხვდა. მას შემდეგ, რაც 1828 წლის 9 აგვისტოს ახალციხის გარშემო განლაგებული ოსმალთა ჯარის ოთხი ბანაკის განადგურების ამბავი შეტყო, ყარსის საფაშოში განლაგებული რუსეთის ჯარის მეთაურმა გენერალ-მაიორმა ალექსანდრ ბერხმანმა ქვეითთა 2 ბატალიონი და კაზაკთა 3 ასეული 4 ზარბაზნით არტაანის დასაკავებლად გაგზავნა. ამ ჯარის მეთაურობა გენერალ-მაიორ ფიოდორ ბეკოვიჩ-ჩერკასკის დაევალა. ყარსიდან არტაანისაკენ ჯარი 17 აგვისტოს დაიძრა. ახალციხიდან უწესრიგოდ უკან დახეულმა ოსმალებმა არტაანის გარნიზონს დახმარება ვერ აღმოუჩინეს. ბეკოვიჩ-ჩერკასკის შესაჩერებლად დაძრულმა ოსმალთა ცხენოსანმა ჯარმა მალევე უკან დაიხია, რუსებს სასტიკი წინააღმდეგობა მხოლოდ ქურთებმა გაუწიეს. ოსმალთა ცხენოსანი ჯარისა და ქურთების დამარცხების შემდეგ ბეკოვიჩმა შეიტყო, რომ 16 აგვისტოს რუსებმა ახალციხის ციტადელი აიღეს. არტაანის გათავისუფლებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ოსმალებმა წინააღმდეგობა ვეღარ გასწიეს და არტაანი დატოვეს. მალე პასკევიჩი თავისი შტაბით არტაანში გადავიდა. არტაანის მიდამოებში დაიწყო თავმოყრა რუსეთის ჯარის მნიშვნელოვანმა ძალებმა. არტაანთან დაჯგუფებულ რუსეთის ჯარების უმთავრეს ამოცანად კავკასიის მთავარსარდალი ყარსის საფაშოს ტერიტორიის დაცვას და არზრუმის მხრიდან ოსმალთა მოსალოდნელი შემოტევის მოგერიებას მიიჩნევდა. არტაანში მყოფმა პასკევიჩმა მოულოდნელად შეიტყო, რომ გენერალ-მაიორმა ალ ექსანდრე ჭავჭავაძემ მასთან შეუთანხმებლად მთელი ბაიაზეთის საფაშო და ბაიაზეთის ციხე დაიკავა.

საბრძოლო მოქმედებები 1829 წელსაც ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და სამხრეთ კავკასიაში– მიმდინარეობდა.

ოსმალთა შემოტევა ახალციხის დაკავების მიზნით

1829 წლის 26 იანვარს ოსმალთა ცხენოსანმა ჯარმა ფოცხოვის სანჯაყის ყოფილი მმართველის თეიფურ ბეის მეთაურობით ახალციხეზე დაიწყო შეტევა და ქალაქს 5-6 ვერსის მანძილზე მიუახლოვდა. ოსმალებს გზა გადაულობა შირვანის ქვეითთა პოლკმა. ოსმალები უკუიქცნენ. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ახალციხის ოლქის მმართველი გენერალ-მაიორი ვასილი ბებუთოვი ზემო აჭარის მმართველ აჰმედ ბეი ხიმშიაშვილის გადაბირებას ცდილობდა. მოლაპარაკებას წარმატება არ მოჰყოლია. აჰმედ ბეიმ აჭარაში 15.000 მებრძოლი შეკრიბა და ახალციხეზე სალაშქროდ გაემზადა. იგი ახალციხეზე შეტევის დაწყებას არ ჩქარობდა, არზრუმიდან ოსმალთა ჯარის მოსვლას ელოდა. 16 თებერვალს აჰმედ ბეი მდინარე ფოცხოვის ნაპირზე დაბანაკდა. მან გადაწყვიტა ახალციხის გარნიზონისათვის თბილისიდან დამხმარე ჯარის მიშველების საშუალება მოესპო. ამიტომ იყო, რომ 1829 წლის 17 თებერვალს აჰმედ ბეიმ თავისი ძმა ავდი ბეი ძლიერი რაზმით მტკვრის ხეობაში გადაიყვანა, რათა თბილისიდან ახალციხისაკენ მიმავალი გზა გადაეკეტა. ვასილი ბებუთოვმა სათანადო ყურადღება ვერ გამოიჩინა, მან მხოლოდ 18 თებერვალს შეიტყო, რომ მოწინააღმდეგე ახალციხიდან 15 ვერსის მოშორებით იმყოფებოდა.

1829 წლის 20 თებერვალს ოსმალთა და აჭარელთა გაერთიანებულმა ჯარმა (20.000 მებრძოლი) ქალაქი ახალციხე დაიკავა და ციტადელს შემოარტყა ალყა. მოალყე ჯარს აჰმედ ბეი ხიმშიაშვილი მეთაურობდა. ახალციხესთან ოსმალთა მოულოდნელი გამოჩენისა და ქალაქის ალყის დაწყების შესახებ არც თბილისში მყოფმა ივან პასკევიჩმა იცოდა. ახალციხესთან დაწყებული ბრძოლების შესახებ კავკასიის მთავარსარდალმა ხერთვისის ციხის კომენდანტისაგან შეიტყო. მან სასწრაფოდ მიიღო ზომები ახალციხის ციტადელში გამაგრებული გარნიზონის დასახმარებლად. გორში დაბანაკებულ ხერსონის გრენადერთა პოლკის მეთაურს პოლკოვნიკ ივან ბურცევს ებრძანა სასწრაფოდ გაემაგრებინა აწყურის ციხე, რათა ახალციხიდან დაძრული ოსმალები მტკვრის ხეობით ქართლში არ შემოჭრილიყვნენ. გენერალ-მაიორი ნიკოლოზ მურავიოვი ქვეითთა 5 ბატალიონითა და 13 საველე ზარბაზანით სასწრაფოდ ახალციხისაკენ უნდა დაძრულიყო. დიდთოვლობისა და ცუდი ამინდის გამო ბურცევის პოლკი ნელა მოძრაობდა. ბურცევმა დროის მოგების მიზნით სურამში განლაგებულ ხერსონის გრენადერთა პოლკის ასეულის მეთაურს კაპიტან კიშკინს უბრძანა, ასეული სასწრაფოდ აწყურში გადაეყვანა. კიშკინმა აწყურს 25 თებერვლის დილით მიაღწია. ამ დროს აწყურიდან 4 ვერსის მოშორებით სოფელ წინუბანში უკვე იდგა ავდი ბეი ხიმშიაშვილის 5.000 მებრძოლი. ავდი ბეიმ არ იცოდა რუსეთის ჯარის რაოდენობა და ამიტომ ბრძოლაში ჩამბისაგან თავი შეიკავა. ამან კაპიტან კიშკინს საშუალება მისცა უბრძოლველად შესულიყო აწყურის ციხეში. აწყურის კომენდანტმა სურამიდან დამხმარე ძალის მისვლამდე სოფელი აწყური გადაწვა და თავდაცვისათვის მოემზადა. პოლკოვნიკი ბურცევი ხერსონის გრენადერთა პოლკის ძირითადი ძალებით გორიდან მხოლოდ 24 თებერვალს გავიდა. ცუდი გზებისა და უამინდობის გამო პოლკი ნელა მოძრაობდა. 26 თებერვალს რუსებმა მტკვრის ხეობაში გოგიას ციხეს მიაღწიეს. ბურცევი აქ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადასვლას აპირებდა. მაგრამ წყლის დონე ძალზე აწეული იყო, ასე რომ, გადასვლა თუ საერთოდ შესაძლებელი გახდებოდა, ძალზე გაჭიანურდებოდა. გარდა ამისა, ვიდრე ახალციხეს მიაღწევდა, ჯარს კიდევ ორჯერ მოუხდებოდა მტკვრის გადალახვა. გოგიას ციხესთან არსებული ფონის დასაცავად ოსმალთა რაზმი არ იდგა, მაგრამ ბურცევმა იცოდა, რომ მეორე და მესამე გადასასვლელთან ოსმალები დახვდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ გოგიას ციხესთან არსებულ ფონზე გადასვლის შემდეგ ბურცევმა კაზაკთა 2 ასეული მეორე და მესამე გადასასვლელის დასაცავად გაგზავნა, რომ კაზაკებს ოსმალებისათვის ფონების დაკავების საშუალება არ მიეცათ. გაუვალი გზით მოძრაობის გამო კაზაკები შეფერხდნენ, რის გამოც ავდი ბეის ცხენოსნებმა ორივე ფონის დაკავება მოასწრეს. პირველსავე ფონთან კაზაკებს აჭარელთა ცხენოსან ჯართან მოუხდათ შეტაკება. კაზაკებმა 2.000 ცხენოსნის შემოტევას ვერ გაუძლეს და სასწრაფოდ დაიხიეს უკან. ცხადი გახდა, რომ მტკვრის ორივე ფონზე რუსები ბრძოლით უნდა გადასულიყვნენ, რაც ძალზე ძნელი იყო. მდგომარეობას ამსუბუქებდა ის, რომ ფონებს აჭარელთა ცხენოსანი ჯარი იცავდა, მონინააღმდეგეს იქ ქვეითი ჯარი არ ჰყავდა. ავდი ბეი ხიმშიაშვილი პოლკოვნიკ ბურცევის ხერსონის გრენადერთა პოლკის წინსვლას ხელს ვერ უშლიდა, რადგან აწყურის ციხის ალყით იყო დაკავებული. პოლკი ბრძოლით მიიკვლევდა გზას. ბედად, ავდი ბეიმ ჩათვალა, რომ რუსების შეტევას ვერ შეაჩერებდა, უკან დაიხია და სოფელ წინუბანში გამაგრდა. წინუბნის დაკავების გარეშე რუსები ახალციხემდე ვერ მივიდოდნენ. აწყურის ციხის გარნიზონმა მოწინააღმდეგის რამდენიმე შეტევა მოიგერია. ამან ბურცევს საშუალება მისცა სოფელ წინუბანზე გალაშქრებისაგან თავი შეეკავებინა და გენერალ მურავიოვის გამოჩენას დალოდებოდა. მურავიოვის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარი კი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო (ქვეითთა 2 პოლკი, კაზაკთა 1 პოლკი, ქვეითთა 1 ბატალიონი, 13 საველე ზარბაზანი). მურავიოვის ჯარიც ნელა მოძრაობდა, იგი ლაშქრობის დაწყებიდან ახალციხეს მხოლოდ მეათე დღეს თუ მიაღწევდა. ეს კი მნიშვნელოვნად ართულებდა სოფელ წინუბანთან შეჩერებული რუსების მდგომარეობას. ბურცევი დარწმუნდა, რომ ახალციხის გარნიზონი მოალყე ჯარის შეტევას დიდხანს ვეღარ გაუძლებდა და ამიტომ გადაწყვიტა მურავიოვს აღარ დალოდებოდა და ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად დაძრულიყო. ბურცევს სწრაფად უნდა ემოქმედა, რადგან მას ზურგში ავდი ბეის ძლიერი ცხენოსანი ჯარი ედგა. 1829 წლის 2-3 მარტს ღამით რუსებმა სოფელ წინუბანთან გამაგრებული მოწინააღმდეგე დაამარცხეს, რის შემდეგაც გზა ახალციხისაკენ გაიხსნა. წინუბნიდან ბურცევმა მცირერიცხოვანი რაზმები გაგზავნა ახალციხისაკენ, რათა სასიგნალო მაშხალებით გარნიზონისათვის ემცნოთ, რომ ქალაქს რუსეთის ჯარი უახლოვდებოდა. აჰმედ ბეი ხიმშიაშვილმა ბურცევის რაზმის მისვლამდე 3 მარტს ახალციხეს ალყა მოხსნა და უკან დაიხია. ბურცევის რაზმი ახალციხეში 4 მარტს, ნაშუადღევს, შევიდა, სამი დღის შემდეგ ახალციხეში გამოჩნდა გენერალ მურავიოვის ჯარის მოწინავე რაზმებიც.

ოსმალთა შემოტევა 1829 წლის გაზაფხულზე

1829 წლის აპრილში კავკასიის მთავარსარდალ ივან პასკევიჩისათვის ცნობილი გახდა, რომ ოსმალთა მრავალრიცხოვანი ჯარი (80.000 მებრძოლი 60 ზარბაზნით) ერთდროულად აპირებდა შეტევას ყარსის, ახალციხის და ბაიაზეთის დაკავების მიზნით. იმავდროულად, ტრაპიზონის ფაშა 70.000 მებრძოლით იმერეთსა და გურიაში შეჭრას გეგმავდა.

წურწყაბის ბრძოლა

ახალციხეზე სალაშქროდ ემზადებოდა აჰმედ ბეი ხიმშიაშვილი 20.000 მებრძოლით. როგორც ვხედავთ, ვითარება ძალზე საგანგაშო იყო, კავკასიის მთავარსარდალს დაუყონებლივ უნდა გაეტარებინა გადამწყვეტი ღონისძიებები. ივან პასკევიჩმა გენერალ-მაიორ ივან ბურცევს უბრძანა ხერსონის გრენადერთა პოლკის 2 ბატალიონით გორიდან დაუყონებლივ გადასულიყო აწყურში და იქ დალოდებოდა ახალციხეში მოვლენათა განვითარებას. დიდთოვლობის გამო დაზიანებული გზები, მტკვარზე დაწყებული წყალდიდობა ხელს უშლიდა ჯარის გადაადგილებას. ბურცევმა აწყურს მხოლოდ 17 აპრილს მიაღწია, მაგრამ არ შეჩერებულა, გზა გააგრძელა და ახალციხიდან 40 ვერსის მოშორებით აბასთუმანში დაბანაკდა. ახალციხის ოლქის უფროსმა გენერალმა ვასილი ბებუთოვმა ბურცევს მოსთხოვა დაესაჯა იმ სოფლების მოსახლეობა, რომელთაც ახალციხის ალყის დროს ოსმალებს დაუჭირეს მხარი. ბურცევმა აბასთუმნიდან აჭარის საზღვრამდე ბევრი სოფელი გადაწვა, მოსახლეობა ბინებისა და სურსათის გარეშე დატოვა. დამსჯელი ექსპედიციის დასრულების შემდეგ ბურცევი აწყურთან დაბანაკდა. 1829 წლის 25 აპრილს აჰმედ ბეი ხიმშიაშვილი ახალციხეზე სალაშქროდ დაიძრა. ბებუთოვმა აჭარელთა ძლიერი ჯარის შეჩერება გენერალ ბურცევს დაავალა. 30 აპრილს ხერსონის გრენადერთა პოლკი აწყურიდან ახალციხისაკენ დაიძრა. ბურცევს გზაში შეუერთდა ახალციხიდან დაძრული შირვანის ქვეითთა და დონის კაზაკთა პოლკები. ივან ბურცევმა შეიტყო, რომ აჰმედ ბეი ხიმშიაშვილი არტაანისაკენ მიემართებოდა. ბურცევი სწრაფი მარშით სოფელ წურწკაბისაკენ გაემართა, რათა აჰმედ ბეისათვის ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტის დაკავება დაესწრო. აჰმედ ბეიმ რუსების მანევრი ამოიცნო და წურწკაბი მათ მისვლამდე დაიკავა. წურწკაბთან მისული ბურცევი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა: თუ რუსები უკან დაიხევდნენ, მოწინააღმდეგე 50 ვერსის მანძილზე მათ დევნას არ შეწყვეტდა, ამიტომ იყო, რომ ბურცევმა შეტევა გადაწყვიტა. ხელჩართულ ბრძოლებში დიდი მსხვერპლის ფასად რუსებმა აჰმედ ბეის წურწკაბის გარშემო ყველა პოზიცია დაატოვებინეს. აჰმედ ბეის განკარგულებაში რჩებოდა მხოლოდ ხის მაღალი გალავნით შემოზღუდული წურწკაბის სიმაგრე. სოფელში გამაგრებული იყო ყველა სახლი. ბურცევმა ჯარი შეასვენა, მაგრამ აჰმედ ბეისაც დამხმარე ძალა მოუვიდა და მანაც დაუყონებლივ შეუტია რუსებს. ცხარე ბრძოლები დაღამებამდე გაგრძელდა, ბურცევმა დაკავებული პოზიციები შეინარჩუნა, მაგრამ სოფლიდან აჰმედ ბეის განდევნა ვეღარ შეძლო. მეორე დილით რუსები კვლავ გადავიდნენ შეტევაზე და სოფლის დაკავება სცადეს. მართალია, მოწინააღმდეგემ რუსების შეტევა მოიგერია, მაგრამ აჰ მედ ბეიმ მოულოდნელად სოფელი დატოვა. დილით ბურცევი წურწკაბში შევიდა და სოფელი გადაწვა. წურწკაბთან მიმდინარე ცხარე ბრძოლების დროს ბებუთოვს აცნობეს, რომ ბურცევის ხერსონის გრენადერთა პოლკის ზურგში მოწინააღმდეგის რაზმები გამოჩნდნენ. ბებუთოვმა ბურცევის დასახმარებლად დაუყონებლივ გაგზავნა შირვანის პოლკის 1 ბატალიონი. ამის შემდეგ ახალციხის ციტადელში რუსეთის ჯარის 3 ასეულიღა დარჩა. ახალციხეზე ოსმალთა შეტევის შემთხვევაში გარნიზონი ალყას დიდხანს ვერ გაუძლებდა. აჰმედ ბეი ხიმშიაშვილის სოფელ წურწკაბიდან უკან დახევის შემდეგ ახალციხეზე ოსმალთა შეტევის საშიშროება აღარ არსებობდა. წურწკაბიდან გენერალი ივან ბურცევი მტკვრის ხეობაში დაბრუნდა და აწყურსა და ახალციხეს შორის შეჩერდა.

„მზის შვილების“ იმპერიის დასასრული

თამაზ ჩიკვაიძე

ფრანცისკო პისარო

1492 წელი ესპანეთის სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ერთი რომ, გრენადის დაპყრობით მთავრდება მავრი მუსულმანების შვიდ საუკუნოვანი ბატონობა ესპანეთში. ქვეყანა ქრისტიანული ხდება და ფეოდალური მმართველის ძალაუფლების ქვეშ ექცევა. მეორე ის, რომ კასტილიის მეფის კარზე მყოფი ქრისტეფორე კოლუმბი ამერიკას აღმოაჩენს. ეს აღმოჩენა ევროპის ხალხებს ახალ სამყაროს გადაუშლის. ესპანეთი იწყებს მისთვის უცნობი მატერიკის შესწავლას.

1513 წელს ესპანელთა მცირე რაზმი ვასკო ნუნიეს დე ბალბოას ხელმძღვანელობით პანამის ყელის ჯუნგლებს გადაკვეთს და თეთრი ადამიანი პირველად დაინახავს უზარმაზარ წყნარ ოკეანეს. ამ ექსპედიციის წევრი იყო ოფიცერი ფრანსისკო პისარო, რომელსაც ბედი განსაკუთრებულ მისიას უმზადებდა.

1522 წელს ესპანელი ერნან კორტესი 500 ჯარისკაცით იპყრობს აცტეკების ძლიერ სახელმწიფოს, საიდანაც დიდძალი ოქრო, ვერცხლი და მონები გამოყავს, რომლებსაც თეთრები მინდვრებში და მაღაროებში იყენებენ. მარტო აცკეტების ბელად მონტესუმას ხაზინიდან ორტონანახევარი ოქრო წამოიღეს ესპანელებმა.

კორტესის ექსპედიციის შედეგები ესპანეთში ნამდვილ ოქროს ციებ-ცხელებას იწვევს. თითოეული ესპანელი ოცნებობს გამდიდრებაზე, მდიდარი ადგილობრივი ტომების ბელადები – შანტაჟზე და ძარცვაზე.

წყალუხვი ორინოკოს შესართავში ორი ესპანური გალიონი დაცურავდა. ჯუნგლის მწვანე ბარდნარს შორის მოქცეული მდინარის მღვრიე წყალში გემების მორიგეებმა მოდრეიფე ნავი შენიშნეს. ერთ-ერთ გალიონს ოფიცრის ხელმძღვანელობით კანჯო გამოეყო და ინდიელთა ნავს მიუახლოვდა. შიგ მყოფი ადამიანი უგონოდ იყო. იგი ესპანელი აღმოჩნდა და, როგორც კი გამოერკვა, სუფთა კასტილიურ კილოზე ამეტყველდა, მაგრამ არ მოინდომა ეთქვა, საიდან გაჩნდა აქ. მის ნავში გოგრის მსგავსი ორი ჭურჭელი იდო, რომელიც კრიალოსანივით აცმული ოქროს მძივებით იყო სავსე.

უცნობი მისი თხოვნით გალიონმა პუერტო-რიკოზე, სან-ხუანში ჩაიყვანა. იგი ისევ დუმდა და თავის განძს არ იცილებდა. ეს კაცი ძლიან მძიმედ იყო ავად და შემთხვევას ელოდა, რომ ესპანეთში დაბრუნებულიყო, მაგრამ აღარ დასცალდა. სიკვდილის წინ მან აღსარება მოითხოვა.

ასე გაჩნდა მისი სახელი ცნობილი – მარტინესი. იგი დიეგო ორდასის ექსპედიციის ერთ-ერთი საუკეთესო ოფიცერი იყო. მის რაზმს გვიანას შესწავლა ჰქონდა დავალებული. იგი მძიმე დანაშაულის მსხვერპლი გამხდარა. მას ექსპედიციის დენთის მარაგის დარაჯობა დაავალეს, მან კი გაუფრთხილებლად დენთის გვერდზე კოცონი დაანთო, რამაც საწყობის აფეთქება გამოიწვია. დონ დიეგომ მას სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ. სიკვდილით დასჯის ნაცვლად დამნაშავე უსურსათოდ მიატოვეს ნავში. მალე მარტინესი ინდიელებს ჩაუვარდა ხელში. მათ თეთრი ადამიანი არ ენახათ და ამიტომ იგი თან წაიყვანეს. ორი კვირა მიდიოდნენ ინდიელები. გზის დასასრულს ტყვეს თვალები აუხვიეს. როცა სახვევი მოხსნეს, მარტინესს თავი სიზმარში ეგონა. მის წინ ოქროსფრად მოელვარე უზარმაზარი ქალაქი გადაშლილიყო. სასახლეები, სახლის სახურავები და ქვაფენილიც კი, თითქოს ოქროსგან იყო ჩამოსხმული. ინდიელებმა თქვეს, რომ ეს არის მანოა (ინკების უძველესი დედაქალაქი კუსკო), დიდი ბელადის, უზენაესი ინკას ტიტულის მატარებელი ძლევამოსილი მმართველის დედაქალაქი.

ეს ესპანელი პირველი ევროპელი იყო, რომელსაც ინკებმა ზღაპრული სიმდიდრით მორთულ სასახლეში შესვლის ნება დართეს. აქ იყო ცხოველების, ფრინველების, ფრინველების, მცენარეების ოქროს ქანდაკებები. მთელი ავეჯი, სკივრები, შადრევნები წმინდა ოქრო-ვერცხლის იყო, ჭურჭელი კი – მასიური ოქროსი. ყველაზე დიდი საოცრება იყო ოქროს ბაღი, რომელსაც შემდეგ მეცნიერებმა მსოფლიოს მერვე საოცრება უწოდეს. ყველაფერი აქ, ხეებიდან დაწყებული, ხოჭოებითა და პეპლებით დამთავრებული, ასევე წმინდა ოქროსი იყო. ბაღში „ბალახობდა“ ოქროს ლამები, რომელთაც „„წყემსად“ უდგა ორი დუჟინი კაცი. ხეებს ოქროს ნაყოფი ესხა, ხოლო მის ტოტებზე ოქროს ფრინველები იჯდნენ. ბაღის წინ, ცენტრალურ მოედანზე, ინკას ბრძანებით, „მოქსოვეს“ ოქროს ჯაჭვი, რომელიც დაახლოებით 250 მეტრი სიგრძის იყო და მას 200 მამაკაცი ძლივს იჭერდა ხელში. ამ ჯაჭვის შიგნით დღესასწაულების დროს, ცეკვებს და სხვადასხვა ზეიმებს აწყობდნენ.

ინკების მთავარი ღმერთი მზე იყო და ამიტომ ყველა ქალაქში მის სადიდებლად აღიმართა საკულტო ნაგებობები, რომლებსაც გარედან აპირკეთებდნენ ოქროს ფირფიტებით. მაგ. კორიკანჩეს მთავარ სალოცავზე გარე კედლები დაფარული იყო 10 სანტიმეტრი სისქის ოქროს ფილებით. კუსკოს ოქროს სიმდიდრე „მზის შვილების“ ნამდვილი მანია იყო. ინკა უაინა კაპაკმა თავის სასახლის წინ დაადგმევინა ზეციური ღმერთის ოქროს ტახტი, რომელშიც მზის უზარმაზარი გამოსახულება იყო ჩასვენებული.

„მზის შვილები“ განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ გარდაცვლილ ინკებს, რომელთა მუმიებს სპეციალურ საკულტო ნაგებობებში ინახავდნენ. ისინი იჯდნენ ოქროს ტახტზე და ყოველ წელს მათი ნათესავები უამრავ ოქროს საყოფაცხოვრებო ნივთებს წირავდნენ. ეს ისეთი გრანდიოზული რაოდენობა იყო, რომ XVI საუკუნის დასაწყისში პედრო პისარომ დაასკვნა, რომ პერუში ფასეულობის უდიდეს ნაწილს მიცვალებულები (ანუ ინკები) ფლობენო. ინკები თვლიდნენ, რომ ოქრო არის ღვთაებრივი მზის „ფერი“.

საიდან ჰქონდათ ინკებს ასეთი გრანდიოზული რაოდენობის ოქრო? თეთრების მოსვლამდე, დაახლოებით 100 წლის განმავლობაში, ისინი მეზობლებთან ეწეოდნენ დაპყრობით ომებს. ყველა ბრძოლა კი მათი გამარჯვებით მთავრდებოდა. დაპყრობილი ოლქებიდან და დასახლებებიდან „კონტრიბიციას“ ისინი მხოლოდ ოქროთი ღებულობდნენ. ამ მხრივ ისინი სიხარბით თავიანთ შემდგომ დამპყრობლებსაც არ ჩამოუვარდებოდნენ.

განსაკუთრებით დიდი ნადავლი დარჩათ მათ მეზობელი იმპერიის – ჩიმუს დაპყრობის შემდეგ. მათ ხელში ჩაუვარდათ უზარმაზარი სიმდიდრე, უამრავი ოქროს ნაკეთობები, რომლებიც უკლებლივ კუსკოში გადაიტანეს.

ჩიმუს ოქრომჭედლები დახელოვნებულები იყვნენ თავიანთ საქმეში და ინკებთან შედარებით მაღალ საფეხურზე იყვნენ. ყველანი დამპყრობლებმა კუსკოში გადაასახლეს და აიძულეს ინკას სამსახურში ჩამდგარიყვნენ.

კუსკოში ოქრო მხოლოდ შედიოდა. ინკამ გამოსცა ბრძანება, რომელიც კრძალავდა კუსკოდან ოქროს გატანას. დამნაშავე სიკვდილით ისჯებოდა.

ყოველწლიურად იმპერიის დედაქალაქში დაახლოებით 15 ათასი პრობი ოქრო შედიოდა (ერთი პრობი დაახლოებით 11,4 კგ. უდრიდა), ხოლო ვერცხლი 50 ათას პრობს. ამრიგად, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ინკების მმართველობის დროს იმპერიაში 50-დან 100 ათასი ტონა ოქრო და რამდენიმე მილიონი ტონა ვერცხლი შედიოდა. ყოვლად წარმოუდგენელი ციფრებია. გარდა დაპყრობითი ომების დროს ნაძარცვი სიმდიდრისა, ისინი ოქროს მოიპოვებდნენ მთიანი ანდების ფერდობებზე და, რაც მთავარია, მთის მდინარეების მიერ ჩამოტანილი ქვიშის გარეცხვით. ეს არ იყო კუსტარული სარეწები, ყველაფერი მაღალ სამრეწველო დამუშავების დონეზე მიმდინარეობდა.

ვერცხლის მოპოვება კი მაღაროებში ხდებოდა. მაგალითად პოტოსის მაღაროებში, რომელიც ბოლივიაში მდებარეობდა. ესპანელებმა მოაწყეს ზარაფხანა და იქ დიდხანს იჭრებოდა ვერცხლის ფული, ე.წ. რვა რიალები, რომლებიც შემდეგ დოლარის წინაპარი გახდა. ვერცხლის მაღაროები იყო პერუს ჩოკლოკოჩში, კაილომში და სხვაგან.

ინკებმა მეტალურგიაში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს. მათი ბრინჯაო შესანიშნავი ხარისხის იყო. ოქროს, ვერცხლის, სპილენძის გარდა მათ ისწავლეს პლატინის დამუშავება. ისინი მას მოიპოვებდნენ ეკვადორის მდინარე ესმერალდას აუზში. კორიკანჩას ტაძარში მათ ჰქონდათ 10 მეტრი სიგრძის პლატინისაგან დამზადებული მთვარის ნაკეთობა, რომელიც დაახლოებით 900 კილოგრამს იწონიდა. ისინი მოიპოვებდნენ ვერცხლისწყალსაც, რომლის საშუალებით იუვილერები ბრინჯაოს ნაკეთობების ოქროთი დაფარვას ახდენდნენ.

ესპანელებმა ამერიკის კონტინენტის წყნარი ოკეანის სანაპიროზე გასვლის შემდეგ პირველ რიგში დააარსეს ქალაქი პანამა, რომელიც შემდგომ გახდა ექსპედიციების მომსახურე ბაზა.

პირველი, ვინც შეეცადა ეპოვა გზა ჯადოსნური პერუსკენ, ეს იყო კოლონისტი პასკუალ დე ანდაგოია. მან უშედეგოდ იმოგზაურა დღევანდელი ბოლივიის ნაპირებზე და 200 მილის გავლის შემდეგ უკან დაბრუნდა პანამაში, გაყიდა თავისი გემები, რომელიც იყიდა სამმა კომპანიონმა: კაპიტანმა ფრანსისკო პისარომ, ავანტიურისტმა დიეგო ალმაგრომ და ეკლესიის მსახურმა პადრე ერანდო დე ლიუკემ. ამ სამეულმა გემებთან ერთად იყიდა 4 ცხენი. სამეულის ხელშეკრულებას მხოლოდ ერნანდო დე დიუკემ მოაწერა ხელი. კორტესი და ალმაგრო წერა-კითხვის უცოდინრები იყვნენ. კომპანიონერებმა თავიანთ გემებზე მყოფ 180 ავანტიურისტთან ერთად დაიწყეს წყნარი ოკეანის ნაპირების დაზვერვა. ხანგრძლივი ცურვის შემდეგ ალმაგროს გემი პროდუქტების და ხალხის შესავსებად პანამაში დაბრუნდა, ხოლო პისარო ბოლივიის ნაპირებზე გადმოვიდა და მესაჭე ბართოლომეო რუისს დაავალა წასულიყო უკიდურეს სამხრეთით.

ბედმა გაუღიმათ ესპანელებს და გზაში მათ შეხვდათ დიდი იალქნებით აღჭურვილი ტივი, რომლებზეც ოქრო-მკერდით ნაქსოვი ტანსაცმლიანი მგზავრები იყვნენ. მეზღვაურ რუისს არსად, არც აცტეკებთან, არც ანტილიის კუნძულებზე, არც სხვა ინდიელ ტომებთან არ უნახავს ასეთი ტივი. მას გადაჰქონდა ძვირფასი ქსოვილები, მძიმე ზურმუხტები.

რუისმა შეაჩერა ტივი. ზოგიერთი ინდიელი ზღვაში გადახტა, დანარჩენები ესპანელების გემებზე აიყვანეს. ინდიელები შეეცადნენ თავიანთ მშობლიურ ენაზე აეხსნათ, რომ ისინი იყვნენ იმ ქვეყნიდან, სადაც იყო შესანიშნავი ქალაქები, სასახლეები, ოქროს ბაღი და ეთაყვანებოდნენ მთავარ ღმერთს – მზეს. ამ ქვეყნის მმართველი იყო მზის შვილი ინკა. ისინი იყვნენ ქალაქ ტუმბესის მკვიდრნი, იმ ქალაქისა, რომელიც ინკების იმპერიის განაპირა ქალაქი იყო.

ეს იყო ორი ცივილიზაციის შეხვედრა, რომელიც ზღვაზე შედგა. რუისმა კოლუმბიის ნაპირებზე გადასული პისარო გემზე აიყვანა და სამხრეთისკენ დაეშვა.

1528 წლის დასაწყისში ესპანელებმა პირველად შედგეს ფეხი ინკების იმპერიის მიწაზე. ის რაც მათ ქალაქში იხილეს, მხოლოდ სიზმარში თუ შეეძლოთ წარმოედგინათ. ეს იყო დიდი ქალაქი ქვის შენობებით. პორტში უამრავი ტივი იდგა. მცხოვრებლები ძვირფასი ქსოვილებით იყვნენ შემოსილები, რომლებსაც ყურებზე უზარმაზარი ოქროს საყურეები ეკეთათ. მიწები შესანიშნავად იყო დამუშავებული, გზები მოვლილი და მოკირწყლული.

ქალაქის თავმა ესპანელების შესახვედრად ჯარისკაცები გაგზავნა, მაგრამ გემზე მყოფმა ინდილებმა მათ აუხსნეს, რომ თეთრები კეთილი მისიით იყვნენ ჩამოსულები და არაფერი ცუდი განზრახვა არ ჰქონდათ. შემთხვევით ქალაქში ჩამოსული იყო უზენაესი ინკას ნათესავი, რომელიც პისარომ გემზე მიიწვია. სტუმარს ანდალუსიური ღვინით გაუმასპინძლდნენ, რომელიც ძალიან მოეწონა, წასვლისას კი საჩუქრად რკინის ნაჯახი მიიღო.

მეორე დღეს პისარომ ქალაქის თავის მიპატიჟება მიიღო, მაგრამ ფრთხილმა ავანტიურისტმა მხოლოდ რამდენიმე კაცი და გემზე მომსახურე ზანგი გააგზავნა. მათ საჩუქრად რამდენიმე გოჭი და დედალ-მამალი ქათამი გაატანა. ინდიელებს ზანგი არ ენახათ და უნდოდათ, რომ მისი სახიდან შავი საღებავი ჩამოერეცხათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. გაგზავნილთაგან ერთ-ერთმა, პედრო დე გარსიამ არკებუზიდან გაისროლა, რამაც მასპინძლების პანიკური შიში გამოიწვია. აქ პისარომ დანვრილებით შეიტყო, რომ ქვეყნის მმართველი ინკა მაღლა მთებში ცხოვრობდა და მის წინაშე უზარმაზარი სახელმწიფო იყო. მან პანამაში უკან დაბრუნება გადაწყვიტა და ნანახის დასამტკიცებლად რამდენიმე ინდიელი, ოქროს ნაკეთობები და ლამა წამოიყვანა.

მიუხედავად პისაროს და პადრე ლიუკეს მონაყოლისა, პანამის გუბერნატორი პედრო დე ლოს რიოსა კატეგორიულად წინააღმდეგი იყო შემდეგი ექსპედიციისთვის გამოეყო ხალხი და დაფინანსება. უარზე იყვნენ ასევე პანამელი კოლონისტები დაეფინანსებინათ შემდეგი ექსპედიცია.

სამეული იძულებული გახდა მიემართათ უმაღლესი ინსტანციისთვის – მეფისთვის. გაჭირვებით შეაგროვეს ესპანეთში გასაგზავნი ფული და ტოლედოში მეფესთან გაამგზავრეს პისარო და პედრო დე კანდია. მათ თან გაატანეს ტუმბესიდან წამოღებული ოქროს ნაკეთობები და ინდიელები, რომლებსაც უნდა დაემტკიცებინათ მათი სიმართლე.

მეფის კარზე პისარო კეთილგანწყობით მიიღეს. ამაში დიდი როლი ითამაშა კორტესის მიერ მექსიკიდან ჩამოტანილმა ძვირფასეულობამ და ტუმბესის ოქროს ნივთებმა. მეფის დავალებით დედოფალმა პისაროს გაუფორმა ხელშეკრულება, რომელსაც აძლევდა პატენტს ამ ქვეყნის დასაპყრობად. მეფის ბრძანებით ის ხდებოდა პერუს ანუ ახალი კასტილიას გუბერნატორი წელიწადში 725 ათას მარავერდის ხელფასით. პისაროს კომპანიონერმა მოკრძალებული წილი მიიღეს. დიეგო დე ალმაგრო დაინიშნა ქ. ტუმბესის მმართველად წელიწადში 300 ათასი მარავერდის ოდენობით, ხოლო აბატი ლიუკე ტუმბესის ეპისკოპოსად 1000 დუკატის წლიური ხელფასით. როდესაც პანამის კომპანიონერებმა გაიგეს ხელშეკრულების პირობები, გაბრაზდნენ და უარი თქვეს ექსპედიციაში მონაწილეობაზე. ალმაგრომ მოინდომა საკუთარი ძალებით ექსპედიციის მოწყობა. ყველაფერი ისევ ჭკვიანმა პატრე ლიუკემ მოაგვარა. ორმხრივი დათმობების შემდეგ ისინი საბოლოო შეთანხმებაზე მივიდნენ.

ხელშეკრულებით პისარო ვალდებული იყო ექსპედიციის მონაწილეები თვითონ შეეკრიბა. ამისათვის მას მიენიჭა ოქროს დეზებიანი რაინდის წოდება და მის ღერბზე გამოსახული იყო ინდიელების ქალაქი, ინკების ტივი და ლამა.

პისარომ გადაწყვიტა ექსპედიციის შემადგენლობა თავის საკუთარ ქალაქში, ტრუხილიოში შეეკრიბა. საკუთარი ამალით გარშემორტყმულს, წმინდა იაკობის რაინდის ტანსაცმელში გამოწყობილს ქალაქი აღფრთოვანებული შეეგება.

პერუს დაპყრობაში მისმა ოთხივე ძმამ – ხუანმა, განსალოს მარტინმა და ერნანდომ გამოთქვა სურვილი მონაწილეობის მიღებაზე.

ესპანელების ახალ ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდა სამი გემი, რომელზეც 180 კაცი და 27 ცხენი იყო. ცოტა გვიან მათ შეუერთდა ერნანდო სოტეს მცირე

რაზმი, რომელმაც ექსპედიცია ძალიან გააძლიერა. მოგვიანებით ასევე მათ შეუერთდა ნიკარაგუადან წამოსული ესპანელთა რაზმი სებასტიან ბელალკასარის მეთაურობით. საბრძოლო ასკებუზების გარდა მათ ჰქონდათ ორი ქვემეხი.

გემები გაემართნენ სამხრეთით, ძველი მარშრუტით ქალაქ ტუმბესისკენ. გზაზე შეჩერდნენ კოლუმბიის ნაპირებზე, სადაც დიდი რაოდენობით ზურმუხტი მოიპოვეს. ექსპედიციის ის წევრები, რომლებიც ადრე იყვნენ ქ. ტუმბეზში, მოუთმენლად ელოდნენ ქალაქთან მისვლას. როგორი იყო მათი იმედგაცრუება, როდესაც ქალაქის ნანგრევები და ასობით დახოცილი ქალი და კაცი იხილეს. ეს იყო ინკების იმპერიაში სამოქალაქო ომის შედეგი, რომელშიც ორი ძმა უასკარი და ატაულპა ინკის ტახტს ეცილებოდნენ. როგორც შემდეგ ესპანელებმა გაარკვიეს, ამ ომმა ათიათასობით ჯარისკაცი იმსხვერპლა და იგი საბოლოოდ ატაულპას გამარჯვებით დასრულდა. იგი მხეცურად გაუსწორდა თავისი ძმის ოჯახის წევრებსაც და ახლობლებსაც. უასკარი თოკებით შეკრული სავარძელში ჩასვეს და აყურებინეს თუ როგორ ხოცავდნენ ქ. კუსკოში მისთვის ახლობელ ადამიანებს. გამარჯვებულის გენერლებმა, რომლებიც ამ გენოციდს ხელმძღვანელობდნენ, არც ატაულპას საძულველი ინკა ტუპაკა იუპანკის მუმია დაინდეს. ამ მუმიას პერუში ადგილობრივები აღმერთებდნენ. იგი ჯერ კუსკოს ქუჩებში ათრიეს და შემდეგ კოცონში გადაუძახეს. პისარო მიხვდა, რომ სახელმწიფოში მომხდარი ეს არეულობა თავის სასარგებლოდ შეიძლება კარგად გამოეყენებინა. მან დაადგინა, რომ გამარჯვებული ატაულპა ჩრდილოეთის მაღალ მთებში, ქ. კახამარკაში იმყოფებოდა.

დაზვერვაზე გაგზავნილი რაზმის დაბრუნების შემდეგ ექსპედიციამ მაღლა მთებში ასვლა დაიწყო. 1532 წლის 15 ნოემბერს მათ თვალწინ ქ. კახამარკა გადაიშალა, რომელიც გაშლილ ველზე მდებარეობდა. ველი მოფენილი იყო საცხოვრებელი კარვებით, სადაც ინკას მცველი რაზმი იყო დაბანაკებული. თვით ინკა ქალაქის მახლობლად მინერალური წყლების კურორტზე ისვენებდა. აქ მოწყობილი იყო სამეფო აბაზანები, რომლებშიც ერთი მხრივ ცხელი, ხოლო მეორე მხრივ ცივი წყალი მოდიოდა. ინკა ყოველდღე ამ აბაზანებში თავის მრავალრიცხოვან ცოლებთან ერთად ბანაობდა.

პისარო პირდაპირ არ ეწვია ინკას. მან გაუგზავნა თავისი ძმის – ერნანდოს და დე სოტეს მეთაურობით დელეგაცია, რომლებმაც ატაულპას გადასცეს მეთაურის სურვილი – შეხვედროდა მას და დაემტკიცებინა მისთვის მშვიდობისა და მეგობრობის განზრახვა. ინკამ გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა თეთრების თხოვნა და მეორე დღეს შეხვედრა დაუნიშნა ქ. კახამარკის გაშლილ ველზე მდებარე მოედანზე.

1532 წლის 16 ნოემბერს (დღე, რომელიც პერუს ისტორიაში შევიდა როგორც იმპერიის დაღუპვის დღე) ინკას სადღესასწაულო პროცესია მოედნისკენ გაემართა. პროცესიას წინ უძღოდა ექვსი ათასი ჯარისკაცი, რომელსაც უკან მოყვებოდნენ ოქროს საყურებიანი არისტოკრატია. სულ ბოლოს, ცისფერ უნიფორმაში გამოწყობილ რვა მსახურს მოჰქონდა ოქროს ტახტრევანი, რომელზეც იმყოფებოდა გაღმერთებული მზის შვილი – დედამიწაზე მზის ნაცვალი ინკა.

მასთან შესახვედრად მარტო გამოვიდა დომინიკელი ბერი ვალვერდე, რომელსაც ერთ ხელში ჯვარი ეჭირა, მეორეში – ლოცვანი. ინდიელი მთარგმნელის საშუალებით მან ინკას აცნობა, რომ იგი გამოგზავნილია ოკეანის გაღმა მდებარე სამეფოს მეფისაგან,

რომელიც მას სთავაზობს, დაემორჩილოს ესპანელებს და ეზიაროს ნამდვილ, ჭეშმარიტ ქრისტიანულ სარწმუნოებას. ბერმა დაიწყო მოყოლა მამა ღმერთზე, მის შვილ იესო ქრისტეზე, რომელიც ხალხისთვის ზრუნავდა და იტანჯებოდა, რომელმაც სიცოცხლე დაამთავრა ჯვარზე გაკრულმა. მას არ დავიწყებია არც რომის პაპის ხსენება, რომელიც დედამიწაზე ღმერთის ნაცვალია და რომელმაც ესპანეთის მეფეს მიანიჭა უფლება, დაეუფლოს ამერიკის კონტინენტს მასზე მცხოვრები ხალხებით. დასასრულს გრძელი და ინკასათვის გაუგებარი მონოლოგის შემდეგ ბერმა მიაწოდა მას ტყავის ყდაში ჩასმული ლოცვანი და აუხსნა, რომ აქ არის თეთრი ღმერთების წმინდა ჭეშმარიტება. ატაულპამ დიდხანს ატრიალა ლოცვანი და გადაფურცლა ტექსტები და უთხრა ბერს, რომ ის არ ცნობს თეთრი მეფის ბატონობას. მან რომის პაპიც გაამტყუნა, რომელსაც არ ჰქონდა უფლება დაერიგებინა სხვა სახელმწიფოს მეფე. ღმერთი არ მომკვდარა, აგერ ღმერთი, რომელიც არის ჩემი ხალხისთვის ერთადერთი ჭეშმარიტი უზენაესი ღვთაება. მზე არათუ არ მომკვდარა, არამედ ყოველ დილით ამოდის ჰორიზონტზე და სულ უფრო გაახალგაზრდავებული და მხიარულია. მან მიუთითა ბერს ჩამავალი მზისკენ. ამის შემდეგ ინკამ ძირს დააგდო ლოცვანი, როგორც მისთვის გაუგებარი და უსარგებლო ნივთი.

– სიკვდილი ამ ინდიელ ერეტიკოსებს – იღრიალა ბერმა და ეს ესპანელებისთვის იმის ნიშანი იყო, რომ შეტევაზე გადასულიყვნენ. სამი მხრიდან შეუტიეს თეთრებმა. ქვემეხების გასროლამ და ყალყზე შემდგარმა ცხენებმა ინკას დამცველ ჯარს შიშის ზარი დასცა და ყოველგვარი წინააღმდეგობის უნარი წაართვა. სანამ ესპანელთა ერთი ნაწილი ინდიელებს ანადგურებდა, პისარომ თავისი რჩეული რაზმით „კომანდოსით“ ინკას ტახტრევნისკენ გზა გაიკვალა და ტყვედ აიყვანა იგი. მოედნიდან ოთხასი მეტრით დაშორებულმა 50 ათასმა ჯარისკაცმა, როგორც კი გაიგო მათი უზენაესი მმართველის ტყვედ ჩავარდნა, წინააღმდეგობა შეწყვიტა. გამარჯვება სრული იყო. არცერთი ავანტიურისტი ამ ბრძოლაში არ დაღუპულა.

ამრიგად, 1532 წლის 16 ნოემბერს სწრაფად და ტრაგიკულად ჩაესვენა მზე, რომელიც ინკების ღმერთი და დამცველი იყო.

როდესაც პისაროს რაზმი ქ. კუსკოში შევიდა, ქალაქის ძარცვა დაიწყო, ნანახით გაგიჟებული ჯარისკაცები სიზმარშიაც ვერ წარმოიდგენდნენ, რაც იქ ნახეს. თუ ვიმსჯელებთ ნადავლის გაყოფის ჩანაწერებით, ნაძარცვი შეადგენდა 588226 ოქროს პესოს და 164558 ვერცხლის მარკას. ერთი პესო შეესაბამებოდა 46 გრამ ოქროს, ხოლო ვერცხლის მარკა გაცილებით მძიმე იყო პესოსთან შედარებით.

პისარომ ნადავლი მეფეს და თავის მებრძოლებს გაუყო. ესპანეთის მეფეს ერგო ოქროს ზოდების გარდა 29 კილოგრამიანი ოქროს ქალის სტატუეტკა და ასევე 26 კილოგრამიანი ოქროს „ლამის“ სტატუეტკა. რიგითმა მებრძოლებმა მიიღეს მხოლოდ 4-4 ათასი ოქროს პესო და 70-70 ვერცხლის მარკა. მთელი ოქროს ნაკეთობები ზოდებად იქნა გადადნობილი და ანონილი. თუმცა ანონვის დროს იყო სირთულეებიც. მთვარის ვერცხლის ნაკეთობა ისეთი მძიმე იყო, რომ ვერცერთ სასწორზე ვერ აიწონა.

ტყვე ინკამ როდესაც ნახა ესპანელების ოქროსადმი ასეთი ლტოლვა, პისაროს გარიგება შესთავაზა – ის ვალდებულებას კისრულობდა, განთავისუფლების სანაცვლოდ, ორი თვის ვადაში, ოქრო-ვერცხლით გაავსებდა იმ ოთახებს, სადაც ის იმყოფებოდა. ოთახი 30 კვადრატული მეტრი იყო. პისარომ მიიღო ინკას წინადადება და ატაულპას ბრძანებით ქ.კახამარკისკენ დაიძრნენ. ოქრო-ვერცხლით დატვირთული ლამების ქარავნები, პისაროს მებრძოლი ხერესი კარგი ბუხჰალტერივით აღრიცხავდა ყოველდღიურ შემოსავალს, რამაც საბოლოოდ შეადგინა ხუთტონანახევარი ოქრო და თორმეტი ტონა ვერცხლი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იყო მცირე ნაწილი ინკების ქონებისა. სანამ პისაროს რაზმი ქ. კახამარკიდან ქ. კუსკოში შევიდოდა, ინდიელებმა გადამალეს თავიანთი ქონება. ინკა ატაულპას ძმამ მანკო II-მ, რომელიც მოსაჩვენებლად თანამშრომლობდა თეთრებთან, ასეთი წინადადებით მიმართა ესპანელების ელჩს რუისს. მან მაგიდაზე დაყარა ერთი სავსე ფუჟერი სიმინდის მარცვლები, აიღო ერთი ცალი და ასე მიმართა: ჩვენ ამდენ ოქროს ვფლობთ, თქვენ მხოლოდ ამ ერთი მარცვლის ტოლფასი ოქრო წაიღეთ. მომეცით პირობა, რომ თქვენი ხალხი სამუდამოდ დატოვებენ ჩვენს იმპერიას და ამდენ ოქროს მიიღებთო. რუისმა უარყო მანკოს II-ის წინადადება.

დატყვევებულმა ინკამ შეასრულა დანაპირები, მაგრამ პისარომ უარი თქვა მის განთავისუფლებაზე და იგი ტრიბუნალს გადასცა. ტრიბუნალმა ატაუალპას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა კოცონზე დაწვით. მას დააბრალეს სახელმწიფო სახსრების უყაირათო ხაჯვა (!!!), კერპთაყვანისცემა და მრავალცოლიანობა.

1533 წლის 19 აგვისტოს ბორკილებშებმული ქ. კახამარკას მოედანზე გამოიყვანეს, სადაც დიდი კოცონი ენთო. ტყვეს მიუახლოვდა ბერი ვალვედე და შესთავაზა ქრისტიანული წესით მონათლულიყო. თუ ის მიიღებდა ამ წინადადებას, კოცონზე დაწვის ნაცვლად მას დაახრჩობდნენ. ტყვე ამ წინადებას დათანხმდა და მონათვლის შემდეგ, ვინაიდან იმ დღის კალენდარით წმინდა იანის დღე იყო, მიიღო სახელი ხუანი. დასჯის შემდეგ ბერმა ვალვედემ მიცვალებულისთვის განკუთვნილი ღვთისმსახურებრივი ცერემონია ჩაატარა. ამრიგად, 1533 წლის 19 აგვისტოს სიცოცხლეს გამოეთხოვა „მზის შვილების“ უკანასკნელი წარმომადგენელი – მეცამეტე ინკა. ქალაქში სახელდახელოდ აშენებული კათოლიკური ეკლესიიდან მწუხრის ზარები აუწყებდნენ ქვეყანას „მზის შვილების“ იმპერიის დასასრულს.

ამ იმპერიის არცერთი დამსამარებელი ესპანელი წინამძღოლი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა. ინდიელებთან ბრძოლაში პირველი დაიღუპა ხუან პისარო. ამის შემდეგ მათი ოჯახიდან ყველაზე აგრესიულმა ერნანდო პისარომ მოკლა ძველი სამეულიდან ერთ-ერთი – დიეგო ალმაგრო, ძმებმა ის ჯერ დაახრჩვეს და შემდეგ საჯაროდ თავი მოკვეთეს. ესპანეთში დაბრუნების შემდეგ ერნანდო ციხეში ჩასვეს, სადაც 20 წელი გაატარა. მთელი ამ ომის მთავარი გმირი ფრანსისკო პისარო მოკლა გარდაცვლილი ალმაგროს შვილმა. მასთან ერთად მოკლეს ფრანსისკოს ძმა მარტინი. ახალი პერუელი გუბერნატორის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს ალმაგროს შვილი. უკანასკნელი ძმა გონსალო სიკვდილით დასაჯეს პერუს ესპანეთიდან ჩამოშორების მცდელობაზე. თვით დომინიკელი ბერი ვალველე მოკლულ იქნა კუნძულზე ადგილობრივ ინდიელებთან შეტაკების დროს..

ახალგორის მუნიციპალიტეტი

ცხავატის ჯაცხოვრის ეკლესია - ჩვენი ეროვნული საგანძური

ცხავატი ოკუპირებული ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელია, მდებარეობს ლარგვისის თემში, ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ახალგორიდან 20 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 20 კმ.-ზე. სოფელში ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე შესანიშნავი ძეგლია, მათ შორის მაცხოვრის ეკლესია, რომელიც „ჩუმაანთ უბანში“ მდებარეობს და VIII-IX საუკუნეებით თარიღდება (გვიანდელი გადაკეთებებით). აშენებულია ფლეთილი ქვითა და ქართული აგურით. იატაკის დასაგებადაც ქართული აგურია გამოყენებული. ტაძარი გარედანაც და შიგნიდანაც თეთრადაა შელესილი.

XIX საუკუნეში ტაძრის სამხრეთით და ჩრდილოეთით მდებარე სარკმლები გაუგანიერებიათ. სამრეკლო ეკლესიის დასავლეთ კეხზეა დადგმული. აღმოსავლეთ სარკმლის თავსართად შირიმის ქვაზე ამოკვეთილია ტოლმკლავა ჯვარი.

ეკლესიის სამხრეთით გაჭრილ სარკმლის თავზე, კედელს თითქმის მთელ სიგრძეზე გაუყვება თარო.

დასავლეთის ფასადი სადაა, ჩრდილოეთის ფასადზე კი კამარის ქუსლი შეიმჩნევა.

აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულ ქვის ფიქალზე (93/31 სმ.) განთავსებულია სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, სადიდებელი „ერის ცხავატისა“ და ხელოსან ინა კალატოზისა, რომელსაც ნოდარ შოშიაშვილი და გიორგი ოთმეზური, პალეოგრაფიულ ნიშნებზე დაყრდნობით X საუკუნით ათარიღებენ, ხოლო ჯონდო გვასალია - IX-XI საუკუნეებით...

ქხატულო „სოად“ ნე
რიცხვატიდაინაკა
ლატზიანშენაფენაი
„1. ქ. ხატო ღ(მრ)თ(აები)ს(ა)ო ას(იდე)ნ ე
2. რი ცხავატი და ინა კა
3. ლატ(ო)ზი ამენ. შ(ეიწყალე)ნაფენა ი.“

ეკლესიის გარშემო ყორე გალავანია, გალავნის გარეთ საფლავის ქვებია.

თავის დროზე ექვთიმე თაყაიშვილს მაცხოვრის ეკლესიაში ორი ჯვარი უნახავს. მისი აღწერით, ფოთლოვანი ოქროს ორნამენტით შემკობილი პირველი ჯვრის წინა მხარეზე მაცხოვრის გამოსახულებას ამშვენებდა წარწერა: „იესო ქრისტე“. ცენტრში ფრთოსანი ანგელოზი და სახარებით ხელში ლუკას პორტრეტი... უკანა მხარეს ვერცხლის ფურცელზე XIV საუკუნის მხედრული წარწერა ყოფილა: „ქ. მაცხოვარი ცხავატისა ქვენიფნეველს: რიზია ერისთავს: შეუწირავს: ორი საკომლო მამული ზენუბანს: მამული: მთითა:. და ბარითა. ცხავატის ყ(ოვ)ლად: წმიდისათვის: ბასიანში: დავტყვევდი: და:. შენის საქონლითა:. თავი დავიხსენ: არა მებატონემ:ო“.

რიზია ქვენიფნეველი იმ ქართველთა შორის იყო, რომელიც ბაგრატ მეხუთემ თემურ ლენგის წინააღმდეგ მებრძოლ სომხებს მიაშველა. რიზია და მისი მედროშე სეფე ყმა, ხოზოეთელი (ქარჩოხის ხეობა) ოქროპირ გამხიტაშვილი ბასიანში ტყვეთა შორის აღმოჩნდნენ. ოქროპირს „სიზმრად უნახავს სოფელ ხოზოეთის წმინდა გიორგის სალოცავი და თვით წმინდანი, რომელსაც გაუმხნევებია ყმა და ბატონი. ტყვეები მხურვალე ლოცვაში ატარებდნენ დღეებს, საშველი კი არსაიდან ჩანდა. ბოლოს ბატონს ოქროპირთან ერთად შეუფიცნია: „ხოზოეთის წმინდა გიორგი, შენი შეწევნითა და მეგზურობით, თუ ტყვეობას დავეხსენით, მაშინ მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე შენი მლოცველნი და მადიდებელნი ვიქნებითო". ტყვეობიდან თავის დახსნის ერთადერთი გზა გამოსასყიდის გადახდა იყო. ამ მიზნით რიზიას ოქროპირი საერისთავოში გამოუგზავნია. თუ არ დაბრუნდებოდა, მტრის წინაშე საკუთარი სისხლის ფასად აგებდა პასუხს.

ქვენიფნეველის მედროშემ ერისთავის სასახლეში მიიტანა ბატონის უსტარი. მთელ სახლეულობას და სახეზისთაოების ეკლესია-მონასტრებს დიდძალი სიმდიდრე გაუღიათ რიზია ქვენიფნეველის გასათავისუფლებლად, მათ შორის ცხავატის მაცხოვრის ეკლესიასა და ხოზოეთის წმინდა გიორგის... ოქროპირმა თათარ-თურქმანებს მიართვა განძეულობა და ტყვეები სიკვდილს გადაურჩნენ.

მეორე ჯვარი, რომელზეც ექვთიმე თაყაიშვილი საუბრობს, მთლიანად ვერცხლის ყოფილა, მასზე ღვთისმშობელია ყრმით. ქვემოთ, წმინდანთა ფერხთით - ჯვარცმა... გვერდებს ანგელოზები ამშვენებდა... ჯვრის უკანა მხარეს წმინდა გიორგის გამოსახულებასა და XVII საუკუნის ხუცურ წარწერაზეა მინიშნება.

ცხავატის მაცხოვრის ეკლესია ქართველი ერის ეროვნული საგანძურია.

დავით ახლოური,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ვახტანგ ინაური

იულიუს ჯეისრის ჯარიერი

იულიუს კეისარი ერთ-ერთი უდიდესი პიროვნებაა მსოფლიო ისტორიაში. იგი თავისი პოპულარობითა და ავტორიტეტით თუ არ აღემატება, არ ჩამოუვარდება ალექსანდრე მაკედონელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ალექსანდრე მეფე იყო, მემკვიდრეობით მიიღო ტახტი, დიდება და მას არ დასჭირვებია კარიერისა და თანამდებობისთვის ბრძოლა, ნათელი გახდება, რომ კეისარს მეტი პრობლემები გადაულახავს, პირველობისთვის რომ მიეღწია. იულიუსი რიგითი წარჩინებული რომაელი იყო და ხელისუფლებისათვის მიღწევამდე დიდი გამჭრიახობა, გონებრივი და ფიზიკური ენერგია იყო საჭირო. ეს მას საკმარისზე მეტი აღმოაჩნდა. იგი სრულიად ახალგაზრდა იწყებს პოლიტიკურ მოღვაწეობას. მასში იმ პერიოდის დიქტატორი სულა დიდ მოწინააღმდეგეს ხედავს. როდესაც დაახლოვებული პირები ეუბნებიან – *„ასეთი ყმაწვილის მოკვლას არავითარი აზრი არა აქვსო, სულამ მიუგო: ბრიყვები ყოფილხართ, თუ ვერ ხედავთ, რომ ამ ყმაწვილში მრავალი მარიუსი ზისო“ (პლუტარქე,420).*

სულამ, რომელმაც დემოკრატიული მიმართულების დიდი სარდალი და გენიალური ნიჭის მქონე მარიუსი დაამარცხა, კარგად იცის ადამიანების ბუნება და ამიტომაც უნდა კეისრის მოშორება. ამჩნევს მის უნარსა და პოლიტიკურ ძალას, ჭვრეტს მის მომავალს. ამავე დროს, კეისარიც კარგად გრძნობს, რომ მისი სულასთან თანამშრომლობა შეუძლებელია და ტოვებს რომს. მან დროზე გაუსწრო სულას ცენტუნიორებს და საბიანების მხარეში გადახვეწილი *„ავადმყოფობის გამო სახლიდან სახლში რომ გადაჰყავდათ, მაინც ჩაუვარდა ხელში სულას მეომრებს, რომლებიც იმ რეგიონში დამალულებს იჭერდნენ. დევნილ ყმაწვილს უკვე მოუწია თავისი გონებრივი და დიპლომატიური უნარი გამოეყენებინა. მან მოისყიდა მათი მეთაური კორნელიუსი ორ ტალანტად“* (ტალანტი საანგარიშო ერთეული იყოდა 25,9 კგ. შეადგენდა. თანხა – ოქრო, ვერცხლი, წონითი ანგარიშის დროს, ტალანტით იზომებოდა). კორნელიუსი, სავარაუდოდ, ის ასისთავი უნდა იყოს, ვინც იესოს დასჯას ხელმძღვანელობდა და ვინც რომაელთაგან პირველი გაქრისტიანდა.

იულიუსი უფრო მეტ გონიერებასა და სიბრძნეს ავლენს მეკობრეებთან ტყვეობაში, რომლებსაც დიდი ხომალდები ჰყავდათ და ზღვაზე მბრძანებლობდნენ. გამოსასყიდად მათ ოცი ტალანტი მოითხოვეს. ის ორმოცდაათს დაჰპირდა და თან დასცინა, ასე ცოტა თანხა რომ მოითხოვეს. ამ გზით იგი, ფაქტობრივად, მათ გემზე ტყვე კი არა, მბრძანებელი გახდა. ამ შემთხვევაში მნიშნელოვანი იყო ისევ და ისევ კეისრის ნიჭი და აზროვნების უნარი. ლექსებს წერდა და უკითხავდა მეკობრეებს, ასწავლიდა მათ. ვინც არ უსმენდა, ჩამოხრჩობით ემუქრებოდა. ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ მილეტის ნავსადგურიდან დაედევნა მეკობრეებს და უმრავლესობა შეიპყრო და მათი ქონება თვითონ მიისაკუთრა. ეს დიდი თანხა იყო, რაც იმას მოწმობს, რომ მას ეკონომიკურადაც გათვლილი ჰქონდა, როგორ უზრუნველეყო კარიერული წინსვლა და ამაღლება. იგი მხოლოდ თავისი ხალხით მოქმედებს, მას არც ჯარი ჰყავს და არც სხვა სამხედრო შენაერთები. მხოლოდ მასთან დაახლოებული თანამებრძოლებითა და მეგობრების მეშვეობით იბრძვის წარმატებისთვის. მისი მეგობრებიც მაღალ ინტელექტს და პოლიტიკურ ალღოს ავლენდნენ. მათ ერთობლივად სწორად განსაზღვრეს, რომ სულას ძალაუფლება შესუსტდა და შეიძლებოდა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

იულიუსი საგულდაგულოდ ემზადება დიდი ბრძოლებისთვის. გადის ფიზიკურ და ორატორულ წრთვნას აპოლონიოს სკოლაში. იგი *„ძალაუფლებასა და იარაღში პირველობის მოპოვებას ესწრაფოდა. ლაშქრობითა და სახელწიფო მოღვაწეობის მეოხებით მან მართლაც მოიპოვა ძალაუფლება“ (პლუტარქე,473).*

რომში დაბრუნებისთანავე დაიწყო ბრძოლა სამართლიანობისთვის, სახელის და ავტორიტეტისთვის. მან თავისი ჩინებული სიტყვებით ბრწყინვალე სახელი მოიპოვა. ამავე დროს, მისი ასაკისათვის საკვირველი თავაზიანობითა და მეგობრული დამოკიდებულებით მდაბიო ხალხში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

იმ პერიოდის რომში ლუკულუსს – დიდი სომხეთის დამაქცეველსა და პომპეუსს – იბერიის ამაოხრებელს, საპატიო ადგილი ეკავათ და სენატში წარმატებული სტატუსი ჰქონდათ. კეისარმა იოლად შეძლო მათთან დაახლოება და თანამებრძოლებად გაიხადა ისინი. ფულის გარეშე დიდება ძნელად მოიპოვება, ამიტომაც კეისარი დიდ თანხას ხარჯავდა ნადიმებსა და საუცხოო სუფრებზე. იგი აბნევდა მოშურნეებს, რომლებიც იმედოვებდნენ, რომ კეისარს შემოეხარჯებოდა ქონება და ძალასაც დაკარგავდა. ისინი ვერ ხვდებოდნენ მის პოლიტიკურ ჩანაფიქრს და მიზანს. ეს მხოლოდ ციცერონმა ამოიცნო, მაგრამ მისი საბოლოო დასკვნით, იულიუსი რომის სახელმწიფო წყობილობას არ დაამხობდა.

კეისარი მიიწევს მაღლა და მაღლა. ჯერ კიდევ ყმაწვილს მთავარი ქურუმის თანამდებობდა სურდა, რამაც სულას გულისწყრომა და მისადმი მტრობა გამოიწვია. ახლა უკვე სამხედრო ტრიბუნის თანამდებობაზე აღიარეს, რაც *„ხალხის სიყვარულის პირველი დამამტკიცებელი ნიშანი იყო“ (პლუტარქე,475).* ხოლო მეორე – მამიდამისის, მარიუსის მეუღლე იულიას გარდაცვალებაზე წარმოთქმული ბრწყინვალე სიტყვისა და სულას მიერ აკრძალული მარიუსის ქანდაკების საჯაროდ გამოტანისას, როდესაც *„ხალხი მხიარული ყიჟინითა და ტაშისცემით მიეგება“* (*პლუტარქე,474).*

კეისარი ჯერ **კვესტორი**, შემდეგ **ედილი** და **ქურუმთუხუცესი** ხდება. იგი აძლიერებს დასუსტებულ მარიუსის პარტიას სულას პარტიის წინააღმდეგ. რომელსაც სენატში იმ დროს ავტორიტეტი კატონი ედგა სათავეში.

სპარტაკისა გლადიატორთა დამამარცხებელი კრასუსის მეშვეობით იულიუსმა შეძლო საგანმგებლოდ მიღებულ ესპანეთში გამგზავრება. მან კარგად იცის, მეომარ ქვეყანაში დიდება და ძალაუფლება ომით მოიპოვება. ამიტომ მიდის ესპანეთში და გეგმავს გალიის, ბელგების და ჩრდილო ევროპის სხვა ხალხების დამორჩილებას. მას გული სწყდება, რომ მის ასაკში ალექსანდრე *„უკვე უამრავ ხალხზე მეფობდა, მე კი აქამდე სასახელო არაფერი გამიკეთებიაო“. (პლუტარქე,481*). – ეუბნება იგი მეგობრებს. ეს პესიმიზმი არ არის, იგი უფრო სწრაფად მიიწევს წინ. პომპეუსთან და კრასუსთან დამეგობრებით მან შეძლო კონსულის თანამდებობის დაკავება არჩევნების გზით.

ესპანეთში წასვლის შემდეგ თანდათან ვლინდება კეისრის სიბრძნე, მისი სიტყვების უმრავლესობა აფორიზმებია. ალპებში ერთ პატარა ღარიბ დაბაზე გაიარეს და მეგობრებმა სიცილით ჰკითხეს: *„ნუთუ აქაც არის რაიმე მეტოქეობა თანამდებობათა გულისათვის? კეისარმა დინჯად მიუგო: „მე ვამჯობინებდი, პირველი ვიყო ამათში, ვიდრე მეორე რომაელებში“ (პლუტარქე,481).* ამ სიტყვებითაც ნათლად ჩანს მისი პირველი კაცობის დიდი სურვილი. ეს თითქოს თანდაყოლილი მიზანია და ამისათვის აბსოლუტურად მობილიზებულია. მან კარგად იცის, რომ მეომარ ქვეყანაში – რომში, რომელიც ძლიერ საომარ მანქანად ჩამოყალიბდა, ომში მოპოვებული გამარჯვებით, სახელით, დიდებითა და ქონებით შეიძლება გახდე ლიდერი. ამისთვის მას აქვს ეკონომიკური აზროვნება, სიბრძნე და პოლიტიკური სიმტკიცე.

ესპანეთში მან დიდებული ეკონომიკური რეფორმა გაატარა: მოაგვარა კრედიტორებსა და მოვალეებს შორის ურთიერთობა და დაუდგინა სათანადო წესი, რითაც კიდევ უფრო გაითქვა სახელი. წარმატებული იყო ასევე სამხედრო ოპერაციები ესპანური ტომების კალაიკებსა და ლუზიტანებზე ლაშქრობისას. ატლანტის ოკეანისკენ მიმავალმა გზადაგზა დაიპყრო ის ტომები, რომლებიც რომაელთა მორჩილებაში არ იყვნენ. 20 კოჰორტი ჰყავდა თავის განკარგულებაში და რამდენიმე დღეში 10 კოჰორტი დაუმატა და ძლიერი სამხედრო ძალის მფლობელი გახდა. იგი მიიწევს ევროპის ჩრდილოეთ მხარეების დასამორჩილებლად.

გალიაში ლაშქრობამდე, რომში კონსულად არჩევის შემდეგ, ფორუმის გული უფრო მეტად მოიგო და პომპეუსისა და კრასუსის აქტიურობით ფორუმი იარაღით აღიჭურვა, რითიც სენატს თავზარი დასცა და, ფაქტობრივად, შეწყვიტა კეისრის წინააღმდეგ მოქმედება. მან დაამარცხა კატონი, ციცერონი და ყველა მდიდარი სენატორი.

გალიაში და მთელ ევროპაში გადახდილი ომების შემდეგ პლუტარქე იულიუსს მიიჩნევს უდიდეს სარდლად. მისი აზრით, კეისარი აღემატება ფაბიუსებს, სციპიონებს, სულას, მარიუსს, ორივეს ერთად – ლუკულუსსა და პომპეუსს. *„პირველი მან აჯობა მათ, მიუდგომელი ადგილმდებარეობის დაძლევით, სადავ ომს აწარმოებდა, მეორედ – დაპყრობილი ქვეყნის სივრცით, მესამედ – ურიცხვი, ძლიერი მტრის დამარცხებით, მეოთხედ – მოწინააღმდეგის ფრიად ველურსა და ვერაგ ხასიათთან შერკინებით, მეხუთედ – ტყვეების მიმართ გამოჩენილი ლმობიერებითა და მოწყალებით, მეექვსედ – საკუთარი მეომრებისადმი გამოჩენილი გულუხვობით და გაღებული საჩუქრებით, ყველას ერთად კი იმით, რომ ყველაზე მეტი ბრძოლა ჩაატარა და ყველაზე მეტი მტერი მოსპო ათ წელზე უფრო ნაკლებ დროში, რომლის განმავლობაშიც იგი ომს აწარმოებდა გალიაში, იერეშით აიღო რვაასზე მეტი ქალაქი, დაიმორჩილა სამასი სხვადასხვა ტომის ხალხი და მთელი ამ ხნის მანძილზე ბრძოლა აწარმოა სამ მილიონ კაცთან, რომელთაგან ერთი მილიონი ბრძოლის ველზე მოსპო და ამდენივე ტყვედ ჩაიგდო.“ (პლუტარქე,487).*

კეისრის ომებში წარმატებას განაპირობებდა მისი საბრძოლოო სტრატეგიული ნიჭი და ბრძოლისუნარიანობა. სიმამაცე და ჯარისკაცების თავდადება მისთვის, რასაც მისი პირადი გმირული მაგალითები და მეომრებისათვის უხვად გაცემული გასამრჯელოც ემატებოდა: მას აღმერთებდნენ მისი ლეგიონები და კოჰორტები.

კეისარი პიროვნულად სუსტი აგებულების იყო, თეთრი და ნაზი ტანი ჰქონდა, ხშირად თავი სტკიოდა, აწუხებდა ავი ზნე, მაგრამ მისი მეგობრის – სვეტილიუსის გადმოცემით, – ეპილეფსიური შეტევა სულ ორჯერ ჰქონდა. ძნელია მსჯელობა, ეს ნერვული გადაღლილობით მოუვიდა თუ მას ქრონიკულად ჰქონდა ეს სენი. თუ ეს ასეა, ორჯერ კი არა, კვირაში ერთხელ შეიძლებოდა ცუდად გამხდარიყო. ასეც რომ ყოფილიყო იგი ხანგრძლივი მოგზაურობით, მეომრული ცხოვრებით, ნიადაგ ღია ცის ქვეშ ყოფნითა და გაჭირვების გადატანით ებრძოდა სისუსტეს და ამით იკაჟებდა სხეულსაც და სულსაც. იგი ერთ-ერთ უძლიერეს მეომრად ჩამოყალიბდა, რომელიც არა მხოლოდ ორთა ბრძოლაში, არამედ, ჯგუფთანაც კი უშიშრად და წარმატებით იბრძოდა და ყოველთვის გამარჯველი გამოდიოდა. იულიუსს *„უმეტესწილად, ეტლში ან ტახტრევანზე ეძინა, რადგან დასვენების დროც საქმისთვის გამოეყენებინა. გათენებისთანავე იწყებდა ციხე-სიმაგრეთა, ქალაქთა და ბანაკების გარშემოვლას. ეტლით იგი ისე სწრაფად მოგზაურობდა, რომ როცა რომიდან პირველად გამოვიდა, უკვე მერვე დღეს როდანოსის სანაპიროს მიაღწია“ (პლუტარქე.487).*

კეისარი საუკეთესო მხედარი იყო. ცხენოსნობას ბავშვობიდანვე მისდევდა და ისე იყო გაწაფული, რომ ხელებს ზურგზე შემოიწყობდა და ცხენს მთელი ძალით მიაჭენებდა. ლაშქრობისას იგი გავარჯიშდა იმაშიც, რომ შეეძლო ორი ან მეტი მონისთვის ეკარნახა ხოლმე წერილები ერთდროულად. მიმოწერა და საფოსტო სისტემაც კეისარმა შემოიღო, ამით დროს იძენდა და საქმეს არ აფერხებდა. აღსანიშნავია კეისრის თავდამბლობა და მოკრძალება პირად ცხოვრებაში. ვალერიუს ლეონთან სტუმრობისას მედიოლანუმში გამოვლინდა მისი თავაზიანობა და უპრეტენზიო ბუნება, როდესაც მეგობრებმა შენიშნეს, რომ სატაცური ზეითუნის ზეთის ნაცვლად უბრალო ზეთით იყო შეკმაზული, ისინი გაკიცხა და უთხრა: *„ის, ვინც მასპინძლის უზრდელობას გაამხელს, თვითონაც უზრდელია„(პლუტარქე,487).*

ავდარში ერთ ღარიბულ ქოხში შეფარებულმა კეისარმა, სადაც ერთი კაცისთვის საკმარისი პატარა ოთახი იყო, მან უთხრა მეგობრებს: *„საპატიო ადგილი ყოველთვის ძლიერებს უნდა დაუთმოთ, ხოლო აუცილებელი – ავადმყოფებს და ქოხში მოსვენება ოპიუსს შესთავაზა, თვითონ სხვებთან ერთად კარის წინ მოთავსდა.“ (პლუტარქე,488).*

58-56 წწ. გალიაში ომს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კეისრის პირველობისთვის ბრძლაში. ამიტომ აქ უნდა გამოვლენილიყო მეომრული ბუნება, მხედართმთავრული ნიჭი, სამხედრო სტრატეგია და უნარი. პირველი შეტაკება **ჰელვეტებსა** და **ტიგურინებთან** მოუხდა, რომლებმაც საკუთარი თორმეტი ქალაქი გადაწვეს და რომისადმი დაქვემდებარებულ გალიის ნაწილზე გადაადგილდებოდნენ. ისინი კიმბრებსა და ტევტონებს სიმამაცესა და რაინდობაში არ ჩამოუვარდებოდნენ. **300000** კაცი იყო და აქედან **190000** ბრძოლისუნარიანი მებრძოლი. ტიგურინები კეისრის გაგზავნილმა ლაბიენუსმა დაამარცხა მდინარე **არართან**. ჰელვეტებთან კი თვითონ იულიუსს მოუწია ბრძოლა. მტერი მოულოდნელად დაესხა თავს გზაში. როგორც წესი მას ვერავინ დაასწრებდა მანევრირებაში, მოასწრო ბუნებრივად გამაგრებულ ადგილას თავშეფარება და ჯარი საომრად მოამზადა: *„მას ცხენი მიართვეს: „ცხენით გამარჯვების შემდეგ ვისარგებლებ მტრის დასადევნებლად, ახლა კი ისე გავეშურთ მოწინააღმდეგისკენო – უთხრა კეისარმა“* (*პლუტარქე,288*). რომაელებმა მტერი აოტეს, ამასთნ უკლებლივ ამოხოცეს.

გამარჯვების შემდეგ იულიუსმა ორმხრივი დიდებული საქმე გააკეთა: შეკრიბა გადარჩენილი ბარბაროსები და თავიანთ მიტოვებულ მხარეში დააბრუნა. ეს ერთ მხრივ გულისხმიერება იყო დამარცხებულთა მიმართ და მეორე მხრივ ის, რომ, იმ ადგილებში გერმანელები ვეღარ დასახლდებოდნენ.

მეორე ომმა კეისარს კელტების დაცვის მიზნით გერმანელებთან მოუნია. ბრძოლის წინ კეისარმა დიდი ორგანიზაციული ნიჭი გამოავლინა საშოვარზე მასთან მოსულ მოშიშ არისტოკრატ სარდლებთან მიმართებაში, რომელმაც საბჭოზე მიმართა: *„რაკიღა ასეთ სილაჩრესა და სინაზეს იჩენთ, ახლავე უკან გაბრუნდით, თქვენი საკუთარი სურვილის წინააღმდეგ თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებთ! მე მარტოოდენ მეათე ლეგიონის ამარა გავემართები ბარბაროსთა წინააღმდეგ. ისინი, ვისთანაც მე ბრძოლა მომიხდება, არაფრით არიან კიმბრებზე უძლიერესნი და არც მე ვარ მარიუსზე ნაკლები წინამძღოლი“ (პლუტარქე, 489).*

ამ სიტყვებით იულიუსმა თან გაამხნევა სარდლობა, თან დემოკრატიზმი გამოიჩინა, – არ აიძულა შეშინებული არისტოკრატი მეთაურები; მეორე მხრივ თავი მარიუსს შეადარა, რომელმაც **2000000** გერმანელი გაანადგურა და მესამეც, მეათე ლეგიონი გაამხნევა, რომელმაც მადლობა მოახსენა მას ნდობისა და მაღალი შეფასებისთვის. სხვა ლეგიონებმა საკუთარი წინამძღოლები გაკიცხეს და ბრძოლის სურვილით აღგზნებული კეისარს გაჰყვნენ.

რომაელები გერმანელთაგან ორას სტადიონზე დაბანაკდნენ. ეს კეისრის მნიშნელოვანი ნაბიჯი იყო, რამაც დააბნია მეფე არიოვისტი და მის მამაცობას ფრთა შეეკვეცა. ის ვერც წარმოიდგენდა, თუ

ბრძოლაში, ომში ბიჯველოსანისთვის

ერამაელები თავს დაესხმოდნენ. მასზე ცუდი ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე მისან ქალთა წინასწარმეტყველებამ, რომელთა ხილვით მეფისთვის ახალი მთვარის დადგომამდე ბრძოლის დაწყება არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, იულიუსი ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა, მტერს შეუტია ***„და აიძულა ბრძოლაში ჩაბმულიყო, უკუქცეულ მტერს ოთხი სტადიონის მანძილზე რენოსამდე მისდევდა და მთელი ეს სივრცე გვამებითა და მტრის მიერ მიტოვებული საჭურველით აავსო“*** *(პლუტარქე,490).*

კეისარს **57** წელს კვლავ მოუწია ბრძოლა, ამჯერად კელტთა შორის უმამაცესი ტომის **ბელგიების** წინააღმდეგ, რომელთაც გალიის მესამედი ეკავათ. კეისარი დიდი სისწრაფით დაიძრა მტრისკენ და ისე გაანადგურა, რომ ბარბაროსთა გვამებით ჭაობები და ღრმა მდინარეები აივსო. რომაელები გვამებზე გადადიოდნენ, სხვა ტომები მას უბრძოლველად დანებდნენ. მხოლოდ ყველაზე ველური და მამაცი ტომი **ნარვიები** სამოცი ათასი მეომრით თავს დაესხნენ და ცენტუნიორები ამოხოცეს: კეისარმა თავისი სწრაფი აზროვნებითა და მოქმედების მეშვეობით მოასწრო ფარის აღება და მტერს ეკვეთა. აქ ჩანს მეათე ლეგიონის დიდი სიყვარული იულიუსისადმი, საფრთხეში რომ ნახა კეისარი, მაღლობიდან დაეშვა და ეკვეთა მტერს. ბრძლა გაგრძელდა, რომაელებმა უკან ვერ დაახევინეს, მაგრამ, სამაგიეროდ, სულ ამოხოცეს. გადარჩა ხუთასი მეომარი 60000-დან და 3 უხუცესი 400-დან.

სენატმა ამ გამარჯვების აღსანიშნავად 15 დღიანი დღესასწაული მოაწყო და პარაკლისი გადაიხადა. კეისრის სახელი კი ფრო ამაღლდა და მეტი სიყვარულით და დიდებით შეიმოსა.

იგი მხედველობიდან არ ტოვებს რომში მიმდინარე პროცესებს.

მან ლუკაში შეკრიბა პომპეუსი, კრასუსი, აპიუსი, ნეპოტი, ასოცი ლექტორი და ორასამდე სენატორი, სადაც გადაწყდა – პომპეუსი და კრასუსი კონსულებად დარჩენილიყვნენ. ხოლო კეისარს მხედართმთავრობის ვადა კიდევ ხუთი წელი გაგრძელებოდა და განსაზღვრული თანხაც მიეღო. კატონის მომხრენი ვერაფერს გახდნენ, მათი წინააღმდეგობა ხალხმა არ მიიღო და კეისარს დაუჭირა მხარი.

კეისარი ლუკიდან კვლავ თავის მხედრობასთნ დაბრუნდა და გააგრძელა ბრძოლა ბარბაროსების წინააღმდეგ. კეისარი იძულებული იყო, კვლავ ებრძოლა გერმანელი ტომების წინააღმდეგ. მისი წასვლისთანავე უზიპიტებისა და ტენქტონების ტომები გალიას შეესივნენ. იულიუსის დღიურის მიხედვით, ბარბაროსებმა ელჩები გაუგზავნეს დაზავების მიზნით, მაგრამ ამ დროს ვერაგულად თავს დაესხნენ რომაელთა ხუთიათასიან მხედრობას და უკუაქციეს. შემდეგი ელჩები უკვე აღარ მიიღო კეისარმა, შეიპყრო ისინი და შეუტია ბარბაროსებს. სენატში კატონი ფიცის გატეხვაში სდებდა ბრალს იულიუსს და მის ბარბაროსებისთვის გადაცემას მოითხოვდა. ეს, ფაქტობრივად, რომის ღალატი იყო კატონის მხრიდან, ამასთან, ვინ გადასცემდა ბარბაროსებს კეისარს? ვინ შეიპყრობდა მას? რომის ძირითადი სამხედრო ძალა კეისარს აღმერთებდა. გარდა ამისა, მისი ჯარისაგან ჩამოშორება, ფაქტობრივად, გერმანელებს რომისკენ უხსნიდა გზას, რადგან სხვა ვერავინ გაართმევდა თავს ამ საშინე ლ ომებს და ჯარიც არ გაჰყვებოდა სხვას.

კეისარმა **რენოსზე** გადმოსული გერმანელები გაანადგურა. რომაელებმა ოთხასი ათასი კაცი გაჟლიტეს. გადარჩენილთა მცირე ნაწილი **სუგამბრებმა**, გერმანული მოდგმის ხალხმა, შეიფარა, რაც კეისრის წინააღმდეგ ომის დაწყებას გულისხმობდა. მან **რენოსზე** ხიდი ააგებინა, სადაც დიდი საინჟინრო ნიჭი გამოავლინა. ის პირველი რომაელი იყო, ვინც რენოსი გადალახა და მდინარის იქით მხარეს მანევრირებდა.

იულიუსმა დაიპყრო ბრიტანეთი და რომალეთა ბატონობა მანამდე ცნობილი სამყაროს მიღმაც გადასწია. ღარიბი ბრიტანელებისაგან მატერიალური სარგებელი ვერ მიიღო, მაგრამ მეფისაგან მძევლები დაიტოვა, ხარკი დაადო და კუნძულს გაშორდა. საზამთროდ დაანაწილა თუ არა თავისი დიდი მხედრობა, გალიაში კვლავ იფეთქა აჯანყებამ. **ამბიორიქსის** მეთაურობით ბრბოები ყველგან დაძრწოდნენ, **კოტა** და **ტიტირიუსი** თავ-თავიანთ ჯარებითურთ ამოჟლიტეს, მერე 60 ათასი მეომრით, ციცერონის წინამძღოლობით, ლეგიონს ალყა შემოარტყეს. ყველა რომაელი დაჭრილი იყო, მაგრამ მოზღვავებულ მტერს საოცარი მამაცობით იგერიებდნენ.

შორი მანძილის მიუხედავად, კეისარმა შვიდი ათასი მეომარი წაიყვანა ალყისაგან ციცერონის დასახსნელად. აქ კვლავ გამოჩნდა მისი ნიჭი და უნარი. მტერს ეცოტავა რომაელთა ჯარი და პირდაპირ შესახვედრად დაიძრა, კეისარმა უკან იქამდე დაიხია, სადაც მცირერიცხოვანი ჯარით უთვალავ ლაშქართან ბრძოლა შეიძლებოდა. **ამბიორიქსმა** მიიჩნია, რომ რომაელებს ეშინოდათ და მათ უწესრიგოდ, ცალ-ცალკე ბრბოებად დაიწყეს თავდასხმა. მაშინ საფარიდან გამოვიდა კეისარი, ეკვეთა მტერს, უკუაქცია და მრავალი მათგანი მოსპო. ამ გამარჯვებით გალიაში ბევრი აჯანყება ძირშივე ჩაახშო. შეთხელებული მხედრობა სამი ლეგიონით შეავსო, ორი პომპეუსმა გამოუგზავნა და ერთი – პადოსის ირგვლივ მდებარე გალიაში შეკრიბა.

გალიაში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, ეს იყო ყველაზე დიდი და სახიფათო ჯანყი რომაელთა წინააღმდეგ. ზამთარი, გაყინული და დათოვლილი გზები ხელს უშლიდა კეისარს გადაადგილებულიყო, მაგრამ ესოდენ სუსხიან პირობებში გასაოცარი სისწრაფით გადალახა მეტად მძიმე და გრძელი გზა. ლინგონელების მხარეში გავლის დროს მტერი მოულოდნელად თავს დაესხა, მაგრამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მტერი გატეხა და დაამარცხა კიდეც. გადარჩენილმა მეფე ვერც ინგეტორიქსმა და ბარბაროსთა უმრავლესობამ აუღებელ ქალაქ ალეზიას შეაფარა თავი. ამასთან, ზურგიდან რომაელებს უმამაცესი ტომების შეერთებული 300 000-კაციანი ურდო მოადგა. ორცეცხლშუა მოქცეულმა კეისარმა მთელი თავისი ნიჭი გამოავლინა, მოსული მტერი რომ არ შეერთებოდა ქალაქში გამაგრებულ ჯარს, ორი კედელი ააშენებინა: ერთი ქალაქისკენ და მეორე ზურგიდან წამოსული მტრის წინააღმდეგ. ***„არცერთ ბრძოლაში არ გამოუჩენია კეისარს ისეთი სიმამაცე და ნიჭი, როგორც ამ ომში. ქალაქში ჩაკეტილ მტერს სულ არ შეუმჩნევია, თუ როგორ შეება კეისარი გარედან მოზღვავებულ მრავალ ათას ბარბაროსს და როგორ აღმოჩნდა გამარჯვებული... ეს ამბავი არც იმ რომაელთ გაუგიათ, რომელნიც ქალაქისკენ აღმართულ კედელს სდარაჯობდნენ“*** *(პლუტარქე,497).* ალეზია დანებდა მეფე ვერცინგეტორიქსთან ერთად. იგი პირდაპირ კეისრის ფერხთა ქვეშ დაჯდა. ამ ბრძოლამ მრავალ საფუძველზე დაყრდნობით კეისარს დიდად დამსახურებული სახელი მოუხვეჭა. ეს იყო რუბიკონის გადალახვამდე ყველაზე დიდი მოვლენა, რის შემდეგაც მას შესაძლებლობა ჰქონდა, რომში შესულიყო ჯარით.

ცინაქაცთა ნაკვალევი

გასული საუკუნის დასაწყისში კონსტანტინეპოლის ქართველთა სასულიერო სემინარიაში არაერთი მესხი ახალგაზრდა სწავლობდა, მათ შორის იყო მიხეილ თარხნიშვილი სოფელ ვარგავიდან და გიორგი ველიჯანაშვილი სოფელ ხიზაბავრიდან.

როდესაც გიორგიმ და მიხეილმა სემინარია დაამთავრეს, მაშინ პირველი მსოფლიო ომი მძვინვარებდა, კურსდამთავრებულები სემინარიის ეზოში მოანყვეს და არჩევანის წინაშე დააყენეს – ან ომში წასულიყვნენ და თურქეთის ჯარში ემსახურათ, ან სასულიერო საქმიანობა გაეგრძელებინათ კათოლიკურ ქვეყნებში, გიორგიმ ომში წასვლა არჩია, რადგან ფიქრობდა, ამ გზით შესაძლებლობა ექნებოდა სამშობლოში დაბრუნებისა, მიხეილი კი გაჰყვა არჩეულ გზას და უცხოეთში ისე გარდაიცვალა (იტალიაში), რომ სამშობლოში დაბრუნება აღარ ღირსებია...

ევროპა, ინდო-ჩინეთი
სულ მოვიარე ფეხითა,
დედასამშობლოვ მოგიველ,
ნატვრა ამიხდა ბედით აქ!

იტყვის წლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა მესხი ჭაბუკი, გიორგი ველიჯანაშვილი (მესხი).

ბედმა მრავალ ქვეყანაში ამოგზაურა, მრავალი განსაცდელი გადაატანინა, მაგრამ განსაკუთრებით მისი გაოცება და გაკვირვება გამოიწვია ერთმა შემთხვევამ, რომელიც ტაო-კლარჯეთის ერთ მიყრუებულ სოფელში იხილა. იგი იგონებდა:

– შემოდგომის მოღრუბლული და წვიმიანი დღე იყო, ერთ თურქ ჯარისკაცთან ერთად, სოფლებში დავდიოდით დათვალიერებაზეო, უცებ საშინელი წვიმა, ჭექა-ქუხილი, შემდეგ კი სეტყვა წამოვიდა, ირგვლივ ყველაფერი ჩამობნელდა, მხოლოდ ელვა თუ გაანათებდა ხანდახან შავად დაბურულ ცას... იძულებული გავხდით იქვე ახლოს მდგომ მიწური სახლისთვის შეგვეფარებინა თავი, კარი ღია იყო, ჩვენც შევედით და შევეფარეთ.

სახლი უცებ გაივსო მთელი სოფლის ჩადრიანი ქალებით და იძახდნენ: „წმინდა წიგნი, ჩქარა, წმინდა წიგნიო!“ ბინის მეპატრონემ, ხანდაზმულმა ჩადრიანმა ქალმა, ფრთხილად გახსნა მოძველებული ხის სკივრი და იქიდან, ოქროსფერ ქსოვილში შეხვეული, რაღაცა ნივთი ამოიღო, რომელიც შემაღლებულ ადგილას დადო, თვითონ კი, როგორც ყველა იქ მყოფმა, ეშინოდათ და მათ უწესრიგოდ, ცალ-ცალკე ბრბოებად დაიწყეს თავდასხმა. მაშინ საფარიდან გამოვიდა კეისარი, ეკვეთა მტერს, უკუაქცია და მრავალი მათგანი მოსპო. ამ გამარჯვებით გალიაში ბევრი აჯანყება ძირშივე ჩაახშო. შეთხელებული მხედრობა სამი ლეგიონით შეავსო, ორი პომპეუსმა გამოუგზავნა და ერთი – პადოსის ირგვლივ მდებარე გალიაში შეკრიბა.

გალიაში კვლავ იფეთქა აჯანყებამ, ეს იყო ყველაზე დიდი და სახიფათო ჯანყი რომაელთა წინააღმდეგ. ზამთარი, გაყინული და დათოვლილი გზები ხელს უშლიდა კეისარს გადაადგილებულიყო, მაგრამ ესოდენ სუსხიან პირობებში გასაოცარი სისწრაფით გადალახა მეტად მძიმე და გრძელი გზა. ლინგონელების მხარეში გავლის დროს მტერი მოულოდნელად თავს დაესხა, მაგრამ სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მტერი გატეხა და დაამარცხა კიდეც. გადარჩენილმა მეფე ვერც ინგეტორიქსმა და ბარბაროსთა უმრავლესობამ აუღებელ ქალაქ ალეზიას შეაფარა თავი. ამასთან, ზურგიდან რომაელებს უმამაცესი ტომების შეერთებული 300 000-კაციანი ურდო მოადგა. ორცეცხლშუა მოქცეულმა კეისარმა მთელი თავისი ნიჭი გამოავლინა, მოსული მტერი რომ არ შეერთებოდა ქალაქში გამაგრებულ ჯარს, ორი კედელი ააშენებინა: ერთი ქალაქისკენ და მეორე ზურგიდან წამოსული მტრის წინააღმდეგ. ***„არცერთ ბრძოლაში არ გამოუჩენია კეისარს ისეთი სიმამაცე და ნიჭი, როგორც ამ ომში. ქალაქში ჩაკეტილ მტერს სულ არ შეუმჩნევია, თუ როგორ შეება კეისარი გარედან მოზღვავებულ მრავალ ათას ბარბაროსს და როგორ აღმოჩნდა გამარჯვებული... ეს ამბავი არც იმ რომაელთ გაუგიათ, რომელნიც ქალაქისკენ აღმართულ კედელს სდარაჯობდნენ“*** *(პლუტარქე,497).* ალეზია დანებდა მეფე ვერცინგეტორიქსთან ერთად. იგი პირდაპირ კეისრის ფერხთა ქვეშ დაჯდა. ამ ბრძოლამ მრავალ საფუძველზე დაყრდნობით კეისარს დიდად დამსახურებული სახელი მოუხვეჭა. ეს იყო რუბიკონის გადალახვამდე ყველაზე დიდი მოვლენა, რის შემდეგაც მას შესაძლებლობა ჰქონდა, რომში შესულიყო ჯარით.

ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს სასწაული მოხდაო, ცა გაცისკროვნდა, შეწყდა ჭექა-ქუხილი, სეტყვა და წვიმა, მზემ გამოანათა და არე-მარე გაანათა. წამოდგნენ ჩადრიანი ქალები, პირჯვარი გადაიწერეს, მონიწებით ემთხვივნენ ოქროსფერ ქსოვილში შეხვეულ ნივთს, მადლობა გადაუხადეს სასწაულისათვის და უხმაუროდ დატოვეს დარბაზი.

გაოგნებული და გაკვირვებული ვიდექით მე და თურქი ჯარისკაცი ამ სასწაულის გამო...

ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა, გამეგო, რა იყო იმ ქსოვილში შეხვეული, რომელმაც ასეთი სასწაული მოახდინა და გაბრაზებული ბუნება მშვიდ, გაღიმებულ და მზით გაცისკროვნებული დღით შეცვალა.

ჩუმად მივეპარე როგორც ქურდი, ფრთხილად შემოვხსენი ოქროსფერი ქსოვილი და, ოი, საკვირველებავ! ნაზად შეფუთულ ქსოვილში შოთას უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ იდო...

გიორგი წლების შემდეგ მართლაც დაბრუნდა სამშობლოში, გარკვეული პერიოდი ახალქალაქის მაზრაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობდა, შემდეგ კი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. იგი ფლობდა ხუთ უცხო ენას.

ოცდაათიან წლებში საგარეო საქმეთა კომისრადაც უნდოდათ მისი დანიშვნა, მაგრამ ბოროტმა ენებმა ხელი შეუშალეს – „საზღვარგარეთ ნაცხოვრებია და გვიღალატებსო...“ რის გამოც დარჩა რიგით მასწავლებლად, რომელსაც ბევრი ლექსი და საინტერესო ისტორიული პოემა ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ბედის ავბედობითა და უყურადღებობით ისტორიას არ შემორჩა, დაიკარგა. მე პირადად წაკითხული მაქვს მისი პოემა „რიზა ხიზალი“,ხიზელ, ღარიბ ბიჭზე, რომელიც გაქცეული იყო თურქეთში, წლების შემდეგ კი ბრუნდება სამშობლოში – ხერთვისის ფაშად...

გიორგი მესხი გარდაიცვალა 1948 წელს და დაკრძალულია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე.

გიორგი ველიჯანაშვილის
ძმის მიხეილ ველიჯანაშვილის
ნაამბობიდან.

ჩაწერილია დონარი ადეიშვილი-ველიჯანაშვილის მიერ 1965 წელს

„ათონელობა" აღნიშნეს

ახლახან ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისში გაიმართა სახალხო დღესასწაული „ათონელობა – 2023" .

გიორგი ათონელი XI საუკუნის დიდი ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ეროვნული კულტურის მოამაგე, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი იყო. მან სასულიერო ცხოვრებაში პირველი ნაბიჯები სოფელ ტაძრისში გადადგა, სადაც ის თავის დასთან – თეკლასთან ერთად მიუყვანიათ და ღვთისმოშიშებითა და სიბრძნით განთქმული წინამძღვრისთვის – წმინდა საბიანესათვის ჩაუბარებიათ. დიდი მამულიშვილის ღვაწლი მადლიერმა შთამომავლობამ იმით დააფასა, რომ „ათონელობა" 2018 წლიდან სოფელ ტაძრისის ადმინისტრაციული ერთეულის დეპუტატის ვიოლეტა ბალახაშვილის ინიციატივით ტრადიციულ სახალხო დღესასწაულად იქცა და ყოველწლიურად საზეიმოდ აღინიშნება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში ბესიკ ამირანაშვილი, რწმუნებულის მოადგილეები დავით ვარდიაშვილი და შოთა როსტიაშვილი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არბოლიშვილი და

სხვა უფიციალური პირები.

ღონისძიება სპორტული აქტივობებით გაიხსნა და გაგრძელდა კულტურული ღონისძიებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლებმა და სახალხო მთქმელებმა. მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

ნატა კოპაძე

ახალი გამოცემები

ქართველი ლიტერატურული და სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს მურმან თავდიშვილს, როგორც გამოჩენილ კრიტიკოსს, რუსთველოლოგს, მეცნიერსა და მწერალს, რომლის სტატიები, გამოკვლევები, კრიტიკული წერილები, ხშირად იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში და, რაც მთავარია, იგი ყოველთვის ობიექტური შემფასებელია ნებისმიერი საკითხის განხილვისა თუ შეფასების დროს და ძნელად თუ მოიძებნება ვინმე, მასთან აქტიური პაექრობა რომ შეძლოს, რადგან ყველაზე ძლიერი მახვილი მისთვის აწონილი სიტყვაა, რომელსაც პინაზეც რომ ათასჯერ შემოდო, მაინც მურმან თავდიშვილის სასარგებლოდ გადაიწონება. ნაღდი მეცნიერის ძალაც ხომ აზომილ-აწონილი, უტყუარ ფაქტებზე დამყარებული კვლევებით იძენს ძალას და მეტ დამაჯერებლობასაც აძლევს.

მურმან თავდიშვილი რამდენიმე რომანისა და ათზე მეტი წიგნის ავტორია. ასაკის მიუხედავად, კვლავაც შემოქმედებით წვაშია და მისი თითოეული ნამოღვაწარი, ქართული ჭეშმარიტი აზროვნების გამოვლენაა, რომელსაც უშურველად გასცემს, რათა უფრო მეტი გავიგოთ, გავითავისოთ და ჭეშმარიტებას ვეზიაროთ.

მურმან თავდიშვილის მიერ თითოეული ახლადგამოცემული წიგნი, ადვილად იპყრობს გზას თავის ერთგულ მკითხველამდე, რასაც ეგრერიგად ელიან და ისიც არ ღალატობს მათ და ახალ-ახალ სულიერ საზრდოს აწვდის თავის მრავალათასიან მკითხველ აუდიტორიას თუ სხვა დაინტერესებულ მკითხველს.

ახლახან მან კიდევ უფრო გაახარა თავისი ერთგული მკითხველი და თითქმის ერთდროულად, „რუსთველეოგიური კრიტიკის" ორტომეული შემოგვთავაზა, რომელიც დიდი შენაძენია როგორც ჰუმანიტარული მიმართულების, ასევე ფართო მკითხველისთვის. ორტომეულში შესულია 60-ზე მეტი ვრცელი პუბლიკაცია, კვლევა, კრიტიკული წერილი რუსთველოგიის საკითხებზე. წიგნების წაკითხვის შემდეგ კი ძნელია ერთმანეთისგან გამოარჩიო თითოეული ნაშრომი, რადგან ყველა მათგანი მაღალპროფესულ დონეზეა დაწერილი და, ცხადია, იგი დიდ სარგებელს მოუტანს დარგის სპეციალისტებსა და რუსთველოლოგიით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.



ამასთან უნდა ითქვას, რომ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მურმან თავდიშვილი „ლიტერატურული მესხეთის" ხშირი სტუმარია, რაც დიდ პატივად მიგვაჩნია, რამეთუ იგი ამ პუბლიკაციებით კიდევ უფრო ამაღლებს გაზეთის ავტორიტეტს.

კულტურა

თამარ ლომიძე – მეტყველი მხატვარი და პოეზიის დიდი მსახური

16 ივლისი განსაკუთრებული დღე იყო პოეზიისა და მხატვრობის მოყვარული საზოგადოებისთვის. ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან დაქვემდებარებული წაღვერის საქალაქო სახლის ხელმძღვანელის დალი ქასაშვილის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა ცნობილი ბორჯომელი პოეტისა და მხატვრის თამარ ლომიძის შემოქმედებითი საღამო. დარბაზის ჰოლს ამშვენებდა თამარ ლომიძის იშვიათი პროფესიონალიზმით შესრულებული ნახატები: მოწვეული სტუმრების ყურადღებას იქცევდა ფერწერული ტილოები: „არყის ხე",მშობლიური სოფლის „ზამთრის პეიზაჟები",„ანგელოზი გოგონა",„ბებიის საკერავი მანქანა",„თაიგული", „მომლოდინე ბიჭი" და სხვ.

პოეტს ღონისძიებაზე თან ახლდა თავისი მეუღლე, ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი ნორვეგიელი სვენ ვოგი. შეხვედრის ორგანიზატორმა საზოგადოებას გააცნო პოეტისა და მხატვრის ცხოვრებისეული შტრიხები. დაგვანახა, შემოქმედისათვის რაოდენ ძვირფასი გარემოა მშობლიური სოფელი ტბა და საკუთარი კერია, რაოდენ ნოსტალგიურია წაღვერში – პაპისეულ ოჯახში გატარებული წლები... ამჟამად კი გამორჩეული წყვილი ყველაფერს აკეთებს ქართულ-ნორვეგიული კულტურის დაახლოებისთვის, კერძოდ, ერთი მხატვრობისა და ქართული მწერლობის, ხოლო მეორე – ქართული ხალხური სიმღერების პოპულარიზაციისათვის.

თამარ ლომიძე ოთხი პოეტური კრებულის ავტორია, სულ მალე კი, თავის 55-ე საიუბილეო წელთან დაკავშირებით, გამოსცემს და ქართველი მკითხველი მიიღებს პოეტის მეხუთე წიგნს, ამასთან, ქალაქ თბილისში მოეწყობა მისი ნახატების პერსონალური გამოფენა.

აღსანიშნავის, რომ იგი „შოთაობის" კონკურსის სამგზის გამარჯვებულია, მის შესანიშნავ პოეზიას და მხატვრობას კარგად იცნობს ქართველი მკითხველი და ხელოვანთა ოჯახზე არაერთი საინტერესო სატელევიზიო გადაცემა მოამზადა ქართულმა სატელევიზიო არხებმა, რითაც მრავალი გულშემატკივარიც შეიძინა.

არაჩვეულებრივ შემოქმედებით საღამოზე თამარ ლომიძემ წაიკითხა როგორც ძველი, ასევე ახალი ლექსები, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს პოეზიის მოყვარულებზე. შეხვედრას უფრო მიმზიდველსა და საინტერესოს ხდიდა მოწვეული ცნობილი ფოლკლორული ანსამბლების – „თილისმისა" და „მესხეთის" (ხელმძღ. ზაზა თამარაშვილი, ზურაბ ინასარიძე) მიერ აკადემიურ დონეზე შესრულებული სიმღერები, რომლებიც საოცარ პეწს სძენდა გარინდულ მსმენელს.

პოეტის მეუღლემ ბატონმა სვენმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით ისაუბრა პოეტის საუკეთესო თვისებებზე, იმაზეც, რომ მან აქცია იგი სულ ხვა ადამიანად და მისი თანადგომით შეძლო ნორვეგიულ-ქართული ანსამბლის „გიორგის" ჩამოაყალიბება, მანვე ქართულთან ერთად, ნორვეგიული „ნანაც" შეასრულა.

თითოეული გამომსვლელი თავის სიტყვაში თანაბარი სიამაყით აღნიშნავდა თანამემამულე საყვარელი პოეტის განსაკუთრებულ სულიერ სიახლოვეს მშობლიურ კუთხესთან, ბავშვობასთან.

სხვა მოწვეულ სტუმრებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდა ბაკურიანის განვითარების საგენტოს ხელმძღვანელი ეკატერინე ორჯონიკიძე, გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორი ვალერიან ლომიძე, მხატვარი და ღვანლმოსილი ხელოვანი თანგული ორთოიძე, საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელი ნაირა ამანათაშვილი, პოეტები ნინო ხოტივარი-ლომიძე, უშანგი ჯანგირაშვილი, ექიმი, პოეტი და მუსიკოსი რუსლან ჯანიძე.

ღონისძიების დასასრულს თამარ ლომიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და მადლიერების ნიშნად წაღვერის კულტურის სახლს სამახსოვროდ გადასცა საკუთარი ნახატები.

მონიკა ჭანტურია

„ლექსო, არ დაიკარგეგი!"

ვიდრე არ არის გვიან!

საქართველოს საოცარი ბუნება
სამჭედლოა ქართველების სულისა,
შემომქმედი ჩვენი ყოფიერების,
ზნე-ჩვევებით მამაპაპეულისა.

ჩვენ სამკვიდროდ გვიწილადა უფალმა,
ზურმუხტისფრად მობიბინე მთა-ბარი,
საცხოვრებლად მისი დარი ადგილი,
დედამიწის ზურგზე კიდევ სად არი?

ეს მზისგულზე მოფენილი ქვეყანა,
ავთვალისგან ძნელად დასაფარია,
წინაპარი ხმლით იცავდა ყოველ გოჯს,
დღეს რაცა გვაქვს სისხლით მონაგარია.

ფუძე-კარი არ მოშალო ქართველო!
არ მოშალო საქართველოს სოფელი,
ქართველობას გაუფრთხილდი მარადის,
თუ ხარ კაცი, თუ ხარ ჭკუათმყოფელი.

მამული არ გაასხვისო უცხოზე.
შენი ტურფა საქართველო წახდება.
შენს მიწაზე სხვები გამრავლდებიან
და ქართველი საძებნელი გახდება.

შენს მიწა-წყალს უპატრონე ქართველო!
მისი დაცვა შენი წმინდა ვალია,
დაიცავი შენი წილი სამშობლო,
შენი ფუძე, შენი სალოცავია!

ავტორ-მთქმელი **ზაურ ჯვარიძე,**
ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭობარეთი

გაზეთის ელ.ვერსიების არქივი: ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი" (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა)

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო N19/4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
შპს „საარის" სტამბაში
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2.94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. N3,
ტელეფონი მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24
lit.meskheti@gmail.com
lit.meskheti@yahoo.com